აკაკი გეთიაშვილი

ადრეული რეფორმაციის წარმომადგენლები

(იან ჰუსი და იერონიმე პრაღელი)

გამომცემლობა „არტანუჯი"
თბილისი 2008

ნაშრომი ეძღვნება გამოჩენილი ჩეხი რეფორმატორ-ების, იან ჰუსისა და იერონიმე პრაღელის, ცხოვრებასა და მოწამეობრივი სიკვდილის ისტორიას. ისინი იყვნენ ე. წ. ადრეული რეფორმაციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომელთა ღვაწლმა უდიდესი როლი შეასრულა სრულიად ევროპული რეფორმაციის მომზადებაში, თავისუფალი აზ-რის დამკვიდრებისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში.

ნაშრომი განკუთვნილია ისტორიკოს-სტუდენტებისათ-ვის, ისტორიკოსებისა და ჩეხეთის ისტორიით დაინტერესე-ბული საზოგადოებისათვის.

რეცენზენტები: პროფ. მ. კალანდაძე
პროფ. თ. ქარჩავა

რედაქტორი პროფ. ბ. ჯავახია

ISBN 978-99940-55-43-2

© აკაკი გეთიაშვილი

შესავალი

დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ეპოქის მრავალრიცხოვან საეტაპო მოვლენათა შორის, მნიშვნელოვანი ადგილი XV საუკუნის პირველ ნახევარში, ჩეხეთში განვითარებულ მოვლენებს უკავიათ. მათი ზოგადი სახელი ჰუსიტური მოძრაობაა. ჰუსიზმი, როგორც მოვლენა და ახალი აზროვნების ნიმუში, ჯერ კიდევ შორეული, მომავალი საზოგადოების კონტურებს სახავდა, ხოლო ჰუსიტური მოძრაობა, რომლის ჰეროიკულ ნაწილს ჰუსიტური ომები წარმოადგენდა, ჩეხი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის ბრწყინვალე ნიმუშია. თანამედროვე მკითხველის ცნობიერებაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა, უფრო ახალი დროის, გარკვეული აზრით, კოლონიური ეპოქის მოვლენად აღიქმება. თუმცა, ისტორია გვიჩვენებს, რომ სადაც ერის არსებობას, თვითმყოფადობასა და მის ეროვნულ „მეს" საფრთხე ემუქრება, გადარჩენისათვის ბრძოლაც იქ იწყება. ოღონდ ეგაა, რამდენადაც ცივილიზებულია ერი, იმდენადვე სრულყოფილი, ანუ დროის შესაფერისია ამ ბრძოლის ფორმებიც. ჰუსიტური მოძრაობა ამის შესანიშნავი მაგალითია.

ჩეხები არ განეკუთვნებიან ევროპის დიდ, მრავალრიცხოვან ერთა რიცხვს. მაგრამ თავისი მდიდარი და შესანიშნავი ისტორიით, თავისუფლებისმოყვარეობით, თავისუფლების შესანარჩუნებლად მუდმივი ბრძოლით, მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში მიღწევებით, ღირსეული ადგილი უკავიათ დიდ ერთა შორისაც კი.

ჰუსიტური მოძრაობა ჩეხი ხალხის გმირული ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ფურცელია. ეს ეპოქა თავისი ხალხით, პერსონაჟებით, მათი მტკიცე სულისკვეთებითა და შემართებით, მართლაც იმსახურებს მოწიწებასა და პატივისცემას, მით უფრო ქართველი კაცისაგან, ვისთვისაც თავისუფლებისათვის მუდმივი ბრძოლა ისტორიის ბედ-იღბლად იქცა და რომელსაც ოცდამეერთე საუკუნეშიც არ სტოვებს ეს ერთგვარად მარადიული პრობლემა.

სამწუხაროა, რომ ქართველმა მკითხველმა ძალიან ცოტა რამ იცის ჩეხი ხალხის გმირული ისტორიიდან, არადა, რამდენად ახლობელია იგი ჩვენთვის, რამდენად მისაბაძი და გასათვალისწინებელია მათი გამოცდილება, თუნდაც ერის სულიერი და მორალურ-ზნეობრივი სიმტკიცისათვის.

ყველა ეპოქას თავისი გმირი ჰყავს. თავისუფლებისათვის ბრძოლა, ეს იქნება ეროვნული, სარწმუნოებრივი თუ აზროვნებისა, ხშირად მსხვერპლს მოითხოვს. პიროვნებანი, რომლებიც თავად არიან მედროშენი ასეთი ბრძოლისა და მსხვერპლად ეწირებიან მას, ჯერ მშობელი ხალხის მეხსიერებაში და შემდეგ კი საკაცობრიო მატიანეში, ყოველთვის იმკვიდრებენ ღირსეულ ადგილს და მათ შორის გამორჩეულთ წმინდანის შარავანდედით ამკობენ. ხომ გვასწავლის ბრძენი ილია: „ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შესაძლებლობებს, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს ამათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებოვანების შარავანდედითა და თაყვანს სცემს სასოებითა და მადლობითა, ამიტომ საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა“ ჩეხი ხალხის ისტორიაში ასეთი ადამიანების სახელი დაიმკვიდრეს XV საუკუნის ჩეხეთისა და ევროპის ორმა გამოჩენილმა მოაზროვნემ, ორმა გამორჩეულმა პიროვნებამ, იან ჰუსმა და იერონიმე პრაღელმა. იდეებმა რომლებიც იან ჰუსმა წამოაყენა და რომელსაც იერონიმესთან ერთად იგი ემსახურებოდა, იხსნეს ჩეხეთი მოსალოდნელი კატასტროფისაგან და ამასთან გზა გაუხსნეს ახალ, თავისუფალ აზროვნებას. ამით მოამზადეს მყარი ნიადაგი იმ ზოგად ევროპული და ზოგად საკაცობრიო მოვლენისათვის, რომელსაც რეფორმაციას უწოდებენ. ეს იყო ურთულესი ეპოქა.

იმისთვის რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ იმ დროის სახე, იმ დროის პრობლემატიკა, გარემო, რომელშიაც მოუხდათ მოღვაწეობა ამ ორ პიროვნებას, დაგვჭირდება მცირეოდენი ისტორიული ექსკურსი.

* * *

XI-XV საუკუნეები ევროპული ფეოდალიზმის სრულყოფილების ეპოქაა. ამ დროს მიაღწია ფეოდალურმა ევროპულმა საზოგადოებამ განვითარების უმაღლეს საფეხურს. მაშინდელი საზოგადოება წოდებრივი ნიშნით იყოფოდა: პირველი – სასულიერონი, მეორენი – თავად-აზნაურობა და მესამენი – ყველა დანარჩენნი: გლეხი, ვაჭარი, ხელოსანი, სოფლელი თუ ქალაქელი. ყველა წოდებას თავისი განსაზღვრული უფლება, პრივილეგიები ჰქონდა. ანუ ღვთისგან ბოძებული ადგილი ამ საზოგადოებაში. ყველაზე პრივილეგირებული სასულიერო წოდება გახლდათ. მას, როგორც ღვთიური მადლის მატარებელს, უნდა ელოცა ამქვეყნიური ჰარმონიისა და მშვიდობისთვის, დაეცვა მორწმუნეთა სულები წარწყმედისაგან და განემზადებინა ისინი საიქიო ნეტარებისთვის. მეორე წოდებას – საერო თავადაზნაურობას, ეკლესიის კურთხევით, ბოძებული ქონდა „საერო მახვილი", რათა ამით დაეცვათ საამქვეყნო მშვიდობა და უფლისგან დადგენილი სოციალურ-პოლიტიკური შენობა. ხოლო მესამეთ, ანუ ყველა დანარჩენს, რუდუნებითა და მორჩილებით უნდა ეშრომა მთელი საზოგადოების სასარგებლოდ.

წოდებათა უფლება-მოვალეობანი შეურყეველი და მკაცრად განსაზღვრულ-დაცული იყო. როგორ და რამდენი უნდა ეშრომათ, როგორ და რამდენი უნდა გადაეხადათ გადამხდელებს, ვის რა მოვალეობა ჰქონდა უზენაესი სენიორის წინაშე, ერთჯერ და სამუდამოდ იყო დადგენილი. სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში ანუ მატერიალურ სფეროში წოდებრივ ლეგრამენტირებას, სულიერი სამყაროს რეგლამენტირებაც ემატებოდა. სულიერ ცხოვრებას კათოლიკური ეკლესია განსაზღვრავდა და კვებავდა. ადამიანს,

სწავლულსა თუ უსწავლელს, კათოლიკური ეკლესიის მიერ დადგენილ ჩარჩოებში უნდა ეფიქრა და ეაზროვნა. როგორც არ შეიძლებოდა უფლისაგან დადგენილი წოდებრივი მდგომარეობის გაპროტესტება, ასევე არ შეიძლებოდა ეკლესიის მიერ დადგენილისაგან განსხვავებული აზროვნებაც. თუ ასეთი მოხდებოდა ეკლესია მას ერესად შერაცხავდა და მკაცრად დასჯიდა. სწორედ ასეთების წინააღმდეგ შეიქმნა ავადსახსენებელი ინკვიზიცია და მისი სასამართლოები, რომელსაც ერეტიკოსებისათვის ერთადერთი, სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა. ჩვეულებრივ, კაცებისათვის ცეცხლზე დაწვა, ხოლო ქალებისათვის ცოცხლად დამარხვა.

ასეთი საზოგადოების განვითარება ერთობ ნელა ხდებოდა. არსებითი ძვრები ევროპულ ფეოდალურ საზოგადოებაში XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, უფრო კონკრეტულად კი ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ იწყება. ევროპელთა თვალსაწიერი სამყაროზე გაფართოვდა. გახშირდა კულტურულ-ეკონომიკური კავშირები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. უფრო ინტენსიური გახდა შიდა ევროპული ხელოსნობა და ვაჭრობა, ამან დააჩქარა ფეოდალიზმის ნიაღში ისეთ მოვლენათა ჩასახვა-განვითარება, რომელსაც ფულად სასაქონლო მეურნეობას ეძახიან. ვაჭრობა ხელოსნობის განვითარებამ ქალაქების კიდევ უფრო სწრაფი ზრდა განაპირობა. გაიზარდა მოთხოვნილება, როგორც სასოფლო, ისე საქალაქო პროდუქციაზე. ფულად სასაქონლო მეურნეობამ დაარღვია რეგლამენტური საზოგადოების არა მარტო გეოგრაფიული საზღვრები, არამედ სოციალურ-წოდებრივიც. ფულად-სასაქონლო წარმოება იმთავითვე თავისუფალი შრომის დამკვიდრებასაც გულისხმობდა, სავაჭრო-სასაქონლო საქმიანობაში ჩართული ადამიანების ინდივიდუალური ინტერესების დაცვის პრობლემამ სახელმწიფოს პოლიტიკაში გადაინაცვლა და იქ ჰპოვა გამოძახილი.

წინ წამოიწია ეკონომიკურიდან გამომდინარე ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა ინტერესებმა. ამ ინტერესების რეალ-

იზაციის გზაზე ყველაზე დიდ დაბრკოლებას ქმნიდა ის საზოგადოებრივი ინსტიტუტი , რომელიც საერთო ევროპული დაწესებულების პრეტენზიით გამოდიოდა. ასეთი იყო კათოლიკური ეკლესია რომის პაპის მეთაურობით. ეს იყო ყველაზე კონსერვატორული შენობა და უდიდესი პრეტენზიების დაწესებულება. კათოლიკური ეკლესიის ეს მისწრაფება ემყარებოდა არა მარტო იმას, რომ განაგებდა მთელი საზოგადოების სულიერ სამყაროს, არამედ უდიდეს მატერიალურ სიკეთესაც. ეკლესია ფლობდა ყველაფერ იმას, გარდა მისი საკუთარი წოდებრივი პრივილეგიებისა, რასაც ფლობდა საერო ფეოდალური საზოგადოება. ეკლესია ფლობდა ადგილ-მამულებს, ქალაქებს, სოფლებს, ყმა-გლეხებს და სხვა სახის მატერიალურ სიკეთეს. ცენტრი ამ საერთო ევროპული ორგანიზაციისა იყო რომის პაპი თავისი კურიითა და ღვთისმსახურთა უზარმაზარი არმიით. ეკლესიის ხელში არნახულმა სიმდიდრემ მოიყარა თავი. ეკონომიკურმა შესაძლებლობებმა პაპების პოლიტიკურ ძლიერებას შეუწყო ხელი. ამასთან ერთად უზენაესი საერო და სასულიერო უფლებების მქონე ეკლესიამ, რომელიც ფუფუნებით ცხოვრობდა, სულ უფრო და უფრო შორდებოდა სულიერი მწყემსის საპატიო მისიას და მანკიერებათა ჭაობში იძირებოდა. მომხვეჭელობა, სიმდიდრის დაგროვება, გარყვნილება და სხვა მანკიერებანი XIV-XV საუკუნეების ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი გახდა და ამ მდგომარეობის შეცვლა ეკლესიას არავითარ შემთხვევაში არ სურდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები და კათოლიკური ეკლესიის მისწრაფებანი სრულიად შეუთავსებელნი აღმოჩნდნენ. გამოიკვეთა მთელი ევროპული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშნები, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ბუნებრივი, აუცილებელი ზრდა და ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილების სრული შეუძლებლობა წოდებრივ, რეგლამენტულ საზოგადოებაში. წინააღმდეგობათა გამწვავდა მწარმოებლებს (მესამე წოდება) და მომხ-

მარებლებს (პირველ-მეორე წოდება) შორის. წინააღმდეგობა აზროვნების თავისუფლებასა და აზროვნების რეგლამენტაციას შორის. ასეთ ვითარებაში, უმთავრესი იყო საზოგადოებრივი აზროვნების გათავისუფლება, უნდა მომხდარიყო ფეოდალური სისტემის იდეოლოგიის, კათოლიკური ეკლესიის რეფორმირება. დანტე ალიგიერმა თუ პირველმა მიუჩინა პაპებს ადგილი ჯოჯოხეთში, იტალიელმა ჰუმანისტებმა მათ წმინდანის ნიღაბი ჩამოხსნეს. ასე დაიწყო ევროპულ სინამდვილეში ძიება ახალი ფორმებისა, ახლებურად აზროვნებისა და მთელი საზოგადოების აუცილებელი რეფორმისა. საზოგადოების კრიტიკა მისი იდეოლოგიის, წმინდა შარავანდედის, ეკლესიის კრიტიკით უნდა დაწყებულიყო და ასეც მოხდა. ეკლესიის პირველი მწყობრი კრიტიკა წამოაყენა ინგლისელმა თეოლოგმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორმა ჯონ უიკლიფმა, რომლის იდეებმა სწრაფად იწყეს გავრცელება არა მარტო ინგლისში, არამედ მთელს ევროპაში. განსაკუთრებით ნაყოფიერი ნიადაგი მის იდეებს ჩეხეთში დახვდა. ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა.

დიდმორავიის სამთავროში, რომელიც მომავალი ჩეხეთის სამეფოს საფუძველი გახდა, უკვე IX საუკუნეში გავრცელდა ქრისტიანობა, რომლის მქადაგებლები სლავთა დიდი განმანათლებლები, კირილე და მეთოდე იყვნენ. X საუკუნიდან იწყება სლავური მიწების ე.წ. გერმანული კოლონიზაცია, რასაც თან სდევდა რომის პაპების ანუ დასავლურ კათოლიკური ეკლესიის გავლენის ზრდა და კათოლიკობის საბოლოოდ დამკვიდრება. განსაკუთრებულ სიძლიერეს ჩეხეთის სამეფომ XIII საუკუნის შუა ხანებში მიაღწია, მეფე პრუემისლ მეორის დროს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ (1278 წ.) იწყება პრუემისლოვიჩების ჩეხეთის თანდათანობითი დაქვეითება. 1310 წლიდან ჩეხეთის სამეფო ტახტზე. ლუქსემბურგების დინასტიის წარმომადგენლები ადიან. (პირველი იყო იან ლუქსემბურგელი), რომლებიც იმავე დროს რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის გვირგვინსაც ატარებდნენ. ასე აღმოჩნდა ჩეხ-

ეთი იმ ეფემერული იმპერიის ნაწილი, რომელსაც ჟღერადი სახელი „რომის საღვთო იმპერია“ ჰქონდა და რომელიც, გარდა გერმანული მიწებისა, აერთიანებდა იტალიის ნაწილს, ჩეხიას და დასავლეთში გაბნეულ მცირე ტერიტორიებს. ამ იმპერიის პოლიტიკურ ცენტრად პრაღა გადაიქცა. ამიერიდან ჩეხეთის მეფე იმპერატორის გვირგვინის მფლობელიც იყო. სერიოზული წინსვლა ჩეხეთის სამეფომ განიცადა კარლ IV ლუქსემბურგელის მეფობისას (1346-1378). ეს მეფე თავისი დროისათვის ფრიად განათლებული და რეალურად მოაზროვნე იყო. მან კარგად იცოდა, რომ ვერაფერს დააკლებდა და ვერ დაიმორჩილებდა გაძლიერებულ გერმანელ ტერიტორიულ მთავრებს, ამიტომ ის უფრო თავის სამკვიდრო ჩეხეთზე ზრუნავდა, ვიდრე მთელ იმპერიაზე. მისი დამოკიდებულება გერმანელი ტერიტორიული მთავრებისადმი სრულად გამოჩნდა მის მიერ ხელმოწერილ „ოქროს ბულაში“ (1356 წ.), ამ სამართლებრივი აქტით ამიერიდან იმპერატორი ირჩეოდა მთავრების კოლეგიის მიერ (კურფიურსტთა მიერ) კოლეგიაში შედიოდა ექვსი გერმანელი ტერიტორიული მთავარი (კელნის, მაინცის და ტრირის არქიეპისკოპოსები, ბრანდერბურგის, საქსონიის და პფალცის მთავრები, სამი სასულიერო და სამიც საერო) მეშვიდე იყო თავად ჩეხეთის მეფე, ანუ იმპერატორი, რეალური ძალაუფლება კურფიურისტთა ხელში გადავიდა. კარლ IV კარგად ხვდებოდა მდგომარეობას. მან იწყო ჩეხეთის და განსაკუთრებით ქალაქ პრაღის ყველანაირად გაშენება-გამშვენიერება. აშენდა სასახლეები, (მათ შორის, პრაღის კრემლი) სასტუმროები, ხიდები, გზები და სავაჭრო ადგილები. 1348 წელს დაარსდა ცენტრალურ ევროპაში პირველი, პრაღის უნივერსიტეტიც. მასზე ამბობდნენ: „ჩეხეთის მამაა და გერმანიის მამინაცვალიო.“ კურფურებისაგან ხელფეხშეკრულ მეფეს სხვანაირად არც შეეძლო მოქცევა, მისი გავლენა ჩეხეთის სამეფოს გარეთ მოჩვენებითი იყო. კარლ IV დროს ჩეხეთი ეკონომიკურად სწრაფად დაწინაურდა. განვითარდა ხელოსნობა და ვაჭრობა. ქალაქები,

პრაღა, პლზენი, ბრნო, კუტნაგორა და სხვები, მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრებად იქცნენ. საღვთო რომის იმპერიის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში მოქცევამ, ცხადია, დადებითად იმოქმედა ჩეხეთის ეკონომიკურ განვითარებაზე. ფეულად სასაქონლო მეურნეობის განვითარებამ ბიძგი მისცა ახალი დარგების, (სამთამადნო, მომპოვებელი და სხვა...) აღმოცენებას, განსაკუთრებით გააქტიურდა ვერცხლის მოპოვება. ჩეხეთზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზებიც, ასეთ ეკონომიკურ და კულტურულ წინსვლას სხვა ნეგატიური მოვლენებიც ახლდა. საღვთო იმპერიის ფარგლებში ყოფნამ, ჩეხეთში კვლავ გააძლიერა გერმანული ელემენტების მომძლავრება, თუ გერმანელთა კოლონიზაცია ადრე XI-XII საუკუნეებში ჯვრითა და მახვილით ხორციელდებოდა, ახლა მშვიდობიანი ფორმა ჰქონდა. ცენტრალური (საიმპერიო) ხელისუფლების სისუსტეს ყველაზე უფრო კათოლიკური ეკლესია იყენებდა და ეკლესიის მსახურთა თავაშვებულობა და პრეტენზიები ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც საღვთო იმპერიაში. მრავალრიცხოვან საეკლესიო გადასახადებს ჩეხეთში. ისიც ემატებოდა, რომ საერო და სასულიერო ხელისუფლების ყველაზე სარფიანი თანამდებობები გერმანელებს ეკავათ. ამდენად, ჩეხეთის მოსახლეობაში დაგროვილი ანტიპაპისტურ, ანტიკათოლიკურ განწყობას, ანტიგერმანულიც ემატებოდა. იქმნებოდა წინააღმდეგობათა ისეთი კვანძი, რომლის გახსნაც ძირეული რეფორმების გარეშე შეუძლებელი იყო. ამასთან პრობლემის გადაჭრა, ეროვნული ინტერესების გაუთვალისწინებლობისა და დაცვის გარეშე შეუძლებელი ჩანდა. ამ წინააღმდეგობებმა კულმინაციას XIV საუკუნის ბოლოს და XV საუკუნის დასაწყისში მიაღწიეს, რომელსაც თან დაერთო კათოლიკური ეკლესიის შინაგანი კრიზისიც. ასეთ რთულ ვითარებაში მოუხდათ გამოსვლა იან ჰუსსა და იერონიმე პრაღელს, ხოლო დაგროვილ პრობლემათა გადაჭრის თეორიულ წინამორბედად, მათ ჯონ ვიკლიფის მოძღვრება მიაჩნდათ.

ჰუზისმისა და ჰუსის მიმართ ინტერესი უდიდესი იყო ამ მოვლენის წარმოშობისთანავე. ერთი საუკუნეც არ იქნებოდა გასული ჰუსის მოწამეობრივი სიკვდილიდან, როცა დიდი გერმანული რეფორმაციის მამამთავარი, მარტინ ლიუ-

იან ჰუსი

თერი იტყვის: „ ამ კაცში, იან ჰუსში, იყო დიადი და მშვენიერი სული, თუ ის ერეტიკოსი იყო, მაშინ აღარ დაბადებულა დედამიწაზე არც ერთი ჭეშმარიტი ქრისტიანი, ვინაიდან რა ნაყოფით უნდა შეიცნო ჭეშმარიტი ქრისტიანი, თუ არა ისეთით, როგორიც გვიბოძა ჩვენ იან ჰუსმა". მოვლენებით მდიდარი, რომანტიული და ჰეროიკული ჰუსიტური მოძრაობა ყოველთვის იყო ისტორიკოსთა კვლევის ობიექტი. ჩეხურ და ევროპულ ენებზე, სამეცნიერო თუ მხატვრული, უამრავი ლიტერატურაა შექმნილი, გამოქვეყნებულია პირველწყაროები და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თარგმნილია კიდეც უცხო ენებზე. ჰუსისა და მისი ეპოქის წყაროები გამოქვეყნებულია რუსულ ენაზეც (რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით). ჰუსისა და იერონიმე პრაღელის მოღვაწეობისადმი ინტერესი რუსულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ დიდი იყო. XIX-XX საუკუნეებში არა ერთი ნაშრომი მიეძღვნა მათ მოღვაწეობას. ამ ნაშრომთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ჰუსიტური მოძრაობის ანტიკათოლიკური ხასიათის წინა პლანზე წამოწევა და მისი ეროვნული არსის, ან მიჩქმალვა, ან ზედაპირული განხილვა. იმპერიულ აზროვნებას, ალბათ საზოგადოდ, არ სურს დაინახოს ჰუსიზმის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათი, თვით ლევ ტოლსტოიც კი, რომელმაც პოპულარული ნარკვევები უძღვნა ჰუსსა და ლუთერს, უკიჟინებს გერმანელთა მოძალებას ჩეხეთში, არ მოსწონს მათი „გამათავისუფლებელი" მისია. თანაგრძნობით ეკიდება ჩეხეთის ეროვნულ მისწრაფებებს, მაგრამ საეჭვოა დიდ მწერალს ისეთივე მონდომებით დაეცვა რომანოვების რუსეთისგან დამონებული სხვა ხალხები, თუნდაც ქართველები. ამ თვალსაზრისით უფრო შორს არც თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიაა წასული. ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო წყაროებისა და ლიტერატურის გამოყენებით, აგრეთვე ინტერნეტის ქსელით მოპოვებული მასალების მომარჯვებით, ქართველ მკითხველს ვთავაზობთ ჩვენს მოკრძალებულ თხზულებას, ჩეხი ხალხის დიდი შვილების იან ჰუსისა და იერონიმე პრაღელის

ცხოვრების, მოღვაწეობის და მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ. ჩვენი ვარაუდით, ეს იქნება ჰუსიტური მოძრაობისადმი მიძღვნილი ნაშრომის პირველი ნაწილი, მეორე კი რომელიც ჰუსიტური ომების გმირულ ეპოპეას მიეძღვნება, მომავლის საქმეა.

ცხოვრება და ღვაწლი იან ჰუსისა

ჯვარზე აკრავენ მას ხშირ-ხშირად და უსაფუძვლოდ,
ცილისწამებით და გინებით უტეხენ სახელს,
ისინი ვინაც მას დიდებით უნდა ჰმოსავდნენ.

დანტე, ღვთაებრივი კომედია ჯოჯოხეთი,
ქება მეშვიდე

მშობლიურ ჰუსინეცში. უცნაურია ისტორიის ახირება. ზოგჯერ ისეთი ადამიანის ბიოგრაფიას მოაქცევს გაურკვევლობის ბურუსში, ვის მიმართაც მომავალი თაობები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. იან ჰუსის ბავშვობის შესახებ ერთობ მწირი ცნობები მოგვეპოვება, ის დაიბადა 1371 წელს (თვე და რიცხვი უცნობია) სამხრეთ ჩეხეთში. სამეფო ქალაქ პრაღიდან ათიოდე კილომეტრზე მდებარე სოფელ ჰუსინეცში. ერთი რამ უდავოა, ის ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები პატიოსანი, ღვთისმოშიში და მძიმე შრომას შეჭიდებული ადამიანები ყოფილან. გადმოცემით, მამას მიხეილი რქმევია, დედის სახელი კი უცნობია.

სამხრეთ ჩეხეთის ეს ადგილი მთაგორიანია, სწრაფი მდინარეებით და უსიერი ტყეებით. ვაკე, სახნავ სათესად ვარგისი მიწების დიდი ნაწილი პანების (მსხვილი ფეოდალები) საკუთრებაში გახლდათ და ადგილობრივი გლეხობა მიწის სიმცირის გამო დიდ გაჭირვებაში იყო. ჰუსის ოჯახიც თავს გაჭირვებით ირჩენდა, აქაური გლეხების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საარსებო წყარო იყო ხე-ტყის დამზადება და მდინარეებით ქალაქ პრახატიცემდე ჩამოტანა. მამამისიც ხის მჭრელი ყოფილა. ეს სამეფო ქალაქი კი საკმაოდ მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი გახლდათ. აქ გადიოდა დატვირთული

სავაჭრო გზა ჩრდილოეთიდან და ავსტრიიდან პრაღისკენ. ამის წყალობით პრახმოტიცეში აღებ-მიცემობა სწრაფად ვითარდებოდა. ყიდულობდნენ და ყიდიდნენ ხე-ტყეს, ტყავეულს, შემოტანილ ზეთს და ღვინოს, ლითონის ნანარმს და ძვირფასეულობას, მინასა და ვერცხლს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა ბავარიიდან შემოტანილ მარილს,



სახლი ჰუსინეცში, სადაც დაიბადა იან ჰუსი

თუ ქართველი კაცისთვის აღზევანიდან ჩამოტანილ მარილს ჰქონდა საარსებო მნიშვნელობა, ჩეხეთის ქალაქებისთვის – ბავარიიდან შემოტანილს.

აი, ასეთ გარემოში, ბავშვობიდანვე მძიმე შრომაში იზრდებოდა იან ჰუსი, მართლაც, ასეთ ადამიანზე იტყვიან: ხალხის ცხოვრებით იცხოვრაო.

ჩვეულებრივ, მაშინდელ ოჯახში, უკეთესი ცხოვრების მოსაწყობად, ყველაზე ხელსაყრელად სასულიერო გზას მი-

იჩნევდნენ. ჰუსის მშობლებიც ამაზე ოცნებობდნენ, თურმე ერთხელ დედას უთქვამს პატარა იანისთვის: „ჩემო ბიჭუნავ რა უნდა იყოს მოზარდისთვის უკეთესი ცხოვრების სახელმძღვანელო თუ არა ღვთის სიტყვა“ უაღრესად ღვთისმოშიში დედის ეს შეგონება დიდ პატრიოტს ცხოვრების ბოლომდე არ დავიწყებია. ჰუსინეცში სკოლა არ იყო და მშობლებმა იმდენი შეძლეს, რომ პატარა იანი პრახატიცეს სკოლაში მიებარებინათ.

ეს იყო შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული სკოლა, სადაც ასწავლიდნენ ჯერ გრამატიკას, რიტორიკას და დიალექტიკას, უფროს კლასებში, კი არითმეტიკას და ასტრონომიას. რასაკვირველია, მაშინ ამ დისციპლინებს ის მნიშვნელობა არ ჰქონდათ როგორსაც დღეს ჩვენ მოვიაზრებთ. გრამატიკაში, უპირველეს ყოვლისა, ლათინური გრამატიკის სწავლება იგულისხმებოდა, არითმეტიკაში, მიმატება – გამოკლება და საერთოდ, რიცხვების ანგარიში ასტრონომიაში ძირითადი იყო საეკლესიო დღესასწაულების გაზეპირება და სხვა. სწავლობდნენ, ბუნებრივია, საღვთო წერილის შინაარსს, აზეპირებინებდნენ ცალკეულ ფრაგმენტებს, გალობდნენ ფსალმუნებს და სხვა.

არ ვიცით, როგორ მიმდინარეობდა მოსწავლე იან ჰუსის ცხოვრება პრახატიცეში. ალბათ, როგორც ყველა გაჭირვებული გლეხის შვილისა. ძვირი იყო მაშინ პერგამენტი თუ ქაღალდი, სასწავლო წიგნები თუ მასალები, ამას ემატებოდა მასწავლებელთათვის მისართმეველი, ძირითადად, პროდუქტის სახით. უფროს კლასელობისას (ზუსტად არ ვიცით როდის) იან ჰუსს გარდაეცვალა მამა. ოჯახს კიდევ უფრო გაუჭირდა, საჭირო გახდა საარსებო გზის გამონახვა, მოზარდს სწავლა და სასულიერო გზა ხიბლავდა, (მოგვიანებით აღიარებდა ამ გზით საკვებითა და ჩასაცმლით მაინც ვიქნებოდი უზრუნველყოფილიო) სწავლის გაგრძელების გზა კი პრაღისკენ მიდიოდა. 18 წლის იან ჰუსს გაუმზადა დედამ მცირე საგზალი, ჯიბეში ედო რამდენიმე ფენინგი, (ფულის ერთეულია), ხელში



წმინდა ვიტეს ტაძარი პრაღაში

ეჭირა ერთი ბატი, რომელიც გზაში გაექცა და დაადგა პრაღის გზას.

პრაღა იმდროინდელი ევროპის ერთ-ერთი უდიდესი და უმშვენიერესი ქალაქი გახლდათ, რომის საღვთო იმპერიის ცენტრი, ლუქსემბურგების დინასტიის სამკვიდრო და მშობლიური ქალაქი. გააშენა და გაამშვენიერა იგი კარლ IV. აიგო ხიდები მდინარე ვლტავაზე, გაშენდა ახალი კრემლი, დაიგო ქვაფენილები, აიგო ტაძრები და სამლოცველოები, სასტუმროები და ფუნდუკები. აშენებდნენ სამ და ოთხ სართულიან

ქვის სახლებსაც. მაშინდელი პრაღა რამდენიმე უბნისგან შედგებოდა (როგორც ძველი თბილისი). რომელთაგან უმთავრესი იყო – ძველი უბანი, ახალი უბანი, მცირე უბანი და სხვა... პრაღის მოსახლეობა მაშინ ოცდაათი ათასზე მეტი იყო და ის ევროპის მასშტაბით ერთ-ერთ დიდ ქალაქად ითვლებოდა. პრაღა არა მარტო დიდი და ლამაზი იყო, არამედ მდიდრულიც. ქალაქის არისტოკრატები: მდიდარი პატრიციები, ვაჭრები, ხელოსნები, ბანკირები, ფინანსისტები და სხვა დანარჩენები, ძირითადად, ძველ უბანში ცხოვრობდნენ. პრაღის სახელოსნოები და პროდუქცია მთელს ევროპაში იყო ცნობილი და მათზე მოთხოვნა იზრდებოდა, განსაკუთრებით, ჩეხურ მინასა და ვერცხლზე.

მიუხედავად ამისა, პრაღის სიამაყე მაინც მისი უნივერსიტეტი იყო. 1348 წელს დაარსა იგი „ჩეხეთის მამამ" იმპერატორმა კარლ IV ლუქსემბურგელმა (1346-1378 წწ.) ეს იყო რომის საღვთო იმპერიის პირველი უნივერსიტეტი.

ამ უნივერსიტეტის კარს, სავარაუდოდ 1389 წელს მოადგა ჰუსინეციდან ჩამოსული ჭაბუკი იან ჰუსი.

პრაღის უნივერსიტეტში. XIV საუკუნის მიწურული ჩეხეთისათვის განსაკუთრებული იყო, კარლ IV და მისი მემკვიდრეების, ვაცლავ IV (გერმანელები მას ოტოკარს ეძახდნენ, 1378-1419 წწ.) დროს აშკარად ჩანდა ეკონომიკური წინსვლა, მაგრამ იზრდებოდა პრობლემებიც, თანაც ისეთები, რომლებიც ახლო მომავალში არა მარტო სოციალურ და ეკონომიკურ სირთულეებს შექმნიდა, არამედ ეროვნული კატასტროფითაც იმუქრებოდნენ. პრაღა, როგორც აღვნიშნეთ XIV საუკუნეში რომის საღვთო იმპერიის ცენტრად იქცა. პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ იმპერიაში ერთიანდებოდა არა მარტო საკუთრივ გერმანია, არამედ ჩეხეთიც და იტალიის დიდი ნაწილიც. ჩეხეთის ბიურგერ-მოქალაქეთა, ფართო ევროპულ სივრცეში შედარებით თავისუფალმა მიმოსვლისა და ვაჭრობის შესაძლებლობამ დიდი ბიძგი მისცა საქალაქო ცხოვრების დაწინაურებას. ამან განაპირობა ჩეხეთის

ქალაქების და განსაკუთრებით პრაღის აყვავება, მაგრამ ამ მოჩვენებითი კეთილდღეობის მიღმა, იმალებოდა საფრთხე, რომელმაც XIV საუკუნის მიწურულს და XV საუკუნის დასაწყისში მკაფიოდ იჩინა თავი.

ჰუსიტური ეპოქისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში, წინა პლანზეა წამოწეული სოციალურ წინააღმდეგობათა სიმწვავე და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, ეს გასაგებიცაა, ვინაიდან XIV-XV საუკუნეებში მთლიანად დასავლეთ ევროპაში და მით უფრო ეკონომიკურად მზარდ ჩეხეთის სინამდვილეში, სოციალური და საერთოდ, საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი, მართლაც, გამწვავდა, მაგრამ ამ მოვლენას ჩეხეთში თავისებური, განსაკუთრებული სახე მიეცა. ამის მიზეზი ეროვნული პრობლემა იყო.

ჩეხეთის (ძველად მორავიის) სამეფოს უკვე X საუკუნიდან უხდებოდა ბრძოლა გერმანელი კოლონისტების წინააღმდეგ. XIV საუკუნიდან, როცა ჩეხეთი რომის საღვთო იმპერიის შემადგენობაში მოექცა (1310 წ.) გერმანული კოლონიზაციის პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური და საშიში გახდა. ერთიანი პოლიტიკური სივრცე საშუალებას აძლევდა გერმანელებს ჩამოსახლებულიყვნენ ჩეხეთის ქალაქებში და მიეღოთ პრივილეგირებული უფლებები, გერმანელი კოლონისტების ხელში თანდათან ექცეოდა ჩეხური მიწებიც. მთელი XIV საუკუნის განმავლობაში, თანდათანობით ჩეხეთის ქალაქების მმართველობა და ეკონომიკური სადავეები, გერმანელი ბიურგერების ხელში აღმოჩნდა. იგივე პროცესი შეინიშნებოდა სოფლადაც. განსაკუთრებით საშიში ჩეხეთისათვის ის იყო, რომ გერმანული კოლონიზაცია ხდებოდა რომის პაპის კურთხევითა და კათოლიკური ეკლესიის უშუალო მონაწილეობით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპოქის ჩეხეთის და მთელი ევროპის უდიდესი ფეოდალი კათოლიკური ეკლესია იყო. მას ეკუთვნოდა ჩეხეთის სახნავ-სათესი ფართობის თითქმის ნახევარი. უამრავი სახის საეკლესიო გადასახადები, მართლაც, უმძიმესი გახლდათ გლეხობისათ-

ვის, რაც ამ უკანასკნელთა სამართლიან პროტესტს იწვევდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ჩეხეთის ეკლესიის მეთაურთა, ეპისკოპოსთა უმრავლესობაც, გერმანელი იყო. უცხონი იყვნენ ჩეხებისათვის გერმანელი ეპისკოპოსები, არა მარტო ეთნიკურად, არამედ ლიტურგიულადაც. წირვა-ლოცვა, ხომ ლათინურ, ჩეხი ხალხისათვის გაუგებარ ენაზე ტარდებოდა. ეს კიდევ უფრო ზრდიდა სიდუხჭირისგან გამოწვეულ უკმაყოფილებას. უნიათო ვაცლავ IV (იგივე ოტოკარი) დროიდან, გერმანული ელემენტების მოძალება ჩეხეთში კიდევ უფრო გაიზარდა. გერმანული ენა ჩეხი თავადაზნაურობის უმეტესობისათვის ჩვეულებრივ სასაუბრო ენად იქცა. გერმანული ადათ-წესები, ჩვეულებანი, თანდათანობით ფეხს იკიდებდა ჩეხეთის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. გამონაკლისი, არც მთელს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში უძველესი პრაღის უნივერსტეტი გახლდათ. უნივერსიტეტის პროფესორთა აბსოლუტური უმრავლესობა, გერმანიიდან მოწვეულები იყვნენ. სწავლება, რასაკვირველია, აქაც ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. ჩეხური ენა თანდათან გადაიქცა უფუნქციო ენად. მას არ იყენებდნენ სულიერ ცხოვრებაში-ეკლესიაში, სკოლაში და უნივერსიტეტშიც ლათინური იყო, მმართველი არისტოკრატია და სამეფო კარი გერმანულ ყაიდაზე ცხოვრობდა და საუბრობდა, მაღალი სასულიერო და საერო თანამდებობანი გერმანელებს ეპყრათ. ეს ყველაფერი კათოლიკური ეკლესიის ხელშენყობითა და დაინტერესებით ხდებოდა. კათოლიკური ეკლესიის მხრიდან სოციალურ, რელიგიური და ეროვნული ძალმომრეობითი პოლიტიკის მიმართ გამოთქმული ნებისმიერი პროტესტი იმავდროულად ანტიგერმანულიც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ეს გერმანელი ეპისკოპოსების ხელით ხორციელდებოდა. ამავე დროს ყველა ანტიგერმანული გამოსვლა უსათუოდ შეიცავდა ანტიკათოლიკურ, პაპის ხელისუფლების საწინააღმდეგო შინაარსსაც. ამდენად, ჩეხეთის სინამდვილეში ერთმანეთს შეერწყა ეროვნული და რელიგიური, სასულიერო და საერო ხასიათის

მწვავე პრობლემები. ამ პრობლემების გადაჭრა ეროვნული და რელიგიური თავისუფლების გარეშე შეუძლებელი ჩანდა. რამდენიმე წლის შემდეგ სწორედ ასეთი თავისუფლებისათვის ბრძოლის სათავეში აღმოჩნდა 1389 წელს პრაღაში ჩასული იან ჰუსი.

პრაღის უნივერსიტეტში, როგორც ეს მაშინდელ ევროპაში იყო მიღებული, სამი ფაკულტეტი არსებობდა, ესენი იყო: სამედიცინო, იურიდიული და საღვთისმეტყველო. როდესაც იან ჰუსი სტუდენტი გახდა უნივერსიტეტში ორიათასამდე სტუდენტი იყო (ეს იმ დროისთვის ძალიან დიდი რიცხვია). ჰუსი ჯერ ჩაირიცხა, ეგრეთ წოდებულ, „არტისტულ" ფაკულტეტზე, სადაც გაღრმავებულად ისწავლებოდა ის დისციპლინები, რაც სკოლაში. ეს იყო „უმცროსი" ფაკულტეტი, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ შეეძლო მსმენელს შესულიყო „უფროს" საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე. „უმცროს", ფაკულტეტზე სწავლისას ჰუსმა სრულყო თავის ცოდნა ლათინურში, შეისწავლა გერმანული და გაიღრმავა ცოდნა ლოგიკაში, თეოლოგიაში და სხვა. ის მალე გახდა უკეთესთა შორის გამორჩეული სტუდენტი. აქაც გაჭირვებით ცხოვრობდა. ძლივს შოულობდა საკვებს და როგორც გადმოგვცემენ კოვზიც კი არ ჰქონია და პურის გულისაგან გაკეთებული კოვზით მიირთმევდა. ხშირად საჭმელს კოვზსაც ზედ მიაყოლებდა ხოლმე. 1393 წელს დაამთავრა უნივერსტეტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი. ამავე დროს მან მიიღო ეკლესიის მოძღვრის უმდაბლესი თანამდებობა და გახდა სასულიერო პირი. ჰუსს არ შეუწყვეტია სწავლა და .1396 წელს მას უკვე თეოლოგიის მაგისტრის ხარისხი აქვს. იგი იწყებს ლექციების კითხვას პრაღის უნივერსტეტში. იმავე წლებში იმოგზაურა გერმანიასა და საფრანგეთში. კათოლიკური ეკლესიის ცხოვრებას აქამდე თუ გარედან, ზედაპირულად ხედავდა, მას შემდეგ რაც სასულიერო პირი შეიქმნა, მისი უშუალოდ მონაწილე გახდა. მან ცხადად დაინახა ეკლესიის მსახურთა ზნეობრივ-მორალური გადაგვარება. სიმდიდრისკენ სწრაფ-

ვა, მომხვეჭელობა, ფარისევლობა, გარყვნილება, საეკლესიო თანამდებობებითა და სიწმინდეებით ვაჭრობა, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. იან ჰუსი, როგორც ხალხის წიაღიდან გამოსული, ამავე დროს მაღალი რნმენისა და ინტელექტის ადამიანი, ნათლად ხედავდა ეკლესიის მსახურთა ამ გადაგვარებას. იმასაც კარგად ხედავდა, რომ მაღალი სასულიერო იერარქიის პირები და თვით პაპიც ამ ჭაობში იყვნენ ჩაფლული. ამასთან, ჰუსი ხედავდა საკუთარი ქვეყნის, ჩეხეთის წინაშე მდგარ საშიშროებას და სულ უფრო უმძაფრდებოდა პროტესტის გრძნობა. ღრმად მორწმუნე, მაღალი ზნეობის და უაღრესად ღვთისმოსავი ჰუსი, მშობლიური ჰუსინეცის, მთელი ჩეხეთის და ჩეხური კულტურის სიყვარულსაც ასევე ატარებდა გულში, შინაგანი ერთგვარი გაორება, ეკლესიისადმი რწმენა და სამშობლოს სიყვარული დიდხანს აშფოთებდა მის სულს. ჰუსი ერთნაირი გულმოდგინებით სწავლობდა საღვთო წერილის სიბრძნეს და ეძებდა ხსნას თავისი ქვეყნისათვის. მისი ნათელი გონება უკვე კარგად ხედავდა ჩეხეთისთვის იმ საფრთხეს, რასაც სხვები ჯერ კიდევ ვერ ამჩნევდნენ ან მოჩვენებითი სიამოვნებით მიჰყვებოდნენ ცხოვრების დინებას. ის უფრო დაინტერესდა ჩეხი პატრიოტებისა და სწავლულების შემოქმედებით, მოწინავე ადამიანები ჰუსამდეც ხედავდნენ გერმანულ-კათოლიკური მოძალების საშიშროებას, საერთოდ, კათოლიკური ეკლესიის მანკიერებას და აკრიტიკებდნენ მას.

ერთ-ერთი პირველი, ვინც გავლენა მოახდინა ჰუსზე, იყო წარმოშობით გერმანელი მოძღვარი კონრად ვალდჰაუზერი, რომელმაც XIV საუკუნის 60-იან წლებში ერთ-ერთი მონასტერში მრევლის წინაშე ქადაგებისას პირდაპირ განაცხადა, რომ შეუწყნარებელია ეკლესიის მსახურთა სწრაფვა სიმდიდრისაკენ, ფუფუნებისკენ, რომ საჭიროა ამ მანკიერებებისაგან თავის დაღწევა. როგორც ჩანს, ვალდჰაუზერის ამ გამოსვლას გავლენა მოუხდენია ჰუსის კრიტიკულ აზროვნებაზე. იან ჰუსის წინამორბედად, გარდა აღნიშნულისა, მიიჩნევენ კიდევ

ჩეხ მოძღვარ მქადაგებელს იან მილიჩს კრომერაჟიდან. იან მილიჩი მაღალი ზნეობის კაცი ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ერთხანს მას საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეჭირა (ის სამეფო კანცლერის ნოტარიუსი იყო) საჯაროდ აკრიტიკებდა საერო თუ სასულიერო ხელისუფალთ „საერო თუ სასულიერო პირები, რომლებიც უსამართლოდ მართავენ ქვეყანას, მმართველები კი არა მძარცველები არიანო", ამბობდა თურმე იან მილიჩი. თვით იმპერატორ კარლ IV, რომელიც მაინცდამაინც არ იცავდა ქრისტიანულ ზნეობრივ ნორმებს, მილიჩმა საჯაროდ ანტიქრისტე უწოდა. იან მილიჩის აზრები სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში და საერთო უკმაყოფილების გრძნობას კიდევ უფრო ამძაფრებდა.

განსაკუთრებული გავლენა იან ჰუსის სულიერ განწყობაზე მოუხდენია მათე იანოველის შეხედულებებს. ამ ფრანცისკანელს განათლება მიღებული ჰქონდა პარიზის უნივერსტეტში (დაასრულა თეოლოგიის და ფილოსოფიის ფაკულტეტი), სწავლობდა რომში და მიიღო მაგისტრისა და პროფესორის წოდება. მათე იანოველის მიერ კათოლიკური ეკლესიის კრიტიკა გაცილებით უფრო ღრმა და არგუმენტირებული იყო. ის არა მარტო იმდროინდელი ეკლესიის სიხარბეს და გადაგვარებას აკრიტიკებდა, არამედ ზოგიერთ საეკლესიო დებულებასაც. ის უარყოფთა სასულიერო პირთა განსაკუთრებულობას რწმენის სფეროში და მოითხოვდა ზიარებას საეროთათვისაც ორივე ფორმით: სეფისკვერითა და ღვინით. (ორივე სახით ზიარების უფლება მხოლოდ სასულიერო პირებს ჰქონდათ, საეროებს კი – მხოლოდ სეფისკვერით. კათოლიკურ ეკლესიაში ეს დღესაც ასეა). მათე იანოველი ნიმუშად ადრექრისტიანული თემების ცხოვრებას სახავდა, ხოლო გაუმაძღარ კათოლიკე სასულიერო პირებს, მათ შორის, პაპსაც, ანტიქრისტეებს უწოდებდა. ამავე დროს მათე იანოველი ხალხის ყურადღებას მიაპყრობდა საღვთო წერილზე, (ბიბლიაზე) როგორც ერთადერთ სინმინდეზე, რომლიდანაც უნდა იხელმძღვანელოს მორწმუნემ. მათე იანოველის შეხედ-

მეფე ვაცლავ IV

ულებები პრაღის უნივერსიტეტში აზრთა დიდ სხვადასხ-ვაობას და აჟიოტაჟს იწვევდა. ამ პოლემიკაში, ბუნებრივია, მონაწილეობდა ჰუსიც. მალე იან ჰუსმა საღთისმეტყველო ფაკულტეტიც დაასრულა და ბაკალავრის ხარისხთან ერთად მიიღო ეკლესიის მოძღვარ-მქადაგებლის ადგილიც. ამავე

წელს მოხდა ერთი საინტერესო ფაქტი, რომელმაც არანაკლები როლი ითამაშა ჰუსის შეხედულებათა ფორმირებაში.

ცოტა ხნით ადრე პრაღა და ლონდონი დამოყვრდნენ, ვაცლავ IV-ის და ინგლისის მეფეზე დაქორწინდა. ამ დაახლოების შედეგად რამდენიმე ჩეხი სტუდენტი ჩაირიცხა ოქსფორდის უნივერსტეტში, სადაც გაეცნენ ინგლისელი თეოლოგის, ჯონ უიკლიფის შეხედულებებს და 1400 წელს, პრაღაში დაბრუნების შემდეგ, თან ჩამოიტანეს უიკლიფის ნაშრომებიც. ამ ნაშრომებმა უდიდესი ინტერესი გამოინვია და მალე მისი აზრები სტუდენტთა და პროფესორთა მსჯელობის საგანი გახდა. ჰუსი უყოყმანოდ დადგა უიკლიფის მიერ გამოთქმული მოსაზრებების დამცველთა შორის. ის გამალებით იწერდა და ამრავლებდა უიკლიფის თხზულებებს, აკეთებდა კომენტარებს და აღფრთოვანებაში მოდიოდა უიკლიფის იდეებით კათოლიკური ეკლესიის გარდაქმნის აუცილებლობის თაობაზე. გადანერილი თხზულებების არშიებზე არაერთხელ გაუკეთებია ასეთი მინაწერი: „რაც აქ წერია, ოქროს ფასი აქვს“ ან კიდევ „ღმერთო, ნათელში ამყოფე იმქვეყნად უიკლიფი“ და სხვა. უიკლიფი კი პაპის მიერ შერისხული იყო.

ამ ნაწარმოებებმა თეორიულად მოამზადეს ჰუსში ეროვნულ-რელიგიური პროტესტი. იყო კიდევ ერთი ფაქტი, რამაც საბოლოოდ შეურყია რწმენა იმდროინდელი კათოლიკური ეკლესიისადმი, ეს იყო განხეთქილება პაპის კურიაში.

საეკლესიო და პოლიტიკური არეულობანი. XIV-XV საუკუნეები დიდი საეკლესიო განხეთქილებებითაცაა გამორჩეული ევროპის ისტორიაში. ეს იყო საერთო ევროპული მოვლენა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს არის ეპოქა, როდესაც საფუძველი ეყრება ფულად-სასაქონლო მეურნეობას, ადრეკაპიტალისტურ ელემენტებს. საქონელ-ბრუნვამ, ფულის აქტიურმა მიმოქცევამ სოციალურ და ეკონომიკურ ძალთა გადაჯგუფებამ, ეროვნულ ინტერესთა კონცენტრაცია გამოიწვია. ყველაზე უკეთ ეს გამოჩნდა ინგლისში, საფრანგეთში და ზოგიერთ იმ დროის ეკონომიკურად

განვითარებულ ქვეყანაში, მათ შორის, ჩეხეთშიც. ეროვნულ-ეკონომიკური ინტერესების წინ წამონევამ დღის წესრიგში ეროვნულ-პოლიტიკური პრობლემებიც დააყენა. ამდენად, ევროპულ სივრცეში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საერთო ევროპული დაწესებულების პრეტენზიის მქონე კათოლიკური ეკლესია (კოსმოპოლიტური ძალა) და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე კონკრეტული ქვეყნების ეკონომიკურ-პოლიტიკური მისწრაფებანი. პაპის (კათოლიკური ეკლესიის) კოსმოპოლიტურ დაწესებულებას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები დაუპირისპირდნენ.

ეროვნული ინტერესები ზოგჯერ ძლიერი სამეფო ხელისუფლების გარშემო კონცენტრირებით იცავდნენ თავს (მაგ. საფრანგეთში), ზოგჯერ კი პირდაპირ აყენებდნენ საკითხს პაპის ხელისუფლებისგან საბოლოო გამიჯვნის თაობაზე (მაგ. ინგლისი). საეკლესიო ცხოვრების ასპექტში ამ პრობლემამ განსახილველ ეტაპზე, საეკლესიო კრებებისა და პაპის ავტორიტეტის დაპირისპირების სახე მიიღო. დასავლეთის საქრისტიანოსათვის რომელი უნდა ყოფილიყო უფრო უზენაესი, პაპის ერთპიროვნული დადგენილებები თუ საეკლესიო კრების (ვთქვათ, საფრანგეთის საეკლესიო წრეების) დადგენილებანი? პოლიტიკურ ასპექტში საკითხი ასე დადგა: აქვს თუ არა უფლება პაპის ხელისუფლებას ჩაერიოს სხვა ქვეყნის საშინაო (ეკონომიკურ, თუ პოლიტიკურ) საკითხებში? ფრანგებმა ამ კითხვას იმით უპასუხეს, რომ პაპები კარგა ხნით ავინიონის ტყვეობაში ამყოფეს (1308-78 წლები), ხოლო ინგლისელებმა, უიკლიფის მოძღვრებით, პირდაპირ დააყენეს ეროვნული ინტერესები პაპის ავტორიტეტზე მაღლა. ამით კათოლიკური სამყაროს ერთიანობას და მონოლითურობას საფუძველი შეერყა. ბუნებრივია, პაპის ხელისუფლება, ამას ვერ შეეგუებოდა და ყველა საშუალებას მიმართავდა კათოლიკურ სამყაროში პაპის ძალაუფლებისა და ავტორიტეტის შეურყევლობისათვის, მათ შეძლეს კვლავ რომში დაებრუნებინათ პაპის რეზიდენცია, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა სხვა პაპი

აირჩიეს. ასე დაიწყო პაპებისა და ანტიპაპების ახალი ეპოქა. სწორედ ამ რთულ ეპოქაში მოუხდა მოღვაწეობის დაწყება იან ჰუსს. ჰუსი თავისი ქვეყნის ღვიძლი შვილი იყო და ბუნებრივია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს დაუჭირა მხარი. ამიტომ გახდნენ მისთვის ახლობელი და მიმზიდველნი ჯონ უიკლიფის იდეები, მისი წინამორბედი პატრიოტი ჩეხების შეხედულებანი.

როგორც ითქვა, რომის საღვთო იმპერიის გვირგვინი და შესაბამისად, ჩეხეთის მეფობაც, კარლ IV ვაჟს, ვაცლავ IV ეპყრა. ამ უკანასკნელს მალე გამოუჩნდა მეტოქე, უმცროსი ძმის, ერცჰერცოგ სიგიზმუნდის სახით. გვირგვინისათვის ბრძოლაში, სიგიზმუნდს, რომელიც უმეტესწილად გერმანიაში ცხოვრობდა, გერმანელი მთავრები და დიდგვაროვანი ფეოდალები უჭერდნენ მხარს. სიგიზმუნდს უჭერდნენ მხარს აგრეთვე რომის პაპი და ჩეხეთის ეთნიკურად გერმანელი ეპისკოპოსები. ძმათა შორის გვირგვინისათვის აშკარა ბრძოლა 1394 წლიდან დაიწყო, როცა სიგიზმუნდი გერმანელი რაინდებით დაკომპლექტებული ჯარით ჩეხეთში შეიჭრა და მცირე ხნით დაამხო კიდეც ვაცლავი. ამ უკანასკნელმა რამდენიმე თვეში ტახტი დაიბრუნა, მაგრამ სრულად დაკარგა მხარდაჭერა გერმანელი ფეოდალების მხრიდან. შედეგად, 1400 წელს, გერმანელმა ამომრჩეველმა მთავრებმა, მას რომის საღვთო იმპერიის გვირგვინი ჩამოართვეს. ამრიგად, ვაცლავ IV მხოლოდ ჩეხეთის მფლობელი შეიქმნა. უნდოდა თუ არა, ვაცლავი IV, ჩეხეთის ინტერესების დამცველად გამოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ვაცლავი ჩეხების მიერ ასეთ გვირგვინოსნად აღიქმებოდა. ბუნებრივია, იან ჰუსიც, რომელიც თავად იყო მნახველი სიგიზმუნდისა და გერმანელი რაინდების მიერ ჩეხეთის აოხრებისა, ვაცლავის მხარეს დადგა. 1401 წელს, როცა დაქირავებულმა გერმანელმა ლანდსკნეხტებმა და რაინდებმა კიდევ ერთხელ ააოხრეს პრაღის მიდამოები და ქალაქსაც ალყა შემოარტყეს, ჰუსმა ხმამაღლა, აშკარად მოუწოდა ხალხს თავდაცვითი ბრძოლისკენ.

„ძაღლიც კი იცავს თავის ბუნაგს, როცა სხვა ძაღლი შეეცდება გააძევოს იგი საკუთარიდან, ის ყველა საშუალებით იცავს თავს. ჩვენ კი ასე გვავინროვებენ გერმანელები და ვდუმვართ, ხოლო მოღალატენი გველზე და ძაღლზე დიდ სიძულვილს იმსახურებენ".

1400-იანი წლების დასაწყისიდან, ჰუსის გამოსვლები გადაგვარებული კათოლიკე ღვთისმსახურთა და მოძალადე გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, სულ უფრო მკვეთრი და ულმობელი ხდება. საოცარი სისწრაფით იზრდება მისი პოპულარობა პრაღაში და არა მარტო პრაღაში. „ჩეხეთის სამეფოში, ღვთიური და ბუნებრივი სამართლით, თანდაყოლილი გრძნობით, ჩეხები უნდა იყვნენ პირველნი თანამდებობებზე ისევე, როგორც ფრანგები საფრანგეთში და გერმანელები თავიანთ სამშობლოში", საქვეყნოდ აცხადებდა იგი. ჰუსის ეს პატრიოტული განწყობა არ იყო გამოწვეული პოლიტიკური კონიუნქტურით. როცა ის პრაღის უნივერსიტეტში დამოუკიდებელი ლექციების კითხვას შეუდგა, იმდროინდელი ტრადიციული საღვთისმეტყველო წიგნების ნაცვლად, სტუდენტებს ძირითადად უიკლიფის თხზულებებს უკითხავდა და განუმარტავდა. ბუნებრივია, ჰუსისა და ჩეხი სტუდენტებისათვის, უიკლიფის ანტიკათოლიკური და ეროვნული სულისკვეთების დებულებები უფრო ახლობელი იყო, ვიდრე კათოლიკე ღვთისმეტყველთა სქოლასტიკური ქადაგებანი. ჰუსი ერთნაირად ახლობელი გახდა, როგორც სტუდენტებისთვის, ისე პრაღის ჩეხი მოსახლეობისთვისაც. ამ პერიოდში ხდება ჰუსის დაახლოება მომავალ დიდ მეგობართან და თანამოაზრესთან, ჩეხი ხალხის მეორე დიდმონამესთან, იერონიმე პრაღელთან. იერონიმეს ახასიათებენ, როგორც შესანიშნავი ნიჭის პატრონს, ენერგიულს, შეუპოვარს და მაძიებელი გონების მქონეს. მან შესანიშნავად იცოდა ძველი, კლასიკური და ევროპული ენები, თვით იან ჰუსი დიდსულოვნად აღიარებდა: იერონიმე წიგნიერებით და შრომით ჩემზე მაღლა დგასო. ჰუსის მხურვალე გამოსვლებს იერონიმე მხარს უჭერდა და

თავისი ბრწყინვალე ორატორული ნიჭით კიდევ უფრო პოპ-ულარულს ხდიდა. ჰუსის ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ 1401 წელს ის ჯერ დეკანად აირჩიეს, ხოლო 1402 წელს რექტორად, ასეთი რამ არ ახსოვდა პრაღის უნივერსიტეტს. სამეცნიერო-აკადემიური აღმასვლა ნაკლებმიმზიდველი აღმოჩნდა ჰუსისთვის. მისი პატრიოტული ბუნება და ბავ-შობიდან ჩანერგილი სამართლიანობის გრძნობა, ცოცხალ საქმიანობას ითხოვდა. იმ ეპოქაში, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამოგონებული აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებები, წიგნ-ის ბეჭდვა, ცოცხალი სიტყვა, ხალხისადმი უშუალო მიმართვა იყო ერთადერთი რეალური საშუალება მოწოდებისა. ამისთ-ვის საჭირო იყო ოფიციალურად მიეღო მრევლის მოძღვრის ადგილი. 1401 წელს იგი ხდება ბეთლემის სამლოცველოს მოძღვარ-მქადაგებელი და მისი სამრეკლოდან უქადაგებდა ხალხს ღვთის ჭეშმარიტ სიტყვას. ერთი მისი თანამედროვე, როგორც ჩანს, მეგობარი ან მიმდევარი, მის ამ გამოსვლებზე წერდა: ეს არისო „ღვთის პირით მოუბარი განგაშის ხმამაღა-ლი საყვირი, სიმართლის დაუღალავი მქადაგებელი". მართ-ლაც, ჰუსის ბუნება ვერაფრით ვერ შეეგუა უნივერსიტეტის მეცნიერის მშვიდ, აკადემიურ გარემოს. ის ბუნებით ერწყ-მოდა ჩეხეთის, პრაღის ცხოვრების ცოცხალ რიტმს და ამ-დენად, ხალხთან უშუალო საუბრები, მიმართვა, ჭეშმარიტე-ბის ხალხი გულამდე მიტანა, მისი ცხოვრების არსი გახდა. ჰუსი მსმენელს სნორედ ჩეხეთის ცხოვრებაზე ელაპარაკე-ბოდა, და არა განყენებულ რელიგიურ დოგმებზე. ბეთლემის სამლოცველო, საიდანაც ჰუსი ხალხს უქადაგებდა, პრაღის ძველი უბნის მოქალაქეებმა ჯერ კიდევ ჰუსის გამოსვლე-ბამდე ათიოდე წლით ადრე ააგეს. იმ დროისთვის მოძღვრის მრევლის წინაშე გამოსვლა-ქადაგებანი იყო საზეიმო წირვა-ლოცვის ერთგვარი დამატება, როცა მოძღვარი მოუთხრობ-და მრევლს ბიბლიური წმინდანების ცხოვრებას, ან აკეთებდა განმარტებებს ბიბლიის ამა თუ იმ ეპიზოდიდან. ჩეხი ბიურგ-ერების აზრით, სამლოცველოს აგების მიზანი და დანიშნულე-

ბა, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო. ჰუსის მიერ იმდროინდელი ცხოვრების კრიტიკა არ იფარგლებოდა ერთი რომელიმე სფეროთი. რასაკვირველია, მისთვის უმთავრესი სამშობლოს თავისუფლება, გერმანელი კოლონისტების მომძლავრებისგან გათავისუფლება იყო, მაგრამ ის არ ყოფილა არასოდეს გერმანოფობიით შეპყრობილი, „კარგი გერმანელი ჩემთვის უფრო ახლობელია, ვიდრე ცუდი, მოღალატე ჩეხი", ამბობდა თურმე ჰუსი.

გარდა პატრიოტული შინაარსის გამოსვლებისა, ჰუსი მკაცრად აკრიტიკებდა კათოლიკურ ეკლესიას, როგორც მის გარეგნულ სახეს, (ფუფუნებისაკენ სწრაფვა, უზნეობა, გარყვნილება, მომხვეჭელობა, საეკლესიო თანამდებობებით ვაჭრობა და სხვა...), ისე იმ დროისთვის გაბატონებულ ზოგიერთ დოგმასაც. „ეკლესიის მსახურნი აიძულებენ ხალხს გადაიხადონ აღსარებისათვის, ზიარებისათვის, დაკრძალვისათვის, ჯვრისწერისათვის, წმინდა მირონისთვის, ნათლობისთვის და ვინ იცის კიდევ რისთვის, ისინი ყიდიან წმინდა საიდუმლოებებს, რომელნიც, ნებითა ღვთისა, ვალდებულნი არიან გაიღონ მრევლისთვის... ვაჭრები იმიტომ ყიდიან თავიანთ საქონელს, რომ მათში ფული აქვთ გადახდილი, მღვდლებს კი წმინდა საიდუმლოსა და მისი გაცემის უფლებისათვის არაფერი გადაუხდიათ, საჩუქრებივით მიიღე და ასევე გაეცი," მოუწოდებდა ჰუსი სასულიეროებს. კიდევ უფრო მკაცრად მიმართავდა იგი ეკლესიის მსახურებს სახარების გამო: „მოინანიეთ ღარიბთა მძარცველნო, ქურდებო და მკრეხელებო, ღმერთი ყველას შეგაჩვენებთ! საღვთო წერილში სწერია, ვინც მაშვრალს ატყუებს, ის ცოდვის სისხლშია გახვეული, ვინც ოფლით მოპოვებულ პურს ართმევს, ისეთივე ცოდვას სჩადის, როგორც საკუთარი მოყვასის მკვლელი". ჰუსის მიერ კათოლიკური ეკლესიის კრიტიკა მრავალმხრივი და სახარებისეულად არგუმენტირებული იყო. საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ იგი წერდა: „ვინაიდან ყველა მეფეს ღვთისგან აქვს ბოძებული

თავის სამეფოში ძალაუფლება, რათა მართოს იგი სამართლიანობითა და სამართლით, და რადგანაც სამღვდელონიც შედიან ამ სამეფოში, მათაც უნდა მართავდეს მეფე. მეფემ არ უნდა დაუშვას, რომ ისინი ბოროტების გარემოში ცხოვრობდნენ, რადგან იმისთვის არიან მეფენი და დიდებულნი, რომ დათრგუნონ ბოროტება და აღამაღლონ სიკეთე. რწმენის საქმეში საერონი სასულიეროთ უნდა უსმენდნენ და ემორჩილებოდნენ, საეროში კი ეკლესია საერო ხელისუფლებას უნდა ემორჩილებოდეს, რადგან უფლისაგან მეფეა დადგენილი უზენაესად ამ ქვეყანაზე, მანვე უნდა შემოაბრუნოს ცოდვის გზაზე დამდგარი ხუცესი. ყველაზე მსუბუქი ზემოქმედების ფორმა ამისათვის საკუთრების ჩამორთმევაა." ამ ფრაზაში საკმოდ კარგად ჩანს ჰუსის პოზიცია საერო და სასულიერო ხელისუფლებების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. თუ საერო, ან სასულიერო ხელისუფლების ბრძანებები, კანონმდებლობანი, დადგენილებები არ შეესაბამებიან საღვთო წერილს და ეწინააღმდეგებიან ღვთისგან ბოძებულ ნორმებს, მაშინ ქვეშევრდომებმა არ უნდა შეასრულონ იგი, „მათი აღსრულება უფრო დიდი ცოდვა იქნებოდა", ფიქრობდა ჰუსი.

მას საყვედურობდნენ ძლიერი ამაქვეყნისანი, განსაკუთრებით გერმანელი ეპისკოპოსები და პროფესორები, „ხალხს აბუნტებსო". „მე ვაბუნტებ ხალხს?", პასუხობდა მრავალმხრივ ბრალდებებზე ჰუსი, „ეს ბრალდება ქრისტეს მიმართ იმ ბრალდებას ჰგავს, თითქოს გალილეადან იერუსალიმამდე ხალხს ამბოხებისკენ მოუწოდებდა. ვინც სასულიეროებს მოუწოდებს არ იმრუშოთ, არ ძარცვოთ, ნუ გძლევთ სიხარბე, ნუ ვაჭრობთ წმინდა საიდუმლოებებით, დაკმაყოფილდით მცირედით, თქვენ მაშინვე ღვთისმგმობელსა და ერეტიკოსს უწოდებთ".

ჰუსის ქადაგებანი ბეთლემის სამლოცველოდან საერო ხელისუფლების კრიტიკასაც შეიცავდა. უმაღლესი საერო ხელისუფლების დადგენილებების სამართლიანობა ქვეშევრდომებისათვის, საღვთო წერილისა და ქრისტიანული მორ-

ალურ-ზნეობრივი ნორმებით უნდა იზომებოდესო, ფიქრობდა ჰუსი. ადამიანის გონიერებას, გონებას, ჰუსი ღვთისგან ბოძებულ საუნჯედ თვლიდა, იგი მიმართავდა საერო მორწმუნეებს: „ვინ ხარ შენ? პასუხი: ადამიანი, ცოცხალი, გონიერი მოკვდავი, ამათგან თუ უარყოფ გონებას, შენ ემსგავსები ავ ძაღლს, მოჭიხვინე ცხენს, ზარმაც სახედარს. გონება ღვთის საჩუქარია." საღვთო წერილის ნორმებისა და ქრისტიანული ზნეობის, გონების წინ წამოწევა, ჰუსის იდეებს განსაკუთრებულ, რადიკალურ შინაარს აძლევდა. მის მკვეთრ გამოსვლებს და რაც მთავარია, ხალხისთვის გასაგებ ჩეხურ ენაზე, რასაკვირველია, ხალხში რევოლუციური, რადიკალური განწყობის შექმნა მართლაც შეეძლო.

ჰუსის მოღვაწეობის ჭეშმარიტად ეროვნული და სახალხო ხასიათის მაჩვენებელია ჩეხური ენისადმი დამოკიდებულებაც. ბეთლემის სამლოცველოდან ქადაგებისასაც იგი ცდილობდა ხალხისთვის გასაგები ენით ესაუბრა, ამავე დროს მან დაიწყო ჩეხური დამწერლობის გამარტივებაც, რითაც მან მოამზადა ნიადაგი ჩეხური სალიტერატურო ენისა და გზამკვლევი ნორმების შემუშავებისათვის.

რაც, შეეხება პაპის ხელისუფლებისა და ზოგადქრისტიანულ თეოლოგიური ხასიათის დებულებებისადმი დამოკიდებულებას, საღმრთო წერილზე დაყრდნობით დამახასიათებელ თანმიმდევრობას იჩენდა. ამ სფეროში მრავალ საინტერესო საკითხთა შორის მაინც უნდა გამოვყოთ ორი უმთავრესი. პირველი და უმთავრესი სადავო ჰუსისა პაპის ხელისუფლებასთან იყო ეკლესიის არსის გაგების საკითხი.

ჰუსის აზრით, ეკლესია ეს არაა ღვთისმსახურთა ხილული კრებული პაპის მეთაურობით, როგორც ამას რომის კათოლიკური ეკლესია ასწავლიდა მრევლს, არამედ ესაა უხილავი თანაერთობა მათი, ვისი სულის ხსნა და ცხონება მათივე რწმენითა და ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებითაა განპირობებული. ხოლო ამ ეკლესიის მეთაური იესო ქრისტეა. რეალურ ცხოვრებაში ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჰუსი კატეგორიულად

უარყოფდა პაპის ხელისუფლების მთელ საერო პრეტენზიებს, პრივილეგიებსა და პრეროგატივებს, რომლებიც მათ მიიტაცეს და რომლებიც ეწინააღმდეგებიან საღვთო წერილს, ჰუსის ურყევი აზრით, „მართლმორწმუნე ერისკაცი" უფრო მაღლა იდგა, ვიდრე „ცოდვილი მოძღვარი".

მეორე საკამათო საკითხი ეხებოდა ზიარებას. ქრისტიანულ საიდუმლოებათა შორის ამ საიდუმლოს განსაკუთრებული ადგილი უკავია (ნათლობის საიდუმლოებასთან ერთად). სათავეს იგი სახარებიდან, ქრისტეს საიდუმლო სერობიდან იღებს. იესომ ამ დროს აზიარა მოწაფენი უფლის ხორცსა და სისხლს. ადრექრისტიანულ ეპოქაში ქრისტიანული ზიარება ორივე სახით, პურით (სეფისკვერით) და ღვინით (ზედაშით) ტარდებოდა. (სასმისი, რომლითაც წმინდა ზედაშეს ასმევენ, ბარძიმი ჰქვია) ეს წესი დღემდე დაცულია მართლმადიდებულ საქრისტიანოში. კათოლიკურ სამყაროში კი მორწმუნეს, ერისკაცს, მხოლოდ, სეფისკვერით აზიარებენ. ორივე სახით ზიარება მხოლოდ სასულიეროთათვისაა ნებადართული. კათოლიკე ღვთისმსახურთა ეს უფლება პაპის ეკლესიას განსაკუთრებულ პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა საეროსთან შედარებით. ამ წესით, საერო კაცისთვის და ხელისუფლებისთვის ეკლესიის გარეშე, უზენაესი, მიუწვდომელი უნდა ყოფილიყო, როგორც სააქაო სასულიერო ხელისუფლება, ისე საიქიო ცხონება.

ზიარების ჩატარებას ორივე სახით (პურითა და ღვინით) უკმაყოფილო ელემენტები მოითხოვდნენ ჰუსამდეც (მაგ. ვალდენსები და სხვა სექტები შუა საუკუნეებში), მაგრამ ჰუსის მიერ ეს საკითხი დაყენებული იქნა საეკლესიო გარდაქმნების აუცილებელ საკითხთა რანგში. მოგვიანებით, როცა მთელ ჩეხეთში გაიშალა საყოველთაო ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა (ე. წ. 1418 -1452 წწ. ჰუსიტური ომები). ბარძიმი ამ მოძრაობის ერთ-ერთი სიმბოლო გახდა. მთლიანობაში, ჰუსის გარდაქმნების პროგრამა ძირს უთხრიდა კათოლიკურ ეკლესიას. მათი რეალიზაციის შემთხვევა-

ში პაპის ეკლესიას ეცლებოდა მისი ძლიერების უმთავრესი საყრდენი: მის საერო ხელისუფლებას და პაპის (მთელი რომის ეკლესიის) უდავო, შეურყეველ ავტორიტეტს.

ჰუსის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი იყო 1403 წელი, როცა ოფიციალურ ეკლესიასთან დაპირისპირებამ უნივერსიტეტის კედლებშიც შეაღწია. პრაღის უნივერსიტეტში ცხარე კამათები მიმდინარეობდა უიკლიფის იდეების თაობაზე. ჩეხი ეროვნების პროფესორთა დიდი ნაწილი ინგლისელი რეფორმატორის იდეებს უჭერდა მხარს. გერმანელი პროფესურა კი პაპის ეკლესიას.

ჩეხების პოზიციას იზიარებდა, რასაკვირველია, დიდი სიფრთხილით, მეფე ვაცლავ IV . ამ უკანასკნელს დიდი უთანხმოება ჰქონდა ძმასთან, სიგიზმუნდთან, რომელსაც პაპი უჭერდა მხარს. შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ვაცლავ IV-ს სჭირდებოდა ჩეხების რეალური მხარდაჭერა და ჰუსთან დაპირისპირება ხელს არ აძლევდა. დაახლოებით ამავე პოზიციაზე იდგა იმხანად პრაღის არქიეპისკოპოსად დანიშნული, ჩეხი არისტოკრატული ოჯახიდან გამოსული ზბინეკ ხაზებურკელი, ახალგამომცხვარი არქიეპისკოპოსი ვაცლავ IV-ის ერთგულ კაცად ითვლებოდა.

პრაღის უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, გერმანელ პროფესორებს ყოველთვის ჰქონდათ ხმათა უმრავლესობა. მათი ზეწოლის შედეგად პროფესორთა საბჭომ უიკლიფის იდეები დაგმო და მრევლისათვის საზიანოდ მიიჩნია. მიუხედავად ამისა, მეფისა და არქიეპისკოპოსის რეალური თუ მოჩვენებითი მხარდაჭერის გამო, გერმანელი ეპისკოპოსები და პროფესურა ჰუსის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლისაგან თავს იკავებდნენ, ეს იყო უფრო მზადება ჰუსისა და მისი მონაფეების წინააღმდეგ დიდი შეტევისათვის.

1407-08 წლებიდან იწყება ჰუსისა და მისი მონაფეების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის პერიოდი. კათოლიკური ეკლესიის მსახურნი, რომლებიც პაპის მითითებით მოქმედებდნენ, ავრცელებდნენ ბინძურ ჭორებს ჰუსის წინააღმდეგ, ყვე-

ლაფერს აკეთებდნენ რათა სახელი გაეტეხათ ჩეხი პატრიოტისთვის. მას ხატავდნენ ერეტიკოსად, ეშმაკთან კავშირის მქონედ, ხელისუფლებისა და ეკლესიის მონინააღმდეგედ და ასე შემდეგ. ჰუსის ყოველი ქმედება მათ არაქრისტიანულად გამოაცხადეს. მაგალითად ბეთლემის სამლოცველოდან ჩეხურ ენაზე ქადაგება, ჩეხურ ენაზე გალობა და სხვა საღვთო წერილთან და კათოლიკურ სულისკვეთებასთან შეუთავსებლად იქნა გამოცხადებული. პრაღის არქიეპისკოპოსმა ვერ გაბედა (ან არ სურდა) წინააღმდეგობა გაეწია პაპისთვის და დაეცვა ჰუსის საქმე. სიფრთხილეს იჩენდა მეფე ვაცლავ IV.

იან ჰუსისათვის დიდი დარტყმა იყო მისი მეგობრისა და თანამებრძოლის პრაღის უნივერსიტეტის პროფესორის, სტანისლავ ზნოიმელის დაპატიმრება ბოლონიაში. რომში მიმავალი ჩეხი პროფესორი დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს ერეტიკოსობის ბრალდებით, დააპატიმრეს სტანისლავის თანამგზავრებიც. მოგვიანებით მოხუცი ჩეხი პროფესორი როგორც იქნა გაათავისუფლეს, მაგრამ სატუსაღოსგან ღონემიხდილი ველარ მონაწილეობდა საერთო ჩეხურ საქმეებში.

ჩეხეთისათვის და კათოლიკური ეკლესიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1410-იანი წლების მოვლენებს. 1378 წელს პაპებმა თავი დააღწიეს ფრანგი მეფეებისგან მისჯილ ავინიონის ტყვეობას. ახალი პაპი აირჩიეს რომში, არ შეშინდნენ ფრანგები და აირჩიეს სხვა პაპი. დაიწყო პაპებისა და ანტიპაპების ეპოქა, ანუ ახალი საეკლესიო განხეთქილება, ერთმანეთს წყევლიდნენ და ანათემას გადასცემდნენ კანონიერი თუ უკანონო პაპები, ბენედიქტე VIII (1394-1423, ანტიპაპი), ინოკენტი VII (1404-1466), გრიგოლ XII (1406-1415), ალექსანდე V ანტიპაპი (1409-1410) და ამ ეპოქის „გვირგვინი" , კაცისმკვლელი, მრუში, და შარაგზის ყაჩაღი ბალთაზარ კოსა, იგივე პაპი იოანე XXIII (1410-1415). აი, ამ გადაგვარებული ადამიანების ხელში აღმოჩნდა არა მარტო კათოლიკური სამყარო, არამედ სამეფოთა და გამოჩენილ ადამიანთა ბედიც.

ფრანგებს თავიანთი ნაციონალური ინტერესები ჰქონდათ და, ბუნებრივია, პაპობის იმ კანდიდატს დაუჭირეს მხარი, რომელიც მათთვის იყო მისაღები. ვაცლავ IV, რომელიც ჩეხების თვალში ეროვნული საქმის დამცველად ჩანდა, მხარს უჭერდა გრიგოლ XII-ს. ვაცლავ IV იმედი ჰქონდა, ეს პაპი დამეხმარება რომის საღვთო იმპერიის გვირგვინის დაბრუნებაშიო (1400 წელს ჩამოართვეს იგი გერმანელმა კურფურისტებმა). შეცდა ჩეხეთის მეფე. გრიგოლ XII-მ გერმანელთა ზეწოლის შედეგად, იმპერატორობის გვირგვინის სხვა მაძიებელს, რუპრეხტ ბავარიელს დაუჭირა მხარი.

ფრანგებმა კი განაცხადეს, აღარ გვინდა არც ეს პაპი და არც სხვა ანტიპაპი, მოვიწვიოთ ქალაქ პიზაში საერთო საეკლესიო კრება და სხვა, ყველასთვის მისაღები ახალი პაპი ავირჩიოთო. ვაცლავ IV განუდგა გრიგოლ XII და კრების მოწვევის იდეას დაუჭირა მხარი. ასეთ ვითარებაში ჩეხებს, განსაკუთრებით სასულიეროებს და პროფესურას, არჩევანი უნდა გაეკეთებინა, ან პაპის მხარეზე დამდგარიყვნენ (და აქედან გამომდინარე დამდგარიყვნენ რუპრეხტ ბავარიელის მხარეზე) ან ვაცლავ IV მხარეზე (მხარი დაეჭირათ კრების მოწვევისთვის).

ჩეხი ეროვნების პროფესორებმა და ჰუსმა მხარი მეფეს დაუჭირეს, გერმანელმა პროფესორებმა კი – პაპს. პრაღის არქიეპისკოპოსი პაპის მხარეს გადაიხარა. პოლიტიკური და რელიგიური ვითარება ჩეხეთში ერთობ დაიძაბა. ახლოვდებოდა გადამწყვეტი ბრძოლის ხანა. პაპის დასაყრდენნი ჩეხეთში იყვნენ პრაღის არქიეპისკოპოსი (ზბინეკი) გერმანელი ეპისკოპოსები, ქალაქების გერმანელი პატრიციები და პრაღის უნივერსიტეტის გერმანელი პროფესურა. ყველას, ვინც პაპს განუდგებოდა, ზბინეკი ანათემით ემუქრებოდა. არასაიმედოებს აუკრძალა ღვთისმსახურება და ქადაგებანი, პირველ რიგში ეს ეხებოდა ჰუსს. ჰუსის მომხრეებმა გააკრიტიკეს არქიეპისკოპოსის ეს გადაწყვეტილება და საუნივერსიტეტო სამსჯავროზე გაიტანეს. როგორც აღვნიშნეთ, ჩეხები

პრაღის უნივერსიტეტში უმცირესობაში იყვნენ. ჯერ კიდევ კარლ IV -ის მიერ დამტკიცებულ უნივერსიტეტის სიგელში იყო 4 სათვისტომო, ბავარიული, საქსონური, პოლონური და ჩეხური. პოლონურ სათვისტომოში სილიზიელი გერმანელები სჭარბობდნენ, ასე, რომ ჩეხებს, მართლაც, სერიოზული უმცირესობა ჰქონდათ. ჩეხების ერთ ხმას, სამი გერმანული უპირისპირდებოდა. ვაცლავ IV, რომელსაც თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის სჭირდებოდა ჩეხების და უნივერსიტეტის მხარდაჭერა, საკმაოდ მკვეთრი და გაბედული ნაბიჯი გადადგა. 1409 წლის დასაწყისში გამოსცა კუტნაგორის ვერდიქტი (კუტნაგორა ქალაქია ჩეხეთში), რომლითაც მთლიანად შეცვალა კარლ IV-ის დროინდელი წესდება. ამიერიდან საუნივერსიტეტო საბჭოსა და სენატში ჩეხებს ექნებოდათ სამი ხმა, ხოლო უცხოელებს ერთი. ვაცლავმა ჩეხების გული მოიგო, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა მას არა მარტო პოლიტიკურმა სიტუაციამ უბიძგა, არამედ ჰუსისა და იერონიმეს გამოსვლებმაც. არქიეპისკოპოსმა ჰუსისა და უიკლიფის ნაშრომების დაწვა ბრძანა, მისი რეზიდენციის ეზოში კიდეც დაწვეს ასეთი წიგნები, მაგრამ პრაღაზე ღვთისმსახურების აკრძალვა ვეღარ შეძლო. ამავე პერიოდში დაასრულა ჰუსმა თავისი გახმაურებული ნაშრომი – „სენტენციები" რომელშიც გადმოცემულია ჰუსის შეხედულებანი ზოგადსაეკლესიო და საღვთისმეტყველო საკითხებზე. იმავე 1409 წელს ჰუსი კვლავ აირჩიეს უნივერსიტეტის რექტორად. (მაშინ ერთი წლით ირჩევდნენ რექტორად. ჰუსი პირველად 1402 წელს აირჩიეს ამ თანამდებობაზე). ეს იყო ჰუსის დიდი აღიარების წლები.

ამასობაში შეიკრიბა პიზის საეკლესიო კრებაც. აირჩიეს ახალი პაპი ალექსანდრე V, მაგრამ ამით არ დასრულდა საეკლესიო კრიზისი. გრიგოლ XII არ ცნობდა ამ კრების გადაწყვეტილებას, ხოლო ავინიონში კვლავ პაპობდა ბენედიქტე XIII. მალე გარდაიცვალა (თუ მონამლეს, მოკლეს) ალექსანდრე V, რომელსაც მოჰყვა პაპი – ყაჩაღი იოანე XXIII. პრაღის არქიეპისკოპოსი და გერმანელი კურფურისტები ჰუსის ნი-

ნააღმდეგ დასმენის წერილებს გზავნიდნენ პაპთან, ერეტიკოსს უწოდებდნენ აშკარად. პაპმა შეაჩვენა ჰუსი. პაპისა და არქიეპისკოპოსის მოქმედება ვაცლავ IV-ის თავმოყვარეობას შეეხო. გამოდიოდა, რომ იგი იცავდა ერეტიკოსებს. გაჯიუტებული არქიეპისკოპოსი მთელს სამეფოს ინტერდიქტით ემუქრებოდა. ვაცლავმა კიდევ ერთი მკვეთრი ნაბიჯი გადადგა: მისი ბრძანებით კონფისკაცია უქნეს პრაღის კათოლიკე ღვთისმსახურთა შემოსავლებს და ქონებას. პრაღის საერო სასამართლომ მეფის გადაწყვეტილება გაამართლა. არქიეპისკოპოსი უნგრეთში, ვაცლავ IV-ის ძმასთან და დაუძინებელ მტერთან გაიქცა, ჰუსი და მისი მიმდევრები დამსახურებულ გამარჯვებას ზეიმობდნენ, მაგრამ პრაღის სიმშვიდე დროებითი იყო. მალე ბრძოლა ახალი ძალით გაიშალა.

ნებსით თუ უნებლიეთ, ჩეხეთის მოვლენები საერთო ევროპულ პოლიტიკურ ინტრიგებს ჩაეხლართა. გრძელდებოდა სამი პაპი ანტიპაპის დაპირისპირება პიზაში არჩეულ (ალექსანდრე V შემდეგ) იოანე XXIII, ავინიონელი ბენედიქტე XIII და გრიგოლ XII შორის. ეს უკანასკნელი ბევრს მიმოდიოდა იტალიის ქალაქებს შორის, თუმცა რომში შესვლას ვეღარ ეღირსა. „ქრისტეს მოადგილეთა“ ამ დაპირისპირებაში მონარქებიც ჩაებნენ. გაიძვერა გრიგოლ XII იმდენი ქნა, რომ ნეაპოლის მეფე ლადისლავ ანჟუელი გადაიბირა, და იოანე XXIII წინააღმდეგ ნამდვილი ჯვაროსნული ომი დააწყებინა. ომისთვის მზადება დაიწყო იოანე XXIII-მაც, ომის საჭიროებისათვის ფულის საშოვნელად მისი სპეციალური ბულით (პაპის სიგელით) მხარდამჭერ ქვეყნებში გაიგზავნენ ნდობით აღჭურვილი პირები, რათა გაეყიდათ ინდულიგენციები (ცოდვათა მისატევებელი სიგელი). ასეთ ქვეყანათა რიცხვში ჩეხეთიც შედიოდა და აი, 1412 წლის გაზაფხულზე, ინდულიგენციებით მოვაჭრე პაპის ლეგატები, თავიანთი ნოქრებით, სკივრებითა და დახლებით პრაღაში მობრძანდნენ და დაიწყეს ვაჭრობა. უამრავი ხალხი მიაწყდა პაპის ნარმომადგენლებს, ჯერ კიდევ დიდი იყო პაპის ავტორიტეტი რიგითი მორწმუ-

ნეებისათვის, მაგრამ ისინი, ვინც უკვე იცნობდა, ან ისმენდა ჰუსისა და მისი მიმდევრების ქადაგებებს, ეჭვის თვალითა და შინაგანი პროტესტით ხვდებოდნენ ამას. ინდულიგენციებით ვაჭრობამ იმდენად ამაზრზენი სახე მიიღო, რომ ხალხში აშკარა უკმაყოფილების გრძნობამ იმატა. პრაღელების თვალი და გონება ამ შემთხვევაში მაინც პრაღის უნივერსტეტისკენ იყო მიმართული, რას იზამს უნივერსტეტის პროფესურა და რას იტყვის მაგისტრი იან ჰუსი? ეს კითხვა ბუნებრივად იბადებოდა მათში. მალე გაისმა მათი ხმაც, იან ჰუსი, შტეფან პალიჩი, იერონიმე პრაღელი და სხვა პატრიოტი რეფორმატორები, კატეგორიულად მოითხოვდნენ ამ საშინელების აკრძალვას. მრავალრიცხოვან მრევლს ბეთლემის სამლოცველოდან პირდაპირ განუცხადა ჰუსმა: „განა შეიძლება პაპისა და მისი ლეგატების მოთხოვნა აღვმართოთ ჯვარი ქრისტიანთა წინააღმდეგ (ნეაპოლის სამეფოს წინააღმდეგ) მივიჩნიოთ ქრისტიანულად? რასაკვირველია, არა, იმიტომ, რომ თავად ქრისტე, მეუფე ჩვენი ეკლესიისა, მოთმინებით იცავდა თავის სიმართლეს. პაპისეული ინდულიგენცია არაფერს გვეუბნება სამართლიანობაზე, მოყვასის სიყვარულზე, ბოროტების ნაცვლად სიკეთის მიახლოვებაზე... ისინი მხოლოდ ფულს ითხოვენ, რათა თავს დაესხნენ და ამოხოცონ მოყვასნი თვისნი“. იმავე დღეებში ლათინურად დაწერილ პამპლეტში „რეპლიკა“ ჰუსი კატეგორიულად უარყოფდა ინდულიგენციებს, როგორც ცოდვათაგან მიტევების საშუალებას. ის ბიბლიაზე დაყრდნობით ასაბუთებდა, რომ ქაღალდი და ფული ვერანაირ შემთხვევაში ვერ იმოქმედებდა დანაშაულისა და ცოდვის მიტევებაზე. თუ თავად მორწმუნემ არ შეცვალა თავისი ცხოვრების წესი ქრისტეს მცნებათა მიხედვით და არ ინამა იგი.

ჰუსს და მის მიმდევრებს როგორც ადრე, ახლაც იმედი ჰქონდათ, რომ მეფე ვაცლავ IV ამჯერადაც დაიცავდა ჩეხების ეროვნულ ინტერესს და არ მისცემდა პაპის ლეგატებს უფლებას უსინდისოდ ეძარცვათ ხალხი, მაგრამ მეფე ჯერ-

ჯერობით დუმდა. მას არ ეყო გამბედაობა და პატრიოტიზმი, დაპირისპირებოდა პაპს. ვაცლავ IV ჯერ კიდევ იმედოვნებდა რომის საღვთო იმპერიის გვირგვინს დავიბრუნებო და ამ საქმეში, როგორც თვითონ ფიქრობდა, პაპის მხარდაჭერა აუცილებლად დასჭირდებოდა. ამიტომ მეფის დუმილი, ფაქტობრივად, პაპის მხარდაჭერა იყო. ჰუსს არჩევანი უნდა გაეკეთებინა, ან კვლავ ესარგებლა ჩეხეთის მეფის კეთილგანწყობით და შერიგებოდა ამ ბოროტებას, ან აშკარად, როგორც ამას მრევლი და ჩეხეთის ინტერესები მოითხოვდა გამიჯვნოდა პაპის ხელისუფლებას და ამასთან თავად მეფესაც. იან ჰუსმა კარგად იცოდა, რომ მისი საქმის გამოძიება რომში შეწყვეტილი არ იყო და მხოლოდ დროებით შეაჩერეს. პაპთან ახალი დაპირისპირება კი უდიდეს საფრთხეს უქადდა. შემთხვევითი არ იყო, რომ მისი მეგობრები ჰუსს თავშეკავებისკენ მოუწოდებდნენ. მაგრამ იან ჰუსს არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა, ის ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი რწმენისა და ჩეხეთისა.

ვაცლავ IV საბოლოოდ გაემიჯნა ჰუსს. მეტიც, მან კატეგორიულად მოითხოვა უნივერსიტეტის პროფესორებისაგან წერილობითი განცხადება ინდულიგენციებით ვაჭრობის მხარდაჭერის თაობაზე. სიკვდილის შიშით ჰუსის ყოფილმა მეგობრებმა უკან დაიხიეს, უარყვეს ადრე მათთვის ძვირფასი უიკლიფის იდეები და მეფეს დაუჭირეს მხარი. ჰუსის რეფორმატულ-პატრიოტულ საქმიანობას მხარს უჭერდა სწავლულთა მცირე ჯგუფი (იერონიმე პრაღელი და სხვანი) და რაც მთავარი იყო მთელი პრაღისა და ჩეხეთის ხალხი, როგორც უჩინონი, ასევე მრავალი წარჩინებულიც. ამას კარგად გრძნობდა ჰუსიც და ეს აძლევდა სტიმულს მომავალი ბრძოლისათვის.

მეფის, უნივერსიტეტის პროფესურისა და ჰუსის პოზიციების თაობაზე, მალე მთელი პრაღის მოსახლეობამ გაიგო. იან ჰუსის მხარდასაჭერად მთელს პრაღაში სახალხო გამოსვლები დაიწყო. ერთ-ერთი ასეთი გამოსვლისას 1412 წლის ივლისში,

ქალაქის მესვეურთა ბრძანებით შეიპყრეს სამი ახალგაზრდა კაცი, ვითომდა „მეამბოხეთა მეთაურები“. იან ჰუსი შეაშფოთა ამ ადამიანების ბედმა, გრძნობდა უდიდეს მორალურ-ზნეობრივ პასუხისმგებლობას, და შუამდგომლობით მიმართა პრაღის მუნიციპალიტეტს მათი გათავისუფლების შესახებ. მეფის მოხელეთა და ქალაქის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით ხალხის შესაშინებლად და აზვირთებული მასის დასაშოშმინებლად სამივე ტუსაღი სასწრაფოდ სიკვდილით დასაჯეს. ეს იყო, მართლაც, პირველი სისხლი, რომელიც იდეისა და თავისუფლებისათვის დაიღვარა. პრაღელებმა თურმე პატივით დაკრძალეს ისინი და წარწერაც გაუკეთეს „ისინი წმინდანებია“.

აქამდე ჩრდილში მყოფი კათოლიკე ღვთისმსახურნი და ჰუსის მოწინააღმდეგენი აგულიანებდნენ მეფეს, რომ ეს ერესი დაუშვებელია და გადამჭრელი ზომებია მისაღებიო. სულმდაბალი მეფე, რომელიც საღვთო იმპერიის გვირგვინის დაბრუნებაზე ოცნებობდა, ასე ანგარიშობდა, ხომ იფიქრებენ პაპი და იმპერიის სხვა ქვეშევრდომნი, შენ ჩეხეთისთვის ვერ მოგივლია, ჰუსის „შხამიანი ერესი“ ვერ მოგიშორებია და იმპერიას როგორლა განდობთო. ვიწრო, ეგოისტურმა სულმა სძლია მასში საამქვეყნოსა და პატრიოტულს. „ათასეებიც რომ იყვნენ ეს მეამბოხენი (ე.წ. ჰუსის მიმდევრები), ისევე მოვექცევით, როგორც იმ სამს. და თუ ჯარისკაცები და ჯალათები არ გყოფნით, ვუბრძანებ უცხოეთიდან ჩამოიყვანონ ისინი. მეფემ მაინც ვერ გაბედა ასეთი მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა, უნივერსიტეტის პროფესურამ მეფის მუქარით ოფიციალურად დაუჭირა მხარი ინდულიგენციებით ვაჭრობას, წინააღმდეგნი კვლავ იან ჰუსი და იერონიმე პრაღელი იყვნენ. მართალია, პრაღის მოსახლეობა ჰუსს მხარდაჭერას უცხადებდა, მაგრამ დანარჩენი ჩეხეთის მოსახლეობა ჯერ კიდევ არ იყო აქტიურად ჩართული ამ მოძრაობაში. ვინაიდან იან ჰუსს ძირითადად მხარს უჭერდნენ პრაღის ვაჭარ-ხელოსნები, ბიურგერები, და უბრალო ხალხი (ძირი-

თადად, მესამე წოდება), ოპონენტებმა მას „მენაღეთა და მკერავთა მოძღვარი“ შეარქვეს.

ბეთლემის სამლოცველოდან ჰუსი მრევლს მიმართავდა: „ამიერიდან, ქრისტეს ჭეშმარიტება და უშიშროება, მონაფეებმა მახვილით ხელში, რომელსაც ღვთის სიტყვა ჰქვია და სახარებით შეიარაღებულებმა, უნდა ვიბრძოლოთ ანტიქრისტეს წინააღმდეგ“...

პრაღის პატრიციები, რომელთა უმრავლესობასაც გერმანელი ვაჭრები, ბანკირ-ფინანსისტები და მდიდარი ოსტატები შეადგენდნენ, აშკარად გამოვიდნენ ჰუსის წინააღმდეგ და ბეთლემის ტაძრის სამრეკლოს დარბევაც კი განიზრახეს. „ჰუსიტური ერესის“ წინააღმდეგ კიდევ უფრო მკაცრად გამოვიდა იოანე XXIII. ის ინტერდიტიით დაემუქრა მთელს პრაღას, ხოლო ჰუსი შეაჩვენა და ეკლესიიდან განკვეთილად გამოაცხადა. „მე იოანე (რომის ეპისკოპოსი) ღვთისმსახურთა მსახური, გწყევლი და შეგაჩვენებ შენ მოძღვარო იან ჰუსო, ჭეშმარიტებიდან გადავარდნილო და გზააბნეულო, ქრისტიანთა თემიდან საბოლოოდ მოკვეთილო, ამიერიდან, ეკლესიიდან განიკვეთოს ყველა ის, ვინც მიანვდის პურს თუ მშიერი ნახა, მისცემს წყალს თუ მწყურვალი ნახა, ან მისცემს თავშესაფარს. არავინ გაბედოს შეუკეროს ტანსაცმელი, ან ფეხსაცმელი, ასევე დაისჯება ის, ვინც მას ხმას გასცემს, ან გააცილებს ფეხით თუ ცხენით, ამიერიდან, მას როგორც შეჩვენებულს, ეხსნება ყველა საეკლესიო უფლებამოსილება, თუ მოკვდება, გეკრძალებათ მისთვის წესის აგება, თუ იგი დაიმარხა ისეთ მხარეში, სადაც ჯერ არ იციან ამ შეჩვენების თაობაზე, გვამი საფლავიდან უნდა ამოიღონ და დაუმარხავად დააგდონ. “ იმდროინდელი ქრისტიანის აზროვნება, სულისკვეთება და თვით სიცოცხლის არსიც, რელიგიური ხასიათისა იყო და სულიერი საკვებიც რელიგიური. ამდენად, გასაგები უნდა იყოს რამდენად დამძიმდა ჰუსის მდგომარეობა ამ ანათემის შემდეგ. ჰუსს რომში პაპის სასამართლოში იბარებდნენ. ჰუსი გაბედულად წარსდგა ბეთლემის სამ-

ლოცველოდან მრევლის წინაშე. მან თავად გააცნო მრევლს პაპის ანათემის შინაარსი და თავის საქმის ერთადერთ მსაჯულად იესო ქრისტე და საღვთო წერილი დასახა. მრევლი საყვარელი მოძღვრის დასაცავად მზად იყო, მაგრამ იყო მეორე მხარეც, რაც აშფოთებდა ჰუსს, არ დაზარალებულიყო მრევლი, ხალხი. თუ არ წავიდოდა რომში, მაშინ ქვეყანას ინტერდიქტი ემუქრებოდა, რაც საშინელება იქნებოდა. რომში წასვლა კი აშკარა სიკვდილს ნიშნავდა, ასეთი მსხვერპლი კი არა მარტო უაზრო, არამედ ქრისტიანული თვალსაზრისით მიუღებელი იყო, ვინაიდან ანტიქრისტეს სასამართლო (პაპის სასამართლო) ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის მიუღებელიც უნდა ყოფილიყო.

კვლავ მშობლიურ კუთხეში. რამდენიმე კვირამ განვლო ფიქრსა და ძიებაში, ბოლოს კი გადაწყდა: იმისთვის, რომ პრაღისთვის აეცილებინა ინტერდიქტი, ჰუსი ღამით უნდა გარიდებოდა ქალაქს. ეს არ ნიშნავდა ბრძოლის შეწყვეტას, ეს უფრო მომავალზე ზრუნვით იყო გამოწვეული, იგი თანამემამულეთა, მოქალაქეთა რელიგიურ გრძნობებს პატივს სცემდა. 1412 წლის გვიან შემოდგომაზე ჰუსი თავის მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა.

საბოლოოდ ის შეიფარეს კოზების იჯახში თაბორის მთის მახლობლად. ზემანი კოზები ნვრილ აზნაურებს განეკუთვნებოდნენ. (ჩეხეთში თავადაზნაურობა ორ ფენად იყო გაყოფილი: პანები – წარჩინებულები და ნვრილი აზნაურები – ზემანები). ჩეხი თავადაზნაურობა კარგად ხვდებოდა იმ შედეგებს, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ჰუსის იდეების რეალიზაციას. თუ მოხდებოდა საეკლესიო მიწების ჩამორთმევა, (როგორც ამას ჰუსი მოითხოვდა) მაშინ ისინი საერო ფეოდალებს გადაეცემოდათ, ჩეხ ფეოდალებს საეკლესიო ქონების სხვა ნაწილზეც ეჭირათ თვალი. ამდენად, ჰუსისთვის ჩეხი თავადაზნაურობის კარი ღია უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, საერო ფეოდალების მიერ ჰუსის მხარდაჭერა მის უსაფრთხოებასაც ნიშნავდა. ფიზიკური განადგურების საფრთხე

ამჯერად მაინც არც სამეფო ხელისუფლებისგან მოდიოდა. მართალია, ვაცლავ IV ჰუსს განუდგა, მაგრამ რეფორმატორს იმაში კი აშკარად უჭერდა მხარს, რომ საერო ხელისუფლება უფრო მაღლა უნდა იდგესო ვიდრე სასულიერო. გარდა ამისა, ჰუსის მრევლში, ბეთლემის სამლოცველოდან, ერთ-ერთი აქტიური იყო, თავად მეფის მეუღლე დედოფალი, სოფია. დედოფალს კი საკმაო გავლენა ჰქონდა უნიათო ვაცლავზე.

სოფელში ყოფნისას ჰუსს საშუალება მიეცა შედარებით მშვიდი ლიტერატურული საქმიანობისათვის. ამ პერიოდში დაინერა მისი ცნობილი თხზულებანი, (ისინი მხოლოდ ჩეხურადაა დაწერილი) „განსჯანი რწმენის ათი მცნებისა და უფლისადმი ლოცვის თაობაზე"; „ცოდვილის სარკე"; „სულის ხსნის ჭეშმარიტი გზის შეცნობისათვის"; „სიმონიის თაობაზე" (სიმონია-საეკლესიო თანამდებობებით ვაჭრობა); „ექვსნი ცდომილებანი"; „ტრაქტატი ეკლესიის შესახებ" და სხვანი...

ჰუსის დაპირისპირება კათოლიკურ ეკლესიასთან განპირობებული იყო ორი უმთავრესი მოტივით, ეს იყო პატრიოტული და რელიგიური. აღნიშნულ თხზულებებში ჰუსი კიდევ ერთხელ ასაბუთებს თავის რელიგიურ შეხედულებებს და ამტკიცებს, რომ მისი აზრები რწმენისა და ეკლესიის თაობაზე მხოლოდ და მხოლოდ საღვთო წერილიდან გამომდინარეობდა. ამავე დროს ის კიდევ ერთხელ უბრუნდება ეროვნულ საკითხსაც, სამწუხაროდ, ჰუსისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში (როგორც გერმანულ, ისევე რუსულში) ეროვნული იდეა ჰუსიტურ რეფორმაციაში მეორად ელემენტადაა მიჩნეული. ასეთი მიდგომა ჰუსის მოღვანეობისადმი, აღარიბებს და აცლის ჩეხეთის (და არა მარტო ჩეხეთის) ისტორიისათვის ისეთ სასიცოცხლო იდეას, როგორიც არის ეროვნული თვითმყოფადობა და ეროვნული სიამაყე. როგორც ჩანს პატრიოტულ სიამაყეს იმპერიული აზროვნება ვერც მაშინ იტანდა და ვერც ახლა იტანს.

ზემოაღნიშნულ თხზულებებში, განსაკუთრებით „განსჯანში" ჰუსი ენერგიულად იცავს ჩეხურ ენას, როგორც ჩეხი

ხალხის თავისუფლებისა და არსებობის საფუძველს. ის სწუხს იმის გამო, რომ ჩეხური ნაცვლად გერმანულად საუბრობენ. განსაკუთრებით სამეფო კარი და ფეოდალების არისტოკრატული ნაწილი, რომ ჩეხური ენა დაბინძურდა უცხოტომელთა ელემენტებით, (მას მოჰყავდა ამის უამრავი კონკრეტული მაგალითი) მისი მტრები, როგორც პრაღაში მოღვაწეობისას, ისე კონსტანცის საეკლესიო კრებაზე, ბრალს სდებდნენ თითქოსდა ეროვნულ შუღლს აღვივებდა, ამათ საპასუხოდ ჰუსი აშკარად აცხადებდა და წერდა კიდეც: „მთელი ჩემი სინდისით ვაცხადებ, უცხოტომელს სადაურიც უნდა იყოს, თუ იგი მისი სიკეთისათვის უყვარს უფალს, და სიკეთის დასაცავად ჩემს ძმაზე მეტად ირჯება, ის იქნება ძმაზე უსაყვარლესი, კეთილი ინგლისელი მოძღვარი (უიკლიფზე მიანიშნებდა) უფრო საყვარელია, ვიდრე უწმინდური ჩეხი, კეთილი გერმანელი უფრო ახლობელია, ვიდრე ბოროტი ჩეხი“ ამ გამონათქვამებით ცხადი ხდება, რომ ჰუსისათვის უცხოა რაიმე ნაცოფობური იდეები, როცა იგი გამოდიოდა გერმანელთა მოძალების წინააღმდეგ, იგი მოქმედებდა ჩეხეთის იმდროინდელი რეალობის გათვალისწინებით, რამდენად დიდი იყო გერმანელთა გავლენა ჩეხეთში, რამდენად საშიშნი, თუ როგორ გადაიქცნენ ისინი პაპის კათოლიკური ეკლესიის ინტერესების გამტარებლად ჩეხეთში. ეს ტენდენცია რომ რეალური იყო, პრაქტიკულად დადასტურდა ჰუსის სიკვდილის შემდეგ ჰუსიტური ომების საწყის ეტაპზე.

პრაღიდან წასვლა და ზემანის სახლში ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობა, მხოლოდ მოჩვენებითი სიმშვიდე აღმოჩნდა. ჰუსის სახელი უკვე დიდი ხანია გასცდა პრაღისა და ჩეხეთის საზღვრებს. ჰუსიტურ – ჩეხური „საწამლავი“ (ასე უწოდებდნენ კათოლიკენი ჰუსის იდეებს) გასცდა ჩეხეთის ფარგლებს, ამიტომ ჰუსის წინააღმდეგ იკვრებოდა მეტად საშიში წრე პაპის მეთაურობით.

როგორც ჩანს, ჰუსი კარგად გრძნობდა ამ საფრთხეს და პირადულიც იმთავითვე მეორე პლნზე გადაიტანა, მისთვის

სიკვდილ-სიცოცხლის ტოლფასი იყო ის საქმე, რასაც შეეჭიდა და უკან დახევას არ აპირებდა. სიკვდილიც კი ამ წმინდა საქმისათვის საშიში აღარ იყო. პრაღის უნივერსტეტის რექტორისადმი გაგზავნილ ერთ წერილში (1412 წლის ბოლოს) ის სწერდა: „ადამიანები დაბრმავებულნი არიან პატივმოყვარეობით, სიამაყით, განდიდების სურვილით, სიხარბითა და სიძუნწით, ამიტომ შორს არიან ისინი სიმართლისგან, არ გააჩნიათ მოთმინება და კეთილმოქმედთა სიყვარული, ისინი სულიერად უძლურდებიან, გული უშფოთავთ იმის გამო, რომ ერთის მხრივ სიმართლის შეგნება აწუხებთ, მეორეს მხრივ შიში იპყრობთ, არ დაკარგონ თავიანთი დიდება და ცოდვილი სხეული სასიკვდილოდ არ გაიმეტონ. მე კი სიკვდილზედაც წავალ, თუკი იქნება ნება და წყალობა უფლისა, რადგან აღარ მსურს ვიცხოვრო ამ ცოდვილ ქვეყანაზე თუ ვერ შევძელი გავაღვიძო ჩემშიცა და სხვაშიც მონანიების გრძნობა, როგორც ამას უფალი გვასწავლის“.

კონსტანცაში გამგზავრებამდე. პაპ იოანე XXIII-ს პაპობის ისტორიის კათოლიკე მკვლევარები, ხშირად დღესაც დუმილით უვლიან გვერდს, თითქოს ის არც არსებულიყოს. სამაგიეროდ, ამ კაცის ცხოვრება საკმაოდ არის აღწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ხოლო ქართველი მკითხველი მის ცხოვრებას კარგად იცნობს, ალ პარადისისის გახმაურებული რომანით „ბალთაზარ კოსა“. დიახ, ეს კაცი იყო ჰუსის თანამედროვე და ბედის ირონიით კათოლიკური სამყაროს მეთაურიც. რა გზებითაც მოვიდა იგი პაპის გვირგვინამდე, იმავე მეთოდებით ებრძოდა იგი თავის კონკურენტებს, გრიგოლ XII-სა და ბენედიქტე XIII. მაგრამ, საქრისტიანოს თვალში, ის წმინდად, ღვთისმოადგილედ უნდა გამოჩენილიყო და ამიტომ შეეცადა „კანონიერი“ გზით ჩამოეშორებინა მოწინააღმდეგენი მისი ინიციატივით გამოცხადდა ახალი საეკლესიო კრების მოწვევა, რომელსაც, მისი აზრით, ბოლო უნდა მოეღო სამპაპიანობისათვის და თვითონ იოანე XXIII დარჩენილიყო ერთადერთ პონტიფიკად. ამ საქმეში მას აუცილებლად სჭირდ-

ებოდა საერო ხელისუფლების თანადგომა და მან მიმართა ვაცლავ IV-ის ძმას და მტერს, გერმანიის მეფეს სიგიზმუნდს, რომელსაც რომის იმპერატორის გვირგვინი ოფიციალურად აქამდე ვერ დაედგა. პაპის აზრით, თუ სიგიზმუნდი მას დაეხმარებოდა, ამ კრების მეოხებით ჩამოეშორებინა კონკურენტები, მაშინ ის დაეხმარებოდა სიგიზმუნდს რომის იმპერატორად კურთხევაში (ჩვეულებრივ რომის საღვთო იმპერიის გვირგვინოსნები რომში იღებდნენ კურთხევას, თუმცა კაროლინგური ადათის მიხედვით, ეს შეიძლებოდა მომხდარიყო აახენშიც, ამ დინასტიის უძველეს საცხოვრისში). თავის მხრივ სიგიზმუნდი ცდილობდა ხელთ ეგდო ასეთი კრების მოწვევის ინიციატივა და თვითონ გამხდარიყო კრების უზენაესი საერო ხელისუფალი, ამით სურდა მას საკუთარი ავტორიტეტისა და გავლენის გაფართოება. ასეთ ვითარებაში, როგორც ფიქრობდა სიგიზმუნდი, ძმის, ვაცლავ IV-ის წინააღმდეგობა იმპერატორის გვირგვინის მიღებაში, გატეხილი იქნებოდა. უფრო მეტიც, საეკლესიო კრებისა და გვირგვინზე კურთხევის წარმატების შემთხვევაში, სიგიზმუნდი, როგორც თავად ფიქრობდა, გახდებოდა ევროპის პირველი მეფე. ამდენად, პაპს სიგიზმუნდი სჭირდებოდა, სიგიზმუნდს კი – პაპი. სიგიზმუნდის დაჟინებული მოთხოვნით გადაწყდა კრება მოწვეულიყო გერმანია-შვეიცარიის საზღვართან ახლოს, ბადენის ტბასთან მდებარე საეპისკოპოსო ქალაქ კონსტანცაში.

იყო კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც გვერდს ვერ აუვლიდა იოანე XXIII. ეს იყო ჩეხური ერესი, ანუ იან ჰუსის პრობლემა. თუ ადრე ვერ შეძლო რომში უშუალოდ პაპის სასამართლოში ჰუსის ჩამოყვანა, საეკლესიო კრებაზე მისი მოწვევა, მთელი კრების სახელით, რეალური იყო. პაპს ჩეხური ერესის ამოძირკვით ავტორიტეტის ამაღლება და საქრისტიანოში საკუთარი პოზიციების გამაგრება სურდა. სიგიზმუნდისაგან ამას კატეგორიულად მოითხოვდა და ასეთივე წინადადებით მიმართავდა ვაცლავ IV. პაპი და სიგიზმუნდი არწმუნებდნენ

ჩეხეთის მეფეს, თუ შენ ხელს არ დააფარებ ჰუსს, შენი სიცოცხლის განმავლობაში არც ჩეხეთის ტახტზე მექნებაო პრეტენზია და არც საიმპერიო გვირგვინზე, ვიცით რომ ეს გვირგვინი შენც გინდაო. პაპი, უშუალოდ ვაცლავ IV-დმი მიწერილ წერილში არაორაზროვნად მიანიშნებდა, რომ თუ ხელს არ აიღებდა ჰუსის მფარველობაზე და არ გადასცემდა მას საეკლესიო კრების სასამართლოს, მაშინ ჩეხეთს, როგორც ერეტიკოსთა ქვეყანას, ემუქრებოდა ჯვაროსნული ომი.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ცნობილი იყო იან ჰუსისათვისაც. მას მთელი სიგრძე-განით ჰქონდა წარმოდგენილი პაპისა და სიგიზმუნდის მუქარის შესაძლო შედეგები, მაგრამ ამავე დროს, შეგნებული ჰქონდა, რომ მას იხმობდნენ არა პაპის სასამართლოში, არამედ ქრისტიანთა საერთო კრებაზე. როცა პირველად იხმეს იგი რომში, არ ნავიდა, ვინაიდან „ანტიქრისტეს“ ბრძანების შესრულებას სავალდებულოდ არ თვლიდა. ამჯერად კი საეკლესიო კრების სახელით იწვევდნენ და ეს სულ სხვა რამ იყო. ჰუსს სურდა კრებაზე ჩასულიყო, არა როგორც ბრალდებული, ან ერეტიკოსობაში ეჭვმიტანილი, არამედ, როგორც ერთ-ერთი მონაწილე ამ კრებისა, რომელსაც ექნებოდა უფლება თავისუფლად გამოსულიყო ტრიბუნაზე და განემარტა დამსწრეთათვის თავისი მოძღვრების არსი. ეს პოზიცია ჰუსმა გააცნო ვაცლავ IV. მეფე ყოყმანობდა და ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ იღებდა. მეგობრები ურჩევდნენ ჰუსს არ წასულიყო კრებაზე და თავი შეეფარებინა ჩეხი კეთილისმყოფელი პანებისათვის. ჰუსი ხვდებოდა, რომ უმძიმესი არჩევანის წინაშე იდგა. მაგრამ მას დიდი ხანია სურდა თავისი სიმართლე, თავისი შეხედულებათა ჭეშმარიტება და სიწმინდე მხოლოდ პრაღის მრევლისათვის კი არა, მთელი საქრისტიანოსთვის დაემტკიცებინა. მისთვის ხომ ეკლესიის სიწმინდისათვის ბრძოლა ეროვნულისათვის ბრძოლასაც ნიშნავდა.

ჩეხი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი, როგორც ითქვა ჰუსის მხარდამჭერად გამოდიოდა. ამჯერადაც, ჰუსისათვის

კრებაზე ხელშეუხებლობისათვის მყარი გარანტიების მოსაპოვებლად ბრძოლაში აქტიურად ჩაება ჩეხი დიდაზნაური, გამოჩენილი დიპლომატი პან ლეფლ ლაჟანელი. ეს კაცი შუამავლობდა გვირგვინოსან ძმებს და მისი დიდი დამსახურება იყო რომ ძმებს შორის მშვიდობა სუფევდა. ლეფლ ლაჟანელმა დაითანხმა ვაცლავ IV მისწერე შენს ძმას, სიგიზმუნდს, თანახმა ვარ დათქმულ ვადაზე ადრე შენს იმპერატორად კურთხევაზე, თუ მოგვცემთ ჰუსის უსაფრთხოების მყარ გარანტიასო. მართლაც, საოცარი იყო, ერთი გვირგვინოსანი თანახმა იყო ერეტიკოსის სიცოცხლე იმპერატორის გვირგვინში გაეცვალა, ძნელი სათქმელია, რამდენად ხვდებოდა ამ პოლიტიკური რეალობის სისწორეს ვაცლავ IV, იოანე XXIII კი ყველაფერზე თანახმა იყო ოღონდ ჰუსი კონსტანცაში ჩაეყვანა. ეს გეგმა ჰუსს გააცნეს. ჰუსი რომელიც ეწვია დიპლომატს მისავე ციხედარბაზში ეკითხებოდა, ლეფლ ლაჟანელს, მოგვცემსო სიგიზმუნდი ასეთ სიგელს? თავადი ენდობოდა მომავალი იმპერატორის სიტყვას, თუმცა ჰუსს როგორც მისი ქმედებებიდან ჩანს, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა წასულიყო კონსტანცაში და საქვეყნოდ, საჯაროდ, ყველა ქრისტიანისათვის გაეცხადებინა ღვთის სიტყვა. ამასთან, სამშობლოსათვის თავიდან აეცილებინა შესაძლო ჯვაროსნული ლაშქრობაც. და აი, ყოველივე ავისა და კარგის აწონვის შემდეგ, ჰუსმა მიიღო გადაწყვეტილება კრებაზე წასვლისა. იმავე 1414 წელს წერილი მისწერა სიგიზმუნდს.

„მოწყალე ხელმწიფევ, და უბრწყინვალესო მთავარო, ამას წინათ წერილობით მოვახსენებდით, თქვენს ბრწყინვალებას, როგორც გაცნობებდათ პან ინდრიხ ლეფლ ლაჟანელი, გადავწყვიტე დავემორჩილო და თქვენი საიმედო დაცვის სიგელის მფარველობით ნებითა ღვთისა და კანონისა, მომავალ საეკლესიო კრებაზე გამოვცხადდე. ამასთან, უმორჩილესად ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას, ღვთის სადიდებლად და წმინდა ეკლესიის სასიკეთოდ, აგრეთვე ჩეხეთის სამეფოს პატივისა და ღირსებისათვის, გაიმეტოთ ისეთი წყალობა,

რათა მშვიდობით ჩავიდე და შესაძლებლობა მომეცეს კრებას მოვახსენო რაც მწამს და რასაც ვქადაგებ, რადგანაც იდუმალს მე არაფერს ვასწავლიდი, არამედ ღიად, აშკარად, სადაც თავშეყრილნი იყვნენ მაგისტრები და ბაკალავრები, მოძღვრები და პანები, რაინდები და სხვა ჯურის ხალხი, ახლაც მინდა, რომ არა დაფარულად, არამედ სრულიად საკრებულომ ისმინოს ჩემი ქადაგებანი და ღვთის ნებით ვუპასუხო ყველას, ვინც და რამდენნიც უნდა იყვნენ ჩემი ბრალმდებელნი. ვიმედოვნებ და ღვთის ნებით არ მექნება შიში, საჭიროებისამებრ და ღვთიური სამართლიანობისათვის სიკვდილსაც რომ შევეგუო. თვით მეფემან მეფეთა შორის და მპყრობელმან მპყრობელთა, უბრალო მოკრძალებილი კაცის სახით, ჩვენს მაგიერ მორჩილად მიიღო წამების გვირგვინი, ჩვენ კი გვინდა მის კვალს მივყვეთ, მას, რომელსაც არ ჩაუდენია ცოდვა, ბაგენი არ წაუბილწავს სიცრუით, დამდაბლდა და თავისი სიკვდილით სიკვდილი ჩვენი დათრგუნა, და ჩვენც მოთმინებით უნდა ვეწამოთ, რამეთუ ჭეშმარიტად უთქვამს „ნეტარ არიან სიმართლისთვის დევნილნი, რამეთუ მათია სასუფეველი ცისა. ამაზე ვფიქრობდი დღენიადაგ მე, მისი უღირსი მსახური, მინდოდა გამომეფხიზლებინა ერი და ბერი, რათა მისი გზით გვევლო. ამისთვის მოვიმკე ზიზღი, მაგრამ არა ხალხისა, არამედ მათი, ვისი ზნეობაც შესაზარია თვით უფლისათვის. რამდენჯერაც მიხმეს არქიეპისკოპოსის კარზე, იმდენჯერ უდანაშაულოდ მცნეს, ბოლოს კი როცა პაპთან მიხმეს, ვერ ველირსე ჩემი წარმომადგენლებისა და დამცველების აუდიენციას. ახლა კი მივენდე მართალ მსაჯულს; ვიმედოვნებ თქვენო ბრწყინვალებავ, იქნებ ისე მოაგვარო საქმე, რომ უფალი იესო ქრისტეს ნებით საჯაროდ და უშიშრად გადმოვცე ჩემი მოძღვრება. ვწერ ამას ჩემი საკუთარი ხელით, წმინდა ილიას დღეს, ჩვენის უფლის იესო ქრისტეს სახელით, თქვენი მორჩილი მსახური მაგისტრი იან ჰუსი". საოცარია პირდაპირ, საკუთარი პერსონის უსაფრთხოებას არც ახსენებს სიკვდილზე მიმავალი, არამედ ერთს ითხოვს, მიეცეს შესაძლებლობა

კრებას საჯაროდ მოახსენოს თავისი შეხედულებანი, სამშობლოსათვის და თავისუფლებისათვის ბრძოლას ალბათ მართლა სჭირდება ასეთი მისიის მატარებელი ადამიანების მსხვერპლი.

გზად კონსტანციისაკენ. დაიწყო კონსტანცაში წასვლის სამზადისი. პრაღაში ჩამოსულმა ჰუსმა, აქაური ინკვიზიტორის, ეპისკოპოს მიკულაშისგან მიიღო წერილობითი დასტური, რომ იგი არის მართლმორწმუნე და არა შეჩვენებული ერესში. მოაგვარა სხვა პირადი საქმეებიც და ბოლოს წერილობით მიმართა პრაღის მოსახლეობას, „თუ ვინმეს ეჭვი გაქვთ ან თვლით, რომ ერეტიკოსი ვარ, გთხოვთ გულწრფელად თქვითო", ეს მიმართვა შედგა სამ ენაზე ჩეხურად, გერმანულად და ლათინურად რათა, რათ საზოგადოების ყველა ფენას შეძლებოდა აზრის გამოტანა. ზოგიერთ ახლობელს კი წერილები წარწერით „არ გახსნათ სანამ არ გაიგებთ, რომ ცოცხალი აღარ ვარ". ბოლოს მეგობრებისათვის და საზოგადოებისათვის, ოქტომბერში დაწერა წერილი „გამოთხოვება მეგობრებთან".

„მაგისტრი იან ჰუსი, უღირსი მოძღვარი და მსახური უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ქრისტეს სიყვარულით ჩემს ძმებსა და დებს, ვინც ჩემით ისმენდა ღვთის სიტყვას ღვთის წყალობა და მშვიდობა თქვენზე მამისა, ძისა და სულიწმინდისაგან, წმინდა იყოს და ჭეშმარიტი სახელი მათი, ჩემო ერთგულო და კეთილო მეგობრებო. იცით, რომ დიდხანს ერთგულად ვირჯებოდი თქვენთვის, რათა მექადაგნა ჭეშმარიტი ღვთის სიტყვა ცდომილებისა და ერესის გარეშე

გადავწყვიტე დამეწერა ეს სიტყვა, სანამ დავადგებოდე კონსტანცისკენ მიმავალ გზას. მინდა გაუწყოთ იმ ცრუმოწმეობასა და ცრუ მოწმეებზე, რომელნიც მე აღვწერე მათივე ჩვენებებთან ერთად, ეს უნდა იცოდეთ, ვინაიდან, თუ მე რაიმე ერესისათვის შემაჩვენეს ან სიკვდილი მომისაჯეს, არ შედრკეთ, რათა უშიშრად და უყოყმანოდ იდგეთ სიმართლის მხარეზე, რომელიც ღმერთმა გვიბოძა და რომელიც მე

ულირსმა, გიქადაგეთ. რათა შეძლოთ თქვენ თავი აარიდოთ ცრუ და პირმოთნე მოძღვრებს.

გავემზადე და ჯერ კიდევ დაცვის სიგელის გარეშე ვადგები გზას, რომელიც ჩემი უმძლავრესი და მრავალრიცხოვანი მტრებისაკენ მიდის, რომელთაგან ყველაზე უარესნი, ჩვენივე თანამემამულენი არიან (ჰუსს მხედველობაში აქვს კონსტანცაში უკვე ჩასული ჩეხეთისა და პრაღის კათოლიკური სამღვდელოების მრავალრიცხოვანი დელეგაცია – ა.გ.). ამას თქვენ კრების დასასრულს გაიგებთ, მტრები კი უამრავი მყავს . . . და შევღაღადებ მე ყოვლად ძლიერ და მოწყალე უფალს, რათა თავისი აღთქმითა და თქვენი ლოცვით, მომანიჭოს სულიწმინდის სიბრძნე და სიმამაცე, რათა გავუძლო და ვერ შეძლონ მათ გადამახვევინონ ჭეშმარიტებიდან სიცრუისაკენ, რათა დავითმინო ცდუნება, დამცირება, დატუსაღება ან სიკვდილიც კი, ვითარცა თავად ევნო და რისთვისაც მისი საყვარელი, ერთგული მსახურნი გაიწირნენ. მან მოგვცა ჩვენ ნიმუში, რათა ვეწამოთ მისი სახელისა და ჩვენი სულების ხსნისათვის.

ჩემო საყვარელო ძმანო და დანო, ერთგულად ილოცეთ ჩემთვის, რათა მომანიჭოს უფალმა მე სიმტკიცე და ამარიდოს მე ბოროტება. ხოლო, თუ სიკვდილი ჩემი განადიდებს მის სახელს და თქვენ გარგებთ, მომეცეს იგი ყოველგვარი შიშისა და ძრწოლის გარეშე; ხოლო თუ ჩემი უკან დაბრუნებით მოგეცემათ დიდი სიკეთე, დამიფაროს მე უფალმა იქეთ და აქეთ, რათა ჩვენ პატიოსანი და წმინდა სახელით, ერთობლივად შევისწავლოთ სიტყვანი მისნი და მოვშალოთ ქსელები ანტიქრისტესი, მივცეთ ჩვენს მომავალ ძმებს კეთილი ნიმუში.

ალბათ მეტად ვეღარ მიხილავთ მე სიკვდილის წინ პრაღაში. ხოლო თუ ყოვლადძლიერმა ღმერთმა ინება ჩემი დაბრუნება, უფრო დიდი სიხარულით შევხვდებით ერთურთს; ჯერ კი გვიხაროდეს, რადგან შევხვდებით სასუფეველში.

გებოძათ 1414 წლის ზაფხულს, წმინდა ვაცლავის დღეს კონსტანცაში გასვლისას."

საოცარი აღსარებაა სიკვდილზე მიმავალისა. არც ერთი სიტყვა საკუთარი სიცოცხლის დაცვისათვის. არავითარი უიმედობა, მხოლოდ მხნეობასა და სიმტკიცეს შესთხოვს უფალს და ავედრებს მოყვასისათვის სიკეთეს. ქრისტიანობის ისტორიაში ალბათ ცოტა მოიპოვება მორალურ-ზნეობრივი სიმტკიცისა და სისრულის მქონე მსგავსი წერილი.



იერონიმე და ჰუსი

1414 წლის 11 ოქტომბერს კრაკოვეცის ციხე-დარბაზიდან დაიძრნენ მგზავრები, ოცდაათიოდე კაცი, ქვეითნი და ცხენოსანნი, ორი საზიდრით. იან ჰუსს მიყვებოდნენ და აცილებდნენ: სიგიზმუნდისაგან შერჩეული ორი ჩეხი აზნაური, ვითარცა ცოცხალი „დაცვის სიგელი", ვიდრე გზაში დაახვედრებდნენ სიგიზმუნდისაგან ბეჭედდასმულ ნამდვილ სიგელს; აგრეთვე პრაღის უნივერსტეტის წარმომადგენელნი, იან კარდინალი და ბაკალავრი პეტრე მლადონეველი, სწორედ ამ უკანასკნელმა აღწერა ჰუსის თავგადასავალი კონსტანცის

კრებაზე, რისთვისაც მან შთამომავლობის მადლიერება დაიმსახურა. დანარჩენები უბრალო მსახურები იყვნენ.

გზა საკმაოდ გრძელი იყო. გზადაგზა ხვდებოდნენ მრავალრიცხოვანი ცნობისმოყვარენი, ჰუსიც არ მალავდა არც სახეს და არც ვინაობას. მთელი ჩეხეთი საზღვრამდე უხიფათოდ განვლეს. საოცარი უფრო ის იყო, რომ გერმანიის სოფლებსა და ქალაქებში, სადაც მგზავრებს უნდა გაევლოთ, უკვე იცოდნენ მაგისტრ იან ჰუსის შესახებ. ჰუსი გზადაგზა წერილებს სწერდა და აქაური შთაბეჭდილებებით აღსავსეს ჩეხეთში უგზავნიდა მეგობრებს. მცირე ხანს შეჩერდნენ ქალაქ ნიურნბერგში. ჰუსმა სახელდახელოდ, გერმანულ ენაზე ჩამოწერა უფლის ათი მცნება მოკლე კომენტარებით და დაუტოვა ცნობისმოყვარე ხალხს, საოცარ კეთილგანწყობას გრძნობდა ჰუსი გერმანიაშიც. ბოლოს 1414 წლის ნოემბრის დასაწყისში, მგზავრები მიადგნენ ბოდენის ტბის პირას გაშენებულ ქალაქ კონსტანცას.

საეკლესიო კრების ინტრიგები. კონსტანცა, მცირე ქალაქი იმდროისათვის დაახლოებით 7-8 ათასი მცხოვრებით, ტიპიური შუასაუკუნეებრივი სავაჭრო-ხელოსნური დასახლება გახლდათ. არაფრით იყო გამორჩეული, თუ არ ჩავთვლით ბოდენის ტბის მშვენიერ ბუნებას და ხელსაყრელ სამიმოსვლო გზებს. 1414 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის ეს ქალაქი საქრისტიანოს ყურადღების ცენტრში მოექცა, უბრალო საქმე არ იყო, აქ იკრიბებოდა მორიგი მსოფლიო საეკლესიო კრება. ამ ქალაქზე არჩევანი სიგიზმუნდმა გააკეთა (საჭირო შემთხვევაში აქედან უფრო მოვახდენ ზემოქმედებას ეშმაკ იოანე XXIII და საერთოდ კრების მსვლელობაზეო). ქვეყნის ხალხი მოაწყდა და აახმაურა ერთ დროს მყუდრო ქალაქი. ჩამობრძანდა პაპი იოანე XXIII და კარდინალების თითქმის სრული შემადგენლობა (29 კარდინალი), არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, აბატები და სხვა ჯურის სამღვდელონი მსოფლიოს ყველა კუთხიდან, მათ შორის, სამი პატრიარქიც. საეროდან ესწრებოდნენ იმპერატორი (სიგიზმუნდი), ათზე

ИАН ЖУСИ

მეტი სამეფოს ნარმომადგენელი, მთავრები და ჰერცოგები, გრაფები და ბარონები, ფინანსისტები და მოვაჭრენი და სხვანი. ყველა მათგანს მოყვებოდნენ მსახურები და მცველები, საჭურველმტვირთველნი და სხვადასხვა თანმხლებნი. ძნელი

სათქმელია რა რაოდენობის ხალხი მოანყდა ამ ქალაქს, თუ დავუჯერებთ ერთ პატიოსან თანამედროვეს, ჩამოსულთა რაოდენობა 80 000 აღნევდაო. ახლა ამას დაუმატეთ ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსული სურსათით დატვირთული საზიდრები, მათ გვერდით კი სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები, თავგადასავალთა მაძიებლები, მუსიკოსები, ტაკიმასხარები, მათხოვრები და რასაკვირველია, მეძავთა მთელი დასტა, როგორც იგივე თანამედროვე ამბობს, ქალაქი გარკვეული დროით ბაბილონის გოდოლს დაემსგავსაო. საეკლესიო კრების უმთავრესი მიზანი კი, რისთვისაც ეს პატივცემული საზოგადოება შეიკრიბა, სამი რამ იყო:

პირველი – კრებას უარი უნდა ეთქვა პაპობა-ანტიპაპობაზე, ე. ი. უნდა აერჩია ერთი კანონიერი პაპი.

მეორე – დაეგეგმა და განეხორციელებინა ისეთი საეკლესიო რეფორმა, რომელიც გამორიცხავდა შემდეგში მსგავსი მრავალპაპიანობის გამეორებას.

მესამე, ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო ყოველგვარი ერესისათვის (უპირველეს ყოვლისა, უიკლიფიზმისა და ჰუსიზმისათვის)

მონაწილეთა აზრით, ამ კეთილშობილურ მიზნებს ნაკლებად ეწერა განხორციელება, ვინაიდან იმთავითვე გამოჩნდა მათ შორის გადაულახავი წინააღმდეგობანი. საეკლესიოს ნაცვლად წინა პლანზე, თუმცა ნაკლებად შესამჩნევი ფორმით, წამოინია კრების მესვეურთა პოლიტიკურმა, დინასტიურმა და ეკონომიკურმა ინტერესებმა. ასე მაგალითად: სიგიზმუნდი, რომელიც უკვე ატარებდა გერმანიის მეფისა და რომის იმპერატორის ტიტულს, ოცნებობდა გაეერთიანებინა სხვადასხვა სამთავროებად დაშლილი გერმანია და ერთიან მტკიცე სახელმწიფოდ შეეკრა. შემოეერთებინა ჩეხეთი და უნგრეთი, განედევნა ევროპის ცენტრისკენ მოძალებული თურქები და მთელს საქრისტიანოში უპირველესი მონარქი შექმნილიყო. ამ საქმეში მას დიახაც სჭირდებოდა პაპის მხარდაჭერა, მაგრამ ისეთი პაპის ხელისუფალისა, რომელიც

იმპერატორის მორჩილი იქნებოდა, იმისთვის, რომ ჩეხეთის მოსახლეობის გული მოეგო, (პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად) მან კრებას მოსთხოვა, სიტყვა მიეცათ და მოესმინათ ჰუსისთვის, ხოლო როცა კაცისმკვლელი პაპი მიხვდა, რომ საეკლესიო კრება არ აპატიებდა იმ ცოდვებს, რაც ჩაიდინა და გაქცევა დააპირა, იგი დააპატიმრეს. მოკლედ სიგიზმუნდი ყველაფერს აკეთებდა თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის.

გაიძვერა პაპს იოანე XXIII თავისი მიზნები ჰქონდა: უპირველეს ყოვლისა, პაპის გვირგვინის შენარჩუნება და გავლენის გაძლიერება, ამისათვის იგი არაფერს ერიდებოდა. გადაიბირა კარდინალთა ერთი ნაწილი, ეპირფერებოდა სიგიზმუნდს, დიპლომატიურად ცდილობდა ერესისა და ჰუსის საქმე კრებისათვის უმთავრეს საკითხად ექცია და თუ საჭირო გახდებოდა, მიცემულ სიტყვასაც გატეხდა; ვერაგი პაპი ცდილობდა კრების ყურადღება მისი პერსონიდან ჰუსის ერესზე გადაეტანა და ამით თავი დაეძვრინა.

თავიანთი ინტერესები ჰქონდათ უმაღლეს სამღვდელოებასაც, კარდინალებსაც. მართალია, კათოლიკური ეკლესიის მესაჭე პაპი იყო, მაგრამ მთელ ეკლესიის მანქანას კარდინალთა და უმაღლეს სამღვდელოთა გუნდი წარმართავდა. ეკლესიის სიძლიერე და ერთიანობა ამ გუნდის კეთილდღეობას განაპირობებდა. მათთვის, შეიძლება, გარკვეული თვალსაზრისით, მიუღებელიც იყო საეკლესიო კრებების უზენაესობა პაპის ხელისუფლებაზე, (განსაკუთრებით ეროვნული საეკლესიო კრებისა), მაგრამ მთელი კათოლიკური სამყაროს ერთიანობისა და მონოლითურობის შესანარჩუნებლად, მსოფლიო საეკლესიო კრების უზენაესობისკენ იხრებოდნენ. ამის მიღმა ხომ მთელი კათოლიკური სამყაროს მატერიალურ სიკეთეზე გავლენის შენარჩუნება იდგა.

ახლა, ყოველივე ამას დავუმატოთ, ევროპის დიდ და მცირე მონარქთა პოლიტიკური ინტერესები და დინასტიური ინტერესების სიუხვე (საფრანგეთ-ინგლისის ომი და დინასტი-

ური ურთიერთპრეტენზიები, უნგრეთის საკითხი, ტევტონთა ორდენისა და პოლონეთის სამეფოს დავები და ა.შ.) ერთი სიტყვით კონსტანცის საეკლესიო კრება მხოლოდ გარეგნულად სჩანდა ერთსულოვანი და შეკრული, სინამდვილეში სხვადასხვა ძალების მკვეთრი დაპირისპირების არენას წარმოადგენდა. მხოლოდ ერთ რამეში იყვნენ მეტნაკლებად საერთო აზრისანი, ჰუსის ერესი რაიმე ფორმით უნდა აღკვეთილიყო. ხოლო ეს საკითხი, კრების მესვეურთა, აზრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო ძირითადი და დროზე ადრე უნდა მოგვარებულიყო. ასეთ პოლიტიკურ გარემოში აღმოჩნდა იან ჰუსი, როგორც კი ჩავიდა კონსტანცაში.

დახშული სიმართლე. ის დააბინავეს ერთი მცხოვანი ქვრივის სახლში წმინდა პავლეს ქუჩაზე, სახლი იყო წყნარი, მყუდრო და მასპინძელიც თავაზიანი. ჰუსის ჩამოსვლას ქალაქში არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია. თვითონაც არ გამოდიოდა ხშირად ქუჩაში (პრაღელი მეგობრებიც ამას ურჩევდნენ მოერიდეო უცხო ქალაქში გარეთ სიარულს). პირველ დღეების ასეთმა მყუდროებამ კვლავ წიგნებისაკენ უბიძგა, მას ხომ კრებაზე გამოსასვლელი სიტყვაც უნდა მოემზადებინა, ის კვლავ ჩაეშვა თავის სამუშაოში, წერდა, კითხულობდა, პასუხობდა პრაღელი მეგობრების წერილებს. თავისი ხასიათით იან ჰუსმა მალე მიიზიდა თავისი მასპინძლები და მეზობლები, ისინი ხშირად ესწრებოდნენ ჰუსის ლოცვებს და აღტაცებაში მოდიოდნენ ჰუსის მიერ საღვთო წერილის სხვადასხვა ადგილების გასაგებად განმარტების გამო. როცა იოანე XXIII-ს მოახსენეს იან ჰუსი ჩამობრძანდაო, პაპმა კვლავ გაიმეორა და დაარწმუნა ჰუსის მხლებელი რაინდი იან ხლუმელი, ჰუსს არაფერი ემუქრება და „თვით პაპის ძმაც რომ მოეკლა, მაინც არაფერს ვავნებო.“ მალე იმპერატორის სასახლიდან ჩამობრძანდა ჰუსის მეორე მხლებელი ვაცლავ დიბელი, რომელმაც ჩამოუტანა გახმაურებული „დაცვითი სიგელი“. ჰუსის აზრები საღვთო წერილისა და მომავალი კრებისკენ იყო მიმართული და მისმა მიმნდობმა,

კეთილშობილმა გონებამ ვერ შენიშნა (შეიძლება არც დაუკვირდა), რომ „სიგელი" არავითარ გარანტიას არ აძლევდა მის მფლობელს. ჰუსის თანმხლებებმა უფრო ადრე შენიშნეს, ვიდრე თვით ჰუსმა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი საგზაო დაცვის სიგელი, რომელიც მასპინძლისგან წარმომდგენისადმი მხოლოდ ზოგად პატივისცემასა და კეთილგანწყობას ითხოვდა. ეს არ იყო ის სიგელი, რასაც იმპერატორი ჰუსს ჰპირდებოდა, ჰუსს ამისთვის ყურადღება არც მიუქცევია, ის ამჯერად ერთი თავის მეგობრის თხოვნით ზიარების საიდუმლოს საღვთო წერილისეული განარტებებით იყო დაკავებული. მოჩვენებით სიწყნარეს ჰუსის გარშემო არღვევდნენ მისი თანამემამულენი, ერთ დროს მისი მეგობარი შტეფან პალეჩი, ახლა მისი მტრების ბანაკში გადასულიყო, მის გვერდით იყვნენ პრაღელი სწავლული მიხეილ დე კაუზისი და პრაღაში ინდულიგენციებით მოვაჭრე ნასაული ვინმე ტაი. ეს სამეული მთელს კონსტანცაში დაძრწოდა და ეკლესიათა და სასახლეთა კედლებზე აკრავდნენ წერილებს, სადაც ჰუსს ერეტიკოსობაში სდებდნენ ბრალს. როგორც ჩანს, ამ ადამიანების საქმიანობა არ იყო მათი კერძო ინიციატივა, ჰუსის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდათ და მისი დასჯით დაინტერესებული იყვნენ კონსტანცის კრების უმაღლესი სასულიერო პირებიც. ასეთები იყვნენ: ფლორენციელი არქიეპისკოპოსი ფრანჩესკო ზაბარელლა, კამბრეს არქიეპისკოპოსი პიერ დაი, პარიზელი ეპისკოპოსი ჟერსონი და სხვები. ეკლესიის ამ მამებს კარგად ესმოდათ, რომ ერეტიკოსობაში მხილებული ადამიანის ერთადერთი სასჯელი ცეცხლზე დაწვა იყო, მაგრამ ეს ნაკლებ შედიოდა მათ გეგმებში. კარგად იცოდნენ, რომ თუ დაწვავდნენ ჰუსს, მას ჩეხეთში და არა მარტო ჩეხეთში, წამებულის სახელი გაუვარდებოდა და ამით ერესს კი არ მოსპობდნენ, არამედ კიდევ უფრო მიმზიდველს გახდიდნენ. მათი აზრით, საჭირო იყო ჰუსს საჯაროდ მოენანიებინა და უარი ეთქვა თავის შეხედულებებზე, ასეთ შემთხვევაში ჰუსის შემობრუნება ცდომილებიდან ჭეშმარიტებისკენ, კა-

თოლიკური ეკლესიისა და პირადად პიერ დაიის დამსახურებად გამოცხადდებოდა. ეს კი არქიეპისკოპოსისა და მისი თანამოაზრეების ანგარიშში შედიოდა, ვინაიდან, როგორც იმედოვნებდა ეს ფრანგი, გადაყენებული იოანე XXIII ნაცვლად, პაპის ტახტზე, თავის კანდიდატურას წარადგენდა. ჰუსის შემობრუნების მიღწევით კი კრების მონაწილეთა თვალში არქიეპისკოპოსის ავტორიტეტი ერთობ გაიზრდებოდა. ეს იყო უმთავრესი მიზანი პიერ დაიის, ხოლო პარიზელი ღვთისმეტყველი ჟერსონი ხშირად ეუბნებოდა თურმე კამბრელ არქიეპისკოპოსს: „ერეტიკოსებთან არ მსჯელობენ, ერეტიკოსებს სწვავენო". მოკლედ, კრების მონაწილე ყველა ასე თუ ისე გავლენიან პერსონას თავისი ინტერესები ჰქონდა და მათი განხორციელების გზაზე ჰუსი დიდ დაბრკოლებად სჩანდა. კონსტანცელი ქვრივის სახლში 1414 წლის ნოემბრის ბოლოდან მშვიდი ცხოვრება შეწყდა. ერთ დღეს ჰუსთან გამოცხადდა ფრიად საეჭვო შემადგენლობის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ: ორი ეპისკოპოსი, ქალაქის ბურგომისტრი (მერი), ქალაქის მაღალჩინოსნები, და შეიარაღებული რაინდები. პან იან ხლუმელმა, ფანჯრიდან შენიშნა, რომ სახლის კარებთან ქუჩაში მრავალრიცხოვანი შეიარაღებული დაცვა იცდიდა. ეპისკოპოსებმა განაცხადეს, რომ პაპი და კარდინალთა წმინდა საბჭო თავაზიანად გთხოვენ მათთან მობრძანებასო. ჩეხი რაინდი მიხვდა, რომ რაღაც ვერაგობას უმზადებდნენ მისი დაცვის ქვეშ მყოფს, შეახსენა მოსულებს, რომ ჰუსს იმპერატორის დაცვის სიგელი იცავდა, მაგრამ ამაოდ. ქუჩაში შეიარაღებული დაცვის ყოფნა იმას ნიშნავდა, რომ თუ საჭირო გახდებოდა ძალით წაიყვანდნენ. დაძაბული სიტუაცია თავად ჰუსმა განმუხტა, მე ჩამოვედი კონსტანცაში რათა გამოვსულიყავი კრებაზე და თუ ისურვებენ, მზად ვარ ვესაუბრო მის უწმინდესობასა და კარდინალებსო. პაპის რეზიდენტები მას უკვე ელოდნენ. მოზრდილ დარბაზში ჰუსს დახვდნენ რამდენიმე კარდინალი და სხვა უცნობი სამღვდელონი. საუბარი იმთავითვე მის ერეტიკულ აზრებს ეხებოდა, ჰუსმა ამის თაო-

ბაზე უპასუხა, რომ ის არასოდეს არ ავრცელებდა არავითარ ერესს და ამ კრებაზე ჩამოვიდა თავისი ნებით, იძულების გარეშე, როგორც თავისუფალი ადამიანი და მზადაა უარი თქვას თავის შეხედულებებზე, თუ დაუმტკიცებდნენ, რომ ის ცდება. საუბრებმა გაჭიანურებული სახე მიიღო. გამოცდილი ჩეხი რაინდი, იან ხლუმელი მიხვდა, აქ სიკეთე არ უნდა იყოსო და მოითხოვა პაპთან შეხვედრა. როგორც იქნა ის მიიღო იოანე XXIII. როცა იან ხლუმელმა მოახსენა პაპს, თქვენი სურვილისამებრ მოიყვანესო სასახლეში იან ჰუსი და მას ახლა დაჰკითხავენო, პაპმა მხრები აიჩეჩა: „მე რა შემიძლია, მე არაფერ შუაში ვარ, ყველაფერს კარდინალები წყვეტენ". საოცარია ბუნება ადამიანისა, მოგვიანებით, როცა იმპერატორ სიგიზმუნდს მოახსენეს, შენი სიგელის პირობები უხეშად დაირღვაო, რას ბრძანებთო, მოჩვენებითი აღშფოთებით წამოუძახია მას. ამ გაცხარებას მალე გადაუვლია. მან ხომ ერთი უბრალო და უძალო დაცვის სიგელის სანაცვლოდ, აახენში, გერმანიის მეფის გვირგვინი უკვე მიიღო და რაღაში სჭირდებოდა ახლა მას ვიღაც ჩეხი მოძღვარი. ჰუსი რამდენიმე დღე ერთი ხუცესის სახლში გამოკეტეს და შემდეგ კი გადაიყვანეს, ბოდენის ტბის ნაპირთან ახლო მდებარე პატარა კუნძულზე აშენებულ დომინიკანელთა მონასტრის სარდაფში. ეს იყო ნამდვილი ჯოჯოხეთური ჯურღმული, ნესტიანი და ცივი. გარე სამყაროს სრულიად მოწყვიტეს. მალე ავადმყოფობამაც დარია ხელი: აცხელებდა, კუჭისა და კბილის ტკივილები არ ასვენებდნენ დღე და ღამ. ჰუსი ამას ნაკლებად აქცევდა ყურადღებას, ის უფრო აფიქრებდა, თუ მომცემენო საშუალებას გამოვიდე და თავისუფლად გამოვთქვა კრებაზე ჩემი აზრიო. მალე მის სატუსაღოში გამოცხადნენ პაპისა და კარდინალებისაგან დანიშნული „საგამოძიებო" კომისიის წევრები, რომლებიც ამიერიდან ხშირად დაჰკითხავდნენ და მოწმეებს უპირისპირებდნენ ჰუსს. გაიხარეს ჰუსის მტრებმა, განსაკუთრებით მიხელ დე კაუზისმა და შტეფან პალეჩმა. პაპისა და კარდინალების წინაშე თავის გამოსაჩენად, საჯაროდ

უწოდებდნენ ჰუსს ერეტიკოს და ათასგვარ ცილს სწამებდნენ. მათ გვერდს „უმშვენებდნენ" 1409 წელს პრაღის უნივერსიტეტიდან გამოძევებული გერმანელი პროფესორები, რომლებიც ჰუსის ერეტიკოსობის გარდა ამტკიცებდნენ, რომ ეს უკანასკნელი გერმანელებისადმი სიძულვილით გამოირჩეოდა და ხალხსაც აქეთ მოუწოდებდაო. ერთ-ერთი დაკითხვისას, იან პალეჩს კომისიის შემადგენლობისათვის პირდაპირ განუცხადებია: „ქრისტეს შობის შემდეგ არ დაბადებულან უფრო დიდი ერეტიკოსები, ვიდრე უიკლიფი და ჰუსი არიანო". ჰუსი მშვიდად ისმენდა ცრუ ბრალდებებს. მისი სული და გონება სხვა მიმართულებით მუშაობდნენ. არა თავის გადარჩენა, არა საკუთარი პერსონა, არამედ ჭეშმარიტება, რომელიც უნდა საჯაროდ გაცხადდეს, ეს იყო მისი ფიქრი.

ახლოვდებოდა შობის დღესასწაულები. როგორც იქნა, ინება და კონსტანცაში ჩამობრძანდა იმპერატორი სიგიზმუნდი. პანაიან ხლუმელი მაშინვე ეახლა და ჰუსისათვის და ჩეხებისათვის მიცემული სიტყვის შესრულება ითხოვა იმპერატორისაგან. სიგიზმუნდს თავისი ამოცანა შესრულებული ჰქონდა, ჰუსისათვის თავს აღარ შეინუხებდა და ამ „ერეტიკოსისათვის" არ დაუპირისპირდებოდა პაპს და კარდინალების კოლეგიას. მხოლოდ იმისთვის შეინუხა თავი, რომ ჰუსი ცოტა უკეთეს საპყრობილეში გადაეყვანათ. იან ხლუმელის პირით კი სიტყვიერად შეუთვალა, კრებაზე თავისუფლად გამოსვლის შესაძლებლობას მოგცემო, თუმცა ეს სიტყვაც არ შეუსრულებია.

ჰუსი, მართლაც, ცოტა უკეთეს სააყრობილეში გადაიყვანეს, აქ შეეძლო მიეწერა წერილები მეგობრებისათვის, მიეწვდინა ხმა გარესამყაროსათვის. მცველებიც კი სიმპატიით განეწყვნენ ტუსაღისადმი. მათ მიჰქონდათ და მოჰქონდათ წერილები. ჰუსმა მათთვის საღვთო ნერილიდან მცირე განმარტებებიც კი დაწერა. ერთ-ერთი მცველისათვის, რომელსაც იმ დღეებში უნდა ექორწინა, დაწერა სპეციალური მოკლე ტრაქტატი „ქორწინებისათვის". ამ პერიოდში ჰუსმა

50-მდე წერილი გააგზავნა მეგობრებისადმი ჩეხეთში. მისი სულიერი სიმტკიცე და მხნეობა, მართლაც, გაოცებას იწვევს. არც ერთ წერილში, არც ერთი სიტყვით, ის პირად სიდუხჭირეზე არ საუბრობს. მხოლოდ მეგობრებისა და მოყვასისადმი ზრუნვა გამოსჭვივის იმ წერილებიდან. თავის მდგომარეობაზე ის ერთგვარი იუმორითაც კი ამბობს: „ჩემზე ნუ იდარდებთ... ჰუსი ჯერ კიდევ არ შეუნვავთ". მხოლოდ იმას ითხოვდა მეგობრებისაგან, ელოცათ უფლისა და მისი სულის სიმტკიცისათვის. ამასთან დაბეჯითებით ითხოვდა მეგობრებისაგან, არ გამოეშვათ კონსტანცაში იერონიმე პრაღელი. ჰუსი გრძნობდა, რომ ერთგული მეგობარი და თანამოაზრე, იერონიმე, ვერც ჰუსს დაეხმარებოდა და თავსაც დაიღუპავდა. რა იცოდა ჰუსმა, რომ იერონიმეს ვერ შეაკავებდნენ. ის მართლაც ჩამოვიდა კონსტანცაში ჰუსის დასახმარებლად, მაგრამ...

ამასობაში, სასულიეროთა კრებამ (საეროთა თანხმობით) პაპობამდე აღზევებული ყაჩაღი, იოანე XXIII დამხობილად გამოაცხადა. გადაყენებულმა მოახერხა გაქცევა და შეეცადა თავისი მომხრეების მეშვეობით სამხედრო რაზმები დაექირავებინა და საეკლესიო კრება გაერეკა. იმპერატორის ბრძანებით ყველა მხარეს გააგზავნეს მდევრები, შეიპყრეს გაქცეული და ახლა უკვე საჯაროდ აჰყარეს პაპობისა და ღვთისმსახურების პატივი და ღირსება. ამ მოვლენამ, მცირე ხნით, ჰუსის საქმისადმი კრების აქტიურობა რამდენადმე შეანელა. საპყრობლის მცველებიც კი არ სჩანდნენ. იოანე XXIII-ის დამხობის შემდეგ, კარდინალებმა ჰუსის საქმეში იმპერატორის აქტიური ჩართვა მოითხოვეს და სატუსაღოს გასაღებებიც კი გაუგზავნეს. დაფაცურდნენ ჰუსის მცველები და იმპერატორს მოსთხოვეს სიტყვა შეასრულე და ჰუსი სატუსაღოდან გამოუშვიო.

1415 წლის მარტის 22 იდგა. უკვე შებინდებული იყო, როცა სატუსაღოს კარი გაიღო და ჰუსისათვის სრულიად უცნობი შეიარაღებული პირები შემოვიდნენ. გაიყვანეს მდინარე რაინ-

ის ნაპირზე, სადაც ელოდათ ნავი, ჰუსი ჩასვეს და გაუყვნენ დინების მიმართულებით. უკუნი ღამე იდგა. გამთენიისას მიადგნენ მდინარის პირას მდგარ გოტლიბენის ციხე-კოშკს. ამ ციხის ერთ-ერთ პატარა, ცივ და ნესტიან საკანში გამოკეტეს ჰუსი. სინათლე მხოლოდ კარის პატარა ჭუჭრუტანიდან შემოდიოდა. სრული იზოლაცია გარე სამყაროსაგან. საკანში არ იდგა სკამი ან მაგიდა, მხოლოდ უხეშად გათლილი, მსხვილი მორის ორი ნაჭერი ეგდო. ამ მორის ნაჭრებზე ჯაჭვით იყო მიბმული ჩეხი ტყვე. დღისით ფეხით დაბმული, ღამე ხელებითაც. ორთვე ნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში არავინ უნახავს ჰუსს, მხოლოდ ტლანქი და უხეში მცველების ხმა ესმოდა ხანდახან. გოტლიბენის ციხეში ჰუსის გადაყვანა ეპისკოპოსის ბრძანებით უნდა მომხდარიყო. ეს უკანასკნელი კარდინალთა კოლეგიის გადაწყვეტილებას ასრულებდა მხოლოდ. სიგიზმუნდი არც ფიქრობდა ჰუსის გათავისუფლებას. მისი უახლოესი მიზანი ვაცლავ IV-ის დამხობა და ჩეხეთის გვირგვინი იყო.

სამაგიეროდ, მთელს ჩეხეთსა და მორავიაში გავრცელდა საგანგაშო ცნობა ჰუსის ბედის შესახებ. მორავიის ჰეტმანის (თავადაზნაურთა წინამძღოლის), პან ლაცეკ კრავარულის ინიციატივით შეიკრიბნენ მორავიელი თავადაზნაურები და კოლექტიური წერილი მისწერეს იმპერატორს. „გავიგეთ და არ გვინდა დავიჯეროთ ის, რაც თქვენი მოწყალების ღირსებას შეეხება, ჩვენი სამეფოს გვირგვინის მოწყალე მემკვიდრესა და ხელმწიფეს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენი მოწყალება კეთილ ინებებს და მოიფიქრებს დაუბრუნოს ძლევამოსილება თქვენს მიერვე გაცემულ „დაცვის სიგელს". გავიგეთ, რომ ჰუსი გადაუყვანიათ უმკაცრეს ჯურღმულში, ხელ-ფეხი შეუბორკავთ და არა აქვს არავითარი საშუალება სიმართლე თქვას...". ასეთივე საპროტესტო წერილი შეადგინეს ჩეხიისა და მორავიის გაერთიანებული სეიმის (სეიმი – საბჭო, კრება) მონაწილეებმა. ორმოცდაათი პირისაგან ხელმოწერილი მიმართვა სასწრაფოდ გაეგზავნა სიგიზმუნდს.

ამან ერთგვარად შეაშფოთა კარდინალთა კოლეგია და უფრო სიგიზმუნდის საამებლად, ვიდრე ჰუსისადმი „ლმობიერება“ გამოიჩინეს. ჰუსს ნება დართეს საჯაროდ გამოსულიყო და მიემართა მსმენელთათვის.

მანამდე კი, სანამ ჩეხი თავადაზნაურობის საპროტესტო წერილი ჩამოვიდოდა კონსტანცაში, ჰუსის დაკითხვები, ფაქტობრივად, დამთავრებული იყო. მასალები საეკლესიო კრებაზე შექმნილ რწმენის საკითხთა კომისიას გადაეცა. იმ კომისიას, რომელსაც მეთაურობდა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი, ახლა უკვე კარდინალი პიერ დაი. მისი დასკვნები უნდა დადებოდა საფუძვლად შემდგომ სასამართლო განხილვებს. რასაკვირველია, ამ კომისიის მასალები და დასკვნები ბევრისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო.

მანამდე კი, ჰუსი გოტლიბენის ციხიდან კვლავ კონსტანცაში დააბრუნეს. დააბინავეს იგი ფრანცისკანელთა მონასტრის ერთ საკანში, დაუნესეს უკეთ კვება და მოვლა. ყველას უნდა დაენახა, რა ჰუმანურად ეპყრობოდა კათოლიკური ეკლესია თვით ერეტიკოსებსაც კი. ჰუსი მომავალ გამოსვლაზე ფიქრობდა. საჯარო გამოსვლის დღედ 5 ივნისი გამოცხადდა.

დაპირებისამებრ, ჰუსის საჯარო გამოსვლებზე, ყველა დაინტერესებულ პირს თავისუფლად დასწრება შეეძლო, მაგრამ დაპირება დაპირებადვე დარჩა. დარბაზში, სადაც ჰუსის მოსმენა უნდა შემდგარიყო, ბრძანდებოდნენ მხოლოდ კრების მოწვეული კათოლიკე მღვდელმთავრები, ჰუსის თანმხლები არც ერთი ჩეხი. გულმოდგინედ მოემზადა იან ჰუსი საჯარო გამოსვლისათვის, მაგრამ ამაოდ, მას სიტყვა არ მისცეს. თითქმის მთელი დღე ბრალდებისა და ცრუმოწმეთა ჩვენებების კითხვას მოანდომეს, ხოლო ჰუსის სიტყვას საპროტესტო რეპლიკების შეურაცხმყოფელი და მუქარის შეძახილებით ახშობდნენ. ნაცვლად ჰუსის საჯარო გამოსვლისა, კრება გადაიქცა ცალმხრივ, მონოლოგიურ სასამართლო პროცესად.

ჰუსის „მოსმენები“ მომდევნო დღეებშიც (7 და 8 ივნისი) გაგრძელდა. ამჯერად დარბაზში დაუშვეს ჰუსის ჩეხი თანამგზავრები. ამათ შორის იყო პრაღის უნივერსიტეტის მაგისტრი, ჩვენს მიერ უკვე ნახსენები პეტრე მლადონეველიც, რომელმაც დაწვრილებით აღწერა ჰუსის სასამართლო პროცესი. სხდომებს იმპერატორი სიგიზმუნდიც ესწრებოდა; ეტყობოდა ჩეხი თავადაზნაურების საპროტესტო წერილმა იმოქმედა. მთელი ამ დღეების განმავლობაში მიმდინარეობდა მხოლოდ ჰუსის დაკითხვა, მაგრამ არა პასუხების მოსმენა. მთავარი ბრალდება, რასაც ჰუსს უყენებდნენ, უიკლიფის იდეების მხარდაჭერა და მონონება იყო, გარდა ამისა, მას სხვა რამეშიც ‘ლებდნენ ბრალს, მათ შორის, ანტიგერმანულ გამოსვლებში. მონინააღმდეგეთა გამოსვლები იმდენად მტრული და თავშეუკავებელი იყო, რომ ერთ-ერთი გამოსვლის წინ ჰუსმა მწარედ შენიშნა: „მოველოდი უფრო მეტ წესიერებას, კეთილგანწყობას და პატიოსნებას, ვიდრე იმას, რასაც აქ ვხედავო“.

ჰუსის თანამგზავრმა ჩეხმა აზნაურებმა ვეღარ მოითმინეს ბრალმდებელთა განცხადება იმის თაობაზე, თითქოს ჰუსი ხალხს მოუწოდებდა გერმანელების წინააღმდეგ და ამ სიცრუეს მკვეთრი შეძახილებით შეხვდნენ. იან ხლუმელმა პირდაპირ განუცხადა კრებას, რომ მაგისტრი იან ჰუსი თავისი ნებით ჩამობრძანდა კრებაზე და რომ მსგავსი რამ მას არასდროს განუცხადებია. გარდა ამისა, ჩეხი დიდაზნაურები პატივს სცემენ ჰუსს, მზად იყვნენ და არიან დაეცვათ მოძღვარი ნებისმიერი მუქარისა და ხელყოფისაგან, მაგრამ იგი, იმპერატორის სიგელით დაიმედებული, საკუთარი სურვილით ჩამობრძანდა კრებაზე და ვალდებული ხართ მოუსმინოთო. დარბაზში დიდი ხმაური ატყდა. სიგიზმუნდი რომელმაც მოისმინა ეს, მოვალე იყო უშუალოდ ჩარეულიყო კრების მსვლელობაში. აქ გამოჩნდა მისი ნამდვილი სახე. იმპერატორმა კრებას მოახსენა, რომ მისი სიგელის მიზანი, ჰუსის კრებაზე საჯაროდ გამოსვლის უზრუნველყოფა იყო. ეს მიზანი კი მიღწეულიაო. ხოლო ჰუსს პირდაპირ მიმართა: „არც

მე და არც კარდინალთა საბჭოს, სხვა არაფერი დაგვრჩენია და მოგიწოდებთ, ნუ ჯიუტობ და უსიტყვოდ მიენდე საეკლესიო კრების წყალობას. ჩემი და ჩემი მამის, აგრეთვე ჩეხეთის სამეფოსათვის, კრება მოიღებს წყალობას და არც ისე მძიმე ეპიტამიას დაგადებსო (ეპიტამია, რაიმე ცოდვისათვის დადებული საეკლესიო სასჯელი). ხოლო თუ შენ გაჯიუტდები, კრების მამებმა იციან როგორ მოგექცნენ". მეფე იმუქრებოდა, რომ არასოდეს შეიფარებს ერეტიკოსს და ასეთს პირველი გააგზავნიდა ცეცხლზე.

მომდევნო დღეს (8 ივნისს) კრება იმავე სულისკვეთებით გაგრძელდა, როგორითაც წინა სხდომები. ამ დღეს განიხილეს ჰუსის ძირითადი შრომები. ამჯერად, მთავარ ბრალმდებლად პიერ დაი გამოდიოდა. სხვა ბრალდებათა შორის, იმპერატორის გასაგონად ასეთი რამეც განაცხადა კრებაზე: ჰუსი ამტკიცებს, რომ „პაპი, ეპისკოპოსი ან მღვდელი რომელიც ცოდვებს ჩადის და ცოდვილი ცხოვრობს ღმერთის წინაშე აღარც პაპია, აღარც ეპისკოპოსი და აღარც მღვდელი". ეშმაკმა ფრანგმა იმპერატორის გასაგონად დაუსვა ასეთი კითხვა: „თუ მეფე სცოდავს, მაშინ?" დიახ, უყოყმანოდ უპასუხა ჰუსმა, აგრეთვე მეფეც, რომელიც სასიკვდილო ცოდვას სჩადის, უფლის თვალში აღარაა ნამდვილი მეფე". სიგიზმუნდმა გარეგნულად არ შეიმჩნია წყენა, მაგრამ ჰუსის ამ სიტყვებმა უაღრესად აღაშფოთა. იმპერატორის სათქმელი ამჯერად პიერ დაიმ განაცხადა: „არ გეყო, რომ შენი მოღძვრებითა და თხზულებებით სახელს უტეხ მთელ სასულიერო წოდებას, ახლა გინდა მთელი სამეფოს საფუძვლები დაანგრიო და ტახტიდან დაამხო მეფენი?". მთელ ამ ბრალდებებს ჰუსი უდიდესი მოთმინებით ისმენდა. რამდენჯერაც სცადა სიტყვა აეღო და დაესაბუთებინა თავისი სიმართლე, კრების მონაწილეებმა შეძახილებითა და მუქარით ჩაახშეს იგი. მას უფლება არ მისცეს, თუნდაც ერთხელ, დაეცვა თავისი შეხედულებანი. ფაქტობრივად, ჰუსი მხოლოდ რეპლიკებით იფარგლებოდა. როცა მას ბრალი გამოუსწორებელ ერესში დასდეს, გაიმე-

ორა ფრაზა თავისი თხზულებიდან: „ერეტიკოსი, ღვთის წყალობითა და სიყვარულით, საღვთო წერილიდან გამომდინარე დებულებები და გონივრული შეგონებებით უნდა დაარწმუნო, როგორც ამას წმინდა ავგუსტინე შვრებოდა". ხოლო მსახურთა მატერიალური ქონებისა და საკუთრების თაობაზე მისმა განცხადებამ, რომ „ყველა ვინც ცოდვილია და საკუთრებასაც ფლობს, ის ქურდიცაა", დარბაზში მყოფნი გააცოფა. ამ ხმაურში მცირე პაუზით ისარგებლა ჰუსმა და კიდევ ერთხელ განაცხადა: „ღირსეულო მამებო, მე აქ ჩემის ნებით ჩამოვედი და ღვთის გულისათვის გთხოვთ კიდევ მომისმინოთ, რათა განვმარტო ჩემი მოძღვრება. თუ ჩემი მტკიცებულებანი და საღვთო წერილის ნიმუშები არ იქნებიან დამაჯერებელნი, მზად ვარ სიხარულით ვისწავლო თქვენგან". ამან მთლად გადარია მსმენელი. როგორ, ის კრების გადაწყვეტილებას კი არა, გონების დასკვნებს ემორჩილება? ეს ხომ აშკარა ერესია. „ფიცით უარყავი შენი ცდომილება", „უარყავი" მოითხოვდნენ კრების ხელმძღვანელი პიერ დაი და სამღვდელონი. ჰუსმა მშვიდად უპასუხა:„ეს ეწინააღმდეგება ჩემს გონებასა და სინდისს, უარვყო ის რაც, არასოდეს მითქვამს. კისერზე თოკს ნუ მაბამთ და ნუ მაიძულებთ უარი ვთქვა იმაზე, რაც არასოდეს მისწავლებია, ჩემს წინააღმდეგ ხომ ცრუ მოწმეები იყვნენ. შეუძლებელია უარვყო არარსებული და გამოგონებული, ფიცით ხომ უარს ამბობენ იმ ერესზე, რომელშიც მორწმუნე ადრე იყო ჩავარდნილი. ამის შემდეგ იმპერატორი სიგიზმუნდი კიდევ არწმუნებდა ჰუსს დამორჩილებოდა კრების გადაწყვეტილებებს და უარი ეთქვა თავის მოძღვრებაზე. „რატომ ჯიუტობ ფიცით უარყო ყველა ჯურის ერესი, თუნდაც შენ ის არ გექადაგოს? აი, მე უყოყმანოდ ვიზამდი ამას, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, იმას რომ მე მათი მნამდა?„ეუბნებოდა თურმე სიგიზმუნდი. ამაზე ჰუსს უპასუხია:„თქვენო მოწყალებავ! სულაც არ არის ერთი და იგივე უბრალოდ უარს ამბობ ერესზე, თუ ღვთის წინაშე ფიცით განვუდგები მას. ვერ მივაყენებ შეურაცხყოფას ვერც ჩემს

სინდისს და მით უფრო ვერც უფალს ეს ასეც იქნებოდა მე, რომ ფიცით განვერიდო ერესს, რომელიც არასოდეს მიქადაგია".

ჩეხმა მოძღვარმა ძალიან კარგად გაიგო საით მიდიოდა კრების მსვლელობა. გრძნობდა, რომ მისი ბედი გადაწყვეტილი იყო. სხდომის მესამე დღის ბოლოს, ერთი პაუზით ისარგებლა ჰუსმა და მთელი დარბაზის გასაგონდ მტკიცედ განაცხადა: „ახლა ღვთის განგების წინაშე ვდგავარ და დამსახურებისამებრ განგვსჯის იგი მეც და თქვენც". როცა ჰუსი დარბაზიდან გაიყვანეს სიგიზმუნდმა მიმართა პიერ დაის და სხვა სამღვდელოებს: „ თქვენ ისმენდით, რომ მხოლოდ ის, რაც მის წიგნებში სწერია, უკვე იმსახურებს განკვეთას, ხოლო თუ ის არ ისურვებს უარყოს თავისი ერესი, მაშინ დაე დაწვან იგი. ამას მერე, რამდენიც უნდა დაგპირდეთ, უარს ვამბობ ჩემს შეხედულებებზეო, არ ენდოთ და არ დაუჯეროთ, მეც კი აღარ დავუჯერებდი მას. ის რომ ჩეხეთში დაბრუნდეს, დაიწყებს ახალი ერესის ქადაგებას და მაშინ უარესი მოხდებაო". იმპერატორის ეს სიტყვები მოუსმენიათ იქ მყოფ ჩეხ აზნაურებს და ეს ამბავი უკლებლივ ჩამოიტანეს სამშობლოში. ფაქტობრივად, ამ ნათქვამში გამოიკვეთა სიგიზმუნდის დამოკიდებულება, არა მარტო ჰუსისადმი, არამედ მთელი ჩეხეთისადმი. მაგრამ სიგიზმუნდს ტყუილად ეშინოდა ამის. ჰუსს უარი რომ ეთქვა თავის შეხედულებებზე, ის ჩეხეთში მაინც ვეღარ დაბრუნდებოდა: კარდინალებს და საეკლესიო კრებას თავიდანვე ჰქონდა გამოტანილი ყველაზე მსუბუქი სასჯელი სამუდამო პატიმრობა უკეთეს შემთხვევაში. ასე დამთავრდა მესამე და უკანასკენელი დღე. ამის შემდეგ იგი აღარ მოუყვანიათ კრებზე და აღარც მისი გამოსვლა მოუსმენიათ. იქნებ თვითონ იან ჰუსსაც აღარ სჯეროდა, მისცემდნენ თუ არა საჯაროდ გამოსვლისა და თავისი სიმართლის დამტკიცების შესაძლებლობას. იგი აბსოლუტურად მოწყვიტეს გარესამყაროს. თუმცა, ღვთის მადლით, შემოგვრჩა მისი წერილები, მეგობრებისადმი გაგზავნილი პრაღაში. 10 ივნისის წერილში იგი მიმარ-

თავდა ჩეხებს: „ღვთის იმედად დარჩენილი მსახური მისი, მაგისტრი იან ჰუსი. ყველა ერთგულ ჩეხს, ვისაც უყვართ და ეყვარებათ უფალი ჩვენი, გიგზავნით ჩემს სურვილებს, რათა უფალმა მოგანიჭოთ სიხარული სიცოცხლესა და სიკვდილში და დაიმკვიდროთ სამუდამო სასუფეველი, ამინ! ერთგულო და უსაყვარლესო ბატონებო, მდიდარნო და ღარიბნო! უმორჩილესად გთხოვთ, თაყვანი ეცით უფალს, ადიდეთ სახელი მისი, გესმოდეთ და აღასრულეთ სიტყვანი მისნი. გთხოვთ, დაიცვათ ის სიმართლე, რასაც მე, ღვთის ნებითა და წმინდანთა სიტყვების მიხედვით გიქადაგებდით და ვწერდი. გთხოვთ აგრეთვე, თუ ვინმემ ქადაგებისას და ან კერძო საუბარში ჩემგან მოისმინა ისეთი რამე, რაც ეწინააღმდეგება ღვთიურ სამართლიანობას, და იმედი მაქვს, ღვთის წყალობით ასეთი რამ არ იქნება, ან თუ მსგავს რამეს სადმე ვწერდი, მას ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ან, დაუფიქრებლად თუ რამე ვთქვი ჩემს ქადაგებებში, ყურთ ნუ იღებთ მათ, არამედ შეევედრეთ უფალს ჩემთვის, რათა მან შემინდოს მე.

გთხოვთ, უფლის სადიდებლად, გიყვარდეთ და პატივი მიაგეთ ზნეკეთილ მღვდლებს (მქადაგებლებს), გთხოვთ ერიდოთ პირმოთნე ადამიანებს, ულირს მღვდლებს, ვისზეც უფალი ამბობდა: „ცხვრის ტყავში არიან გამოხვეულნი, შიგნით კი მტაცებელი მგლები არიანო". ყველას შევთხოვ, რათა იყოს მაშვრალთა მოწყალე, რათა სამართლიანად მოექცნენ მათ. ყველა მოციქულებს ვევედრები, პატიოსნად ივაჭრონ ხელოსნებმა კეთილსინდისიერად იღვაწონ და მშვიდობიანად მოიმკონ ნაყოფნი; მსახურებს ვთხოვ ერთგულად ემსახურონ თავიანთ ბატონებს და ქალბატონებს. ვთხოვ მაგისტრებს (პროფესორებს), იცხოვრონ მართალი გზით, ღვთის სიტყვა და სიყვარული ასწავლონ თავიანთ მოწაფეებს, მთელი საზოგადოების კეთილდღეობისა და საკუთარი ცხონებისათვის და არა პატივმოიყვარეობისა და მიწიერი სიკეთისათვის. ვთხოვ სტუდენტებს და სხვა მოწაფეებს, თავიანთი მოძღვრების მორჩილნი და ყურადღებით მსმენელნი იყვნენ, გულმო-

დგინედ ისწავლონ და მიბაძონ მათ სიკეთის ქმნაში, სხვათა და საკუთარი ხსნისათვის.

ყველას გთხოვთ. ჩემგან მადლიერება მოახსენოთ ბატონებს: პან ვაცლავ დუმელს, იან ხლუმელს, პან ინდრჟინ პლუმლოველს, ვილემ ზაიცს და ჩეხეთ-მორავიის სხვა მთავრებს. აგრეთვე სხვა პანებს და პოლონელ ბატონებს, რომელნიც ვითარცა უფლის ნების კეთილი მცველები და მსახურნი სიმართლისა, მთელი კონსტანცის კრების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ითხოვდნენ ჩემს გათავისუფლებას. განსაკუთრებით პან იან ხლემელსა და ვაცლავ დუბშელს, ენდეთ და დაუჯერეთ რასაც ისინი გეტყვიან, ვინაიდან ისინი იყვნენ კრებაზე, სადაც მე, როგორც მოპასუხე რამდენიმე დღე ვიყავი. მათ იციან, რომელმა ჩეხმა რამდენი და რა უღირსი საქმე მომაწერა მე, როგორ მიყვიროდა მთელი კრება, რა უნდოდათ ჩემგან და რას ეპასუხობდი მე.

გთხოვთ, ასევე ილოცეთ და ადიდეთ უფალი, რათა იყოს მოწყალე რომისა და ჩეხეთის მეფისადმი (ვაცლავ IV), დედოფლისადმი და პანებისადმი, რათა წყალობა მოგვმადლოს უფალმა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ამ წერილს გწერთ ციხიდან, ბორკილგაყრილი, სასიკვდილო განაჩენის მომლოდინე და ვსასოებ უფალს, მომანიჭოს ძალი არ გადავუხვიო ღვთიური სიმართლისაგან და განვდგე იმ ერესისაგან, რომელიც მე ცრუმოწმეთა მეოხებით თავს მომახვიეს.

როგორი მოწყალე იყო უფალი ჩემს მიმართ და როგორ იყო მუდამ ჩემთან უმძიმესი განსაცდელის ჟამს, მაშინ გაიგებთ, ღვთის ნებით, როცა შევხვდებით საიქიო სასიხარულოში.

ჩემს საყვარელ მეგობარზე, იერონიმეზე, არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ დატუსაღებულია და როგორც მე, სიკვდილი ელის თავისი რწმენის გამო, რაც თქვენ, ჩეხებს ბრწყინვალედ დაგიმტკიცეთ. ხოლო იმ ჩეხებისათვის, რომელნიც ჩვენი უბოროტესი მტრები არიან და რომელთაც ჩაგვაგდეს ჩვენ უცხო მტერთა ხელში, ილოცეთ უფლისადმი.

თქვენდამი კი, პრაღელებისადმი, ჩემი განსაკუთრებული თხოვნა: არ დაივიწყოთ ბეთლემის სამლოცველო, რათა, თუ ღვთის ნება იქნება, ისმოდეს იქიდან ღვთის სიტყვა. ამ ადგილის გამო გაცოფდა ეშმაკი, რადგანაც იქ დაინგრა სამეფო მისი. იმედი მაქვს უფლისა, დაიცავს ამ ადგილს, ვიდრე იქნება ნება მისი, იქნება სხვა, ვინც მისი ნებით იქადაგებს, ვიდრე მე ულირსი.

და კიდევ გევედრებით: გიყვარდეთ ერთმანეთი, ძალმომრეობით ნუ დათრგუნავთ სიკეთეს და სიმართლე ყოველთვის აღიარეთ.

მოგეცათ ეს წერილი ორშაბათს, წმინდა ვიტეს ღამეს, ერთი კეთილი გერმანელის ხელით."

ეს სიკვდილმისჯილი პატიმრის წერილს სულაც არ ჰგავს. არც ერთი სიტყვა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, არავითარი პანიკა და შიში, არავითარი წუწუნი და ჩივილი ავი ბედისადმი. რაოდენ კაცთმოყვარე, უფლისადმი მინდობილი და ქვეყნის მოყვარე უნდა იყოს კაცი, რომ სიკვდილის წინაც ფიქრობდეს და ზრუნავდეს სხვაზე, მოყვასზე. თვით მტერსაც კი უფალს ავედრებს, რაოდენ სულით მტკიცე უნდა იყოს ადამიანი, შეინარჩუნოს თავისი სახე და დაიცვას საკუთარი სიმართლე, როცა არც ისე დიდი არჩევანი აქვს: სიკვდილი ან სიცოცხლე, ოღონდ სიმართლისა და რწმენის უარყოფის ფასად. ჰუსი ყოველგვარი ვაისა და უის გარეშე, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიენდო უფალს და სიმართლეს. სიცოცხლის ბოლო სამი-ოთხი კვირა, საოცრად მძიმე იყო. მცველების გარდა, მას აკითხავდნენ ხოლმე კრების მონაწილე ზოგიერთი ღვთისმსახურნი და მერამდენედ ითხოვდნენ ჰუსისგან „განუდექი ერესსაო", მაგრამ ამაოდ. ერთჯერ, ჰუსის დაუძინებელ მტერს, მიხაელ დე კაუზუესს, პატიმრის საკნის კარებთან, რათა კარგად გაეგონა მას, ხმამაღლა დაუყვირია: „ღვთის ნებით, ამ ერეტიკოსს, რომელსაც ამდენი ფული დავახარჯე, მალე ცოცხლად დავწვავთ". ჰუსი ასეთ მუქარებს უკვე ყურადღებას აღარ აქცევდა. ის ხშირად სწერდა წერილებს

ჩეხეთში მეგობრებს. მკვლევართა აზრით, ბოლო თვე, საპატიმროდან ოცდაათამდე წერილი გამოუგზავნია. თითქოს ცდილობდა არავინ გამორჩენოდა, ვინმეს წინაშე არ დარჩენილიყო ვალში. ყველას მადლობას სწირავდა თანაგრძნობისა და თანადგომისათვის.

როცა ჰუსმა გაიგო, პაპი იოანე XXIII გადააყენს და განკვეთესო, განაცხადა: „ახლა ხომ იცით როგორ იქცევიან სასულიერონი, რომელნიც თავს ქრისტესა და მისი მოციქულების უეჭველ და ჭეშმარიტ მოადგილეებად აცხადებენ, რომელნიც სიწმინდის ეკლესიად და ტაძრად ითვლებიან, რომელნიც არ უნდა სცდებოდნენ, მაგრამ ცდებიან. იოანე XXIII-ს ადრე მუხლმოდრეკილი თაყვანს სცემდნენ, ფეხს უკოცნიდნენ და უწმინდესს უწოდებდნენ, თუმცა იცოდნენ, რომ მკვლელი, სოდომ-გომორის ცოდვით სავსე და ერეტიკოსი იყო, რაც თავად განაცხადეს განკვეთისას."

მართლაც, უსამართლოა ზოგჯერ ხალხის სამართალი: ყოველგვარი ცოდვით დამძიმებული ბალთაზარ კოსა (პაპი იოანე XXIII) გადაყენების შემდეგაც კარგა ხანს ამძიმებდა ამ დედამიწას და უწმინდესი კაცი, იან ჰუსი კი, ცეცხლმა შთანთქა. მართლაც, რა იყო ჰუსის შეურყეველი ნებისა და მრწამსის ის წყარო, რომელიც ამ ფიზიკურად არც თუ ძლიერ კაცს აძლევდა ულევ ძალას? ალბათ ის, რა წყაროც საკაცობრიოა და რომელსაც მხოლოდ ღირსეულნი დაეწაფებიან ხოლმე. ესაა ჭეშმარიტების, თავისუფლებისა და სიმართლის მარადიული წყარო და ათასობით ადამიანის მხარდაჭერა, სამშობლოს სიყვარული და მშობელი ხალხის მიერ ამის გამოხატვა. ჰუსი გრძნობდა თავის სიმართლის სიდიადესა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში ხალხის მხარდაჭერას. ეს მისი უკვდავება იყო.

ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში (24 ივნისს) ჰუსი წერდა: „რა გვიპასუხეთ მქადაგებელნო, ვინც ხალხს ასწავლით, რომ პაპი ღმერთია მიწაზე, რომ იგი არ სცოდავს, რომ არ არის გარეული სიმონიის ცოდვებში (საეკლესიო თანამდებობებით

ვაჭრობა ა.გ.), როგორც ამას იურისტები ამბობენ, რომ პაპია მთელი ეკლესიის მეთაური, რომ უძღვება მას ღირსეულად, სულიერად ამდიდრებს მას, თითქოს იგია მაშველი, ყველა ქრისტიანის თავშესაფარი. და აჰა, გადაყენებულია ეს მეთაური, შებოჭილია მიწიერი ღმერთი, ცოდვაში მხილებულია და განკვეთილია იგი, რათა არავინ გაეკაროს მას. კრებამ გაკიცხა იგი ვითარცა ერეტიკოსი და ბრალი დასდო, რატომ ყიდდიო ინდულგენციებს, საეპისკოპოსო და სხვა თანამდებობებსო და ბრალს ისინი სდებდნენ, ვინც მისგან ამას ყიდულობდნენ. მათ შორის არის ლიტიმიბლელი ეპისკოპოსი იანიც, რომელიც ორჯერ ევაჭრა პრაღის არქიეპისკოპოსს, მაგრამ სხვებმა მეტი გაიღეს და აჯობეს. ოჰ, უფალ იესო ქრისტეს რომ მიემართოს კრებისათვის, „ვინც თქვენში სიმონიაში უცოდველია, მან ამხილოსო პაპი; ვფიქრობ, ერთმანეთს გაასწრებდნენ დარბაზიდან". კონსტანცის საეკლესიო კრების ვერც ერთი ქრონისტი, ვერც ერთი მემატიანე ვერ მოგვცემდა კრებაზე გამეფებული სულისკვეთების უფრო ზუსტ და ხატოვან დახასიათებას, ვიდრე ეს ჰუსმა მოგვცა თავის წერილებში. ერთ-ერთ ბოლო წერილში იგი აგრძელებს კონსტანცის კრების დახასიათებას: „ოი, რა უთავბოლოდ მიმდინარეობდა ეს კრება, რომელმაც სიკეთეზე მეტი ბოროტება მოიტანა და თქვენ კეთილო და ღვთისმოსავო ქრისტიანებო, ნუ აღშფოთდებით მათი გადაწყვეტილებებით, ვიმედოვნებ უფალო, მათ ეს არ შერჩებათ, კოლო-მუმლივით გაიფანტებიან ისინი და საქმენი მათნი იქნენ ვითარცა ობობის ქსელნი. უნდოდათ შეეშინებინათ და ღვთის ძალა ჩაეკლათ ჩემში... გწერთ, რათა იცოდეთ, ვერავითარმა მათმა წესებმა და დადგენილებებმა მე ვერ მძლიეს, თუმცა მუქარითა და ეშმაკობით ცდილობდნენ უარი მეთქვა ჭეშმარიტებაზე და ამასთან ცრუ ფიცი დამედო. მაგრამ მოწყალე ღმერთი, რომელსაც ვადიდებთ, ჩემთან იყო და ვიმედოვნებ იქნება უკუნისამდე. დაწერილია ციხეში, ბორკილგაყრილი, სიკვდილის მოლოდინში."

რაოდენი სულიერი მხნეობა უნდა ჰქონდეს კაცს, სიკვდილის წინ, ასეთი მსჯელობის, სიკეთის ქმნისა და რწმენის სიმტკიცე რომ შეენარჩუნებინა.

გოლგოთისაკენ. ახლოვდებოდა აღსასრული. დადგა ივლისის პირველი რიცხვი. ჰუსი წერილს სწერს საეკლესიო კრებას „მე, იან ჰუსი, ღვთის იმედად მყოფი მღვდელი, ვამბობ, არ შეურაცხვყო უფალი და არ ჩავეფლო ფიცისმტეხლის მომაკვდინებელ ცოდვაში, არ მინდა უარვყო ის, რასაც ჩემს წინააღმდეგ ცრუმოწმეები ამბობდნენ, არც მთლიანად და არც ნაწილობრივად. ღმერთია მოწამე, ასეთი ცალკეული დებულებები არც მიქადაგია და არც მიმიღია, რაც შეეხება ამონარიდებს ჩემი თხზულებებიდან, რომელიც კრებაზე მართებულად წაიკითხეს, მათზე გეტყვით: თუ რომელიმე მათგანი სიცრუეა, (რა თქმა უნდა, ეს უნდა დასაბუთდეს საღვთო წერილით), მაშინ მე მასზე უარს ვამბობ. მაგრამ ვშიშობ, არ შეურაცხვყო ჩემივე სიმართლე და რაიმე არ ვთქვა ჭეშმარიტ მართლმორწმუნეთა წინააღმდეგ, არ მინდა ამ ქვეყანაზე უარი ვთქვა... ამას ვამბობ და ვწერ ჩემი ნებით და ძალდაუტანებლად. დაწერილია ჩემის ხელით, პირველი ივლისის დღეს". ამით ყველაფერი ვთქვი. აღარც უკანდასახევიღა იყო და არც უნდოდა უკან დახევა.

კრებამ კიდევ ერთხელ, საბოლოოდ სცადა ჰუსის „მორჯულება" ივლისის ხუთში ის მიიყვანეს მონასტრის სატრაპეზოში, სადაც საკმაოდ მაღალი წარმომადგენლობა ბრძანდებოდა. აქ ჰუსს წაუკითხეს უარყოფის უკვე გამზადებული ტექსტი რომელიც შეადგინა იტალიელმა კარდინალმა ზაბარელლამ. ტექსტი შედგენილი იყო, შეიძლება ითქვას „ შერბილებულად", თითქოს კრება რაღაცას უთმობდა კიდეც ჰუსს, ოღონდ მას უარი ეთქვა თავის მოძღვრებაზე. ჰუსმა ძალიან კარგად ამოიცნო კრების მესვეურთა ეს „შერბილება". რომ დათანხმებოდა ამ უარყოფას, ეს ნიშნავდა ერესის ცოდვის აღიარებას, ამით კი ჰუსი დაკარგავდა ხალხის სიყვარულსა და საკუთარ სახეს. ჰუსმა მშვიდად უარყო შემოთ-

ავაზებული წინადადება. მისი გადმობირება სიგიზმუნდ იმპერატორმაც სცადა. მან სატუსალოში გაგზავნა პანები იან ხლუმელი და ვაცლავ დუშელი ოთხ ეპისკოპოსთან ერთად, რათა დაერწმუნებინათ ბრალდებული და დაეყოლიებინათ უარი ეთქვა თავის მრწამსზე. ამ ჩეხ პანებისსა და იან ჰუსს განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ერთიმეორის მიმართ უდიდესი პატივისცემა და ნდობა ჰქონდათ. როცა ისინი საკანში შევიდნენ, პან იან ხლემელმა, პირდაპირ და ხმამაღლა, როგორც ეს კრებაზე ჰუსის მეორე მოსმენაზე გააკეთა მიმართა: „მაგისტრო იან, ჩვენ საერონნი ვართ და არც ისე სწავლულნი, შენ თუ გრძნობ, რომ არასწორ გზას ადგახარ და იმათგან, რასაც გაბრალებენ, თუნდაც მცირედში, დამნაშავე ხარ, არ მოგერიდოს და უარყავი იგი. ხოლო თუ შენი სინდისი სუფთაა და გეუბნება, რომ არა ხარ დამნაშავე, არა ქნა რა შენი სინდისის წინააღმდეგ, არ იცრუო უფლის წინაშე, უკეთესია სიკვდილამდე იდგე იმ სიმართლეზე, რაც შენ საღვთო წერილიდან შეიცან." გულაჩუყებულმა ჰუსმა, მორჩილად, ცრემლნარევი ხმით მიუგო,: „პან იან , კარგად იცოდე, მე რომ რაიმე მექადაგა, მესწავლებინა ან დამეწერა ღვთისა და წმინდა ეკლესიის სანინააღმდეგოდ, ღმერთია მოწამე, მზადა ვარ მორჩილად უარვყო იგი. კიდევ ვითხოვ იმათგან, მაჩვენონ საღვთო წერილიდან უფრო მართებული დასკვნები ან დებულებანი; თუ ისინი მე უფრო მართალ დასკვნებს მიჩვენებენ, ვიდრე მე ვქადაგებდი ან ვწერდი, მე მთელი სულითა და გული უარვყოფ." – „როგორ, შენ უფრო ჭკვიანი გგონია თავი, ვიდრე ეს საეკლესიო კრებაა?" – დაუყვირა თურმე იქ მყოფმა ერთმა ეპისკოპოსმა. ამაზე ჰუსს უპასუხია: „მე არ ვთვლი თავს ბრძენად, მაგრამ მიჩვენეთ თუნდაც მცირენი ამ კრებიდან ისეთნი, ვინც მე შემასწავლიდა უკეთესს და საღვთო წერილიდან წარმომიდგენდა უფრო მტკიცე დასკვნებს და მზად ვარ ახლავე უარი ვთქვა ჩემსაზე"...

ბოლო დღეს, მარტოობაში მყოფმა, კიდევ ორი წერილი დაწერა. ერთი მათგანი „სიმართლის მეგობრებს", მიმართუ-

ლია ზოგადად ყველა ქრისტიანისადმი. ამ წერილში ჰუსი მკითხველს მიმართავს არ ირწმუნონ ცრუმორწმუნეთა ჩვენებები და კრებაზე გამოტანილი ბრალდებულებანი. რომ ის ბოლომდე რჩება თავის მოძღვრების ერთგული. მეორე წერილი კი მიმართულია ჩეხი მეგობრებისადმი. „უფალი იყოს თქვენთან! და მან მოგიზღოთ სიმარტოვეში სიკეთე, იმისათვის, რაც თქვენ ჩემთვის გააკეთეთ. გთხოვთ აგრეთვე, ჩემი გულისათვის, თუნდაც უკვე ხორცით მკვდრისათვის, არ დაუშვათ, რომ რაიმე ზიანი მიადგეს პან იანს (იგულისხმება იან ხლემელი და ა.შ), კეთილშობილ და ერთგულ რაინდს, ჩემს კეთილმყოფელს... გადაეცით დედოფალს, ჩემს მოწყალე ქალბატონს, ჩემი უდიდესი მადლიერება, იმისათვის, რაც ჩემთვის გააკეთა.

მომიკითხეთ თქვენი ჯალაბობა, შინაურნი, მსახურები და სხვა ერთგული მეგობრები, რომელთა ჩამოთვლა შეუძლებელია. ყველას გთხოვთ, ილოცეთ ჩემი სულისათვის უფლის მიმართ, რომლის წმინდა მოწყალებას, მისივე შეწევნით მალე ვიხილავ, ამინ. დაწერილია სიკვდილის სასჯელის ლოდინისას, ციხეში, ბორკილდადებული, იმედით იმისა, რომ უფლის ნებით ვითმინო ტანჯვანი. ღვთის გულისათვის აღარ დაუშვათ კეთილი მღვდლების სიკვდილი. მაგისტრი ჰუსი, იმედითა ღვთისა მსახური მისი“. ხოლო ხსენებულ პეტრე მლადონევცს, ამ ამბის პირუთვნელ მემატიანეს, ჰუსმა სახსოვრად თავისი ერთადერთი ქურქი დაუტოვა.

იმავე პეტრე მლადონევცმა აღწერა ჰუსის უკანასკენლი დღის, ექვსი ივლისის ამბებიც. შაბათი დღე იყო. 1415 წლის 5 ივლისი. რიგელი ეპისკოპოსი თანხმლებ პირებთან ერთად მობრძანდა ჰუსის საკანთან. აქედან, გაძლიერებული დაცვის თანხლებით, ჰუსი გადაიყვანეს კონსტანცის უმთავრეს ტაძარში, სადაც უკვე მობრძანებულიყვნენ კრებაზე მყოფი ყველა „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, იმპერატორი თავისი ამალით, კარდინალთა სრული შემადგენლობა და უმაღლესი სამღვდელოება. თვალს სჭრიდა დამსწრეთა ბრწყინვალე

ჩაცმულობა, აღჭურვილობა და მორთულობა. ჩეხი მოძღვარი წარუდგინეს შეკრებილებს. ტარდებოდა მესსა (კათოლიკური წირვა-ლოცვა), რათა განწმენდილიყო და არ შებილწულიყო ტაძარი ერეტიკოსის შემოსვლით. ლიტურღიის დასრულებისას, ერთმა ეპისკოპოსმა ხმამაღლა წარმოთქვა: „დაე განადგურდეს ცოდვის ჭურჭელი... განადგურდეს ყოველგვარი ცდომილება და ერესი, უპირატესად კი ეს ფერგალეული ერეტიკოსი, ვისმა ბოროტებამაც მოიცვა ეს ქვეყანა და რომელსაც თქვენ აქ ხედავთ."

კვლავ ხმამაღლა წაიკითხეს ჰუსისადმი წაყენებული ბრალდებულებანი, რომ ის აცდუნებდა ხალხს, პატივს არ სცემდა წმინდა ეკლესიასა და პაპს, ამრავლებდა უიკლიფის ერესს და ა. შ. რასაკვირველია, ახლაც არ ამოაღებინეს ხმა ჰუსს. როცა კრების მონაწილეთა მრისხანება მოუთოკავი გახდა, ჰუსი მუხლებზე დაეცა და ლოცვა დაიწყო, კრების გადაწყვეტილებით ჰუსს ჯერ მღვდლის პატივი აჰყარეს. შვიდი ეპისკოპოსი შეუდგა ამ საქმეს. უხეშნი, ტლანქნი და გაბოროტებულნი იყვნენ ეპისკოპოსები. ჰუსი ირონიით მიმართავდა მათ: „როცა უფალი ჩვენი იესო თეთრი სამოსით პილატესთან მიჰყავდათ, მასაც დაცინვით მიაცილებდნენო." შემდეგ იგი აიყვანეს სპეციალურად გაკეთებულ შემაღლებულ ადგილზე, შემოახიეს სამოსი და ჩამოართვეს ფიალა. ეპისკოპოსებმა ახლა იმაზე დაიწყეს კამათი, ტონზურის წასაშლელად თმა რითი შევკრიჭოთო, სამართებლით თუ მაკრატლით. აქ ჰუსის ირონია – „ეს ეპისკოპოსები მკრეხელობაშიც კი არ არიან ერთსულოვანნი."

ამ ცერემონიით ჰუსი განკვეთეს სასულიეროდან და გადასცეს საერო ხელისუფლებას. ამიერიდან საერო სამართალს უნდა აღესრულებინა მსჯავრი. თავზე ქაღალდის გვირგვინი დაადგეს წარწერით „ეს ერესიარქია". და თან წყევლიდნენ „ეშმაკმა წაიღოს შენი სულიო". ჰუსმა ამ წყვლას მშვიდად უპასუხა, „მე კი მას სიკეთის საქმნელად იესო ქრისტეს ვაბარებ".

კვლავ სიგიზმუნდის ხელში აღმოჩნდა ჰუსის ბედი. ყალბი აღმოჩნდა იმპერატორის სიგელიც და სიტყვაც, არც ახლა იყო იმედი მისი მხრიდან სიკეთისა. პეტრე მლადონევეცმა, რომელმაც ჰუსის ცხოვრების ბოლო პერიოდი დაწვრილებით აღწერა, მოგვითხრო ჰუსის უკანასკნელი დღის ბოლო საათებიც. მან ჩეხურ ენაზე დაწერა ეს ამბავი და მცირე თხზულების სახით კიდეც გავრცელდა. ამ თხზულებას ჰქვია „მაგისტრ იან ჰუსის ვნებანი". ფაქტობრივად, მან ამით დიდი წვლილი შეიტანა ჰუსის უკვდავყოფის საქმეში. მოვუსმინოთ, როგორ აღწერს იგი ჰუსის გზას გოლგოთისკენ.

„როცა სასიკვდილოდ მიემართებოდა, გვერდით მიმავალს ეუბნებოდა იგი, არ იფიქროთ სიკვდილზე ერესის გამო მივდიოდე, ბოროტმა მტრებმა ჩემს წინააღმდეგ ცრუ მოწმეები მოიყვანეს და უსამართლოდ დამდესო ბრალი, მე ვითხოვდი საღვთო წერილით დაესაბუთებინათ ჩემი ბრალდება", უამრავი კონსტანცელი მიყვებოდა ჰუსს სიკვდილის გზაზე, ბოლოს მივიდნენ იმ ადგილას, ქალაქგარეთ სადაც უნდა დაესაჯათ სიკვდილით. ჰუსი მუხლებზე დაეშვა, გულზე ხელები დაიწყო, თვალნი აღაპყრო ზეცას და ლოცვას შეუდგა „უფალო, შენ მოგაბარებ ჩემს სულს"... ისე ლოცულობდა ჰუსი, ისე, წარმოთქვამდა გალობით ღვთის სადიდებელს, რომ ახლოს მდგომმა ხალხმა ყველაფერი კარგად გაიგონა, ამის გამგონე მოქალაქეები, საერონი გაკვირვებით ამბობდნენ, „არ ვიცით აქამდე რას აკეთებდა, ან რას ამბობდა ეს კაცი, მაგრამ ახლა ვხედავთ და გვესმის ლოცულობს და წმინდა სიტყვებს წარმოთქვამს, კარგი იქნება თუ მოძღვარს მოჰგვრით აღსარებისათვისო, მუხლმოყრილი ჰუსი აგრძელებდა ლოცვას, როცა ჯალათის ბრძანებით იმ ადგილიდან წამოაყენეს, ჰუსმა ხმამაღლა განაგრძო „უფალო იესო ქრისტე, მზად ვარ შენდამი მორჩილებითა და სიყვარულით, შენი ნათელი მოძღვრებისათვის, რომელსაც ვქადაგებდი, შევეყარო ამ საშინელ სიკვდილს, ხოლო ჩემს მტრებს ყველას შეუნდე უფალო"... შემდეგ მიიყვანეს იმ ადგილას, სადაც ეგდო მსხვილი დახვრეტილი ბოძი,

შემოახიეს ტანსაცმელი, მხოლოდ პერანგის ამარა დატოვეს, ამ ბოძს მიაკრეს და შემოახვიეს მსხვილი სველი თოკი, ხელები ზურგს უკან გაუკრეს. ეს ბოძი ერთი ბოლოდან წამახვილებული იყო, წამოაყენეს და ამ წვერით მიწაში ჩასვეს, შემდეგ ყველაზე გაჭვარტლული ჯაჭვი შემოახვიეს და ბოძს მიაკრეს, ფეხებთან კონებად შეკრული ნამჯაშერეული შეშა-ფიჩხი დაუყარეს, წელამდე სწვდებოდა შეშა, ფეხებზე ჯერ კიდევ ეცვა ფეხსაცმელი და ედო ბორკილები. როცა ეს ყველაფერი გააკეთეს, სანამ ცეცხლს მოუკიდებდნენ იმპერატორის კაცმა უკანასკნელად მიმართა ჰუსს, უარყავი შენი შეხედულებები და ცოცხალი დარჩებიო. მაგისტრმა კი ხმამაღლა უპასუხა: „ღმერთია მოწამე, არასოდეს არ მისწავლებია და მიქადაგებია ის, რასაც მე უსამართლოდ მომაწარენ, ჩემი ამ საქმიანობის მიზანი, მხოლოდ ადამიანების ცოდვისაგან დახსნა იყო და ის სიმართლე, რასაც ვქადაგებდი და ვწერდი, საღვთო წერილიდან და წმინდა დოქტორების განმარტებებიდან ვიღებდი და ახლა მზად ვარ სიხარულით მოვკვდე". იმპერატორის კაცმა ნიშანი მისცა. ჯალათებმა მოუკიდეს ცეცხლი, ხოლო მაგისტრმა ხმამაღლა გალობა იწყო: „ქრისტე, ძეო უფლისაო, შემიწყალე მე"... დაჰბერა ნიავმა და ცეცხლის ალი სახეში ეცა, ხმა ჩაუწყდა, მხოლოდ ტუჩებსღა ამოძრავებდა, სიკვდილის წინ უკანასკნელი სიტყვებიღა აღმოხდა „მამაო ჩვენო". როცა შეშის კონები ჩაიწვა, დამწვარი სხეული ჯერ კიდევ ბოძზე იყო, ჯალათებმა ბოძი მიცვალებულთან ერთად წააქციეს და კვლავ ცეცხლი შეუნთეს, თავის ქალა და ძვლები კეტებით დაუმსხვრიეს, რათა ჩქარა ჩამწვარიყო... გული გამოუღეს და წვეტიან ჯოხზე წამოაცვეს, სწვავდნენ და ჯოხით სცემდნენ მასაც. ყველაფერი, რაც ჰუსისა იყო, ტანსაცმლის ნარჩენები, ფეხსაცმელი ან სხვა რამ, იმპერატორის კაცის ბრძანებით დაწვეს. „ჩეხები ამას წმინდა ნაწილებად შერაცხავენ". იმპერატორის წარმომადგენელი ჯალათებს სხვა ანაზღაურებას დაპირდა (დასჯილის უკანასკნელი ქონება წესისამებრ ჯალათის იყო – ა.გ.).

მთლიანად დაწვეს, ფერფლი მისი მიწასთან ერთად მოხვეტეს, ოთხთვალაზე შეჰყარეს და იქვე ახლოს მდინარე რაინში ჩაყარეს, რათა ამით წაეშალათ სამუდამო ხსოვნა მათი გულებიდან, ვინც მისი ერთგული იყო.

ასე აღესრულა ეს დიდი კაცი, თუმცა სიმართლისათვის ბრძოლა და სამშობლოს ინტერესები ახალ მსხვერპლს ითხოვდა.

ჰუსის ცეცხლზე დაწვა

სიკვდილი იერონიმესი

„სიმართლე ყველაფერზე იმარჯვებს,
გიყვარდეთ სამშობლო“.
იან ჰუსის ქადაგებიდან.

იან ჰუსის მოწამებრივი სიკვდილიდან თითქმის ერთი წელი გავიდა. კონსტანცის საეკლესიო კრება აგრძელებდა უთავბოლო მუშაობას, კრების მონაწილე მღვდელმთავრებს თითქმის მიავიწყდათ ჩეხი პროფესორის ამბავი. ხალხი კი, რომელსაც ჯერაც არ განელებოდა ჰუსისადმი პატივისცემისა და თანაგრძნობის განცდა, ახალი, არანაკლებ შემზარავი მოვლენის მოწმე გახდა.

1416 წლის 30 მაისი იდგა, ნაშუადღევს, კონსტანცის ქუჩებში, ბოდენის ტბის ნაპირის გასწვრივ, მდუმარე, დაღვრემილი პროცესია მიემართებოდა. წინ მიდიოდა ამხედრებული ორი წარჩინებული რაინდი, რომლებსაც მიჰყვებოდნენ ქალაქის მაგისტრატურის მესვეურები და შეიარაღებული მცველები. ამათ მოჰყავდათ ერთი მაღალი, ხშირწვერიანი, წარმოსადეგი კაცი, რომელსაც სახეზე აღბეჭდვოდა კვალი უდიდესი ფიზიკური და სულიერი ტანჯვისა. თავზე ეხურა ქაღალდისაგან გაკეთებული მაღალი, წოწოლა ქუდი, რომელზედაც წითელი საღებავით გამოხატული იყო ეშმათა დასი, ადამიანის სულს რომ ჯიჯგნიდნენ და „ამშვენებდა“ წარნერა დიდი ასოებით: „ეს კაცი ერეტიკოსია“. კონსტანცის მოქალაქენი და ქალაქის სტუმრები გრძნობდნენ, რომ მათ წინ სამღვდელოთა კრების მორიგი მსხვერპლი იდგა.

ხელებშეკრული პატიმარი, რომელიც გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს, უშფოთველად და მტკიცედ მიაბიჯებდა, ამაყად აეწია თავი, თვალები ზეცისათვის მიეპყრო და ხმამაღლა ლოცულობდა. მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც

უკვე ყველაფერი მოემზადებინათ კოცონისათვის. უხეშად გათლილი მსხვილი ბოძი დაესოთ მინაში, სიკვდილმისჯილი მუხლებზე დაეცა და განაგრძო ლოცვა. არ აცალეს ჯალათებმა, მისცვივდნენ, ტანსაცმელი შემოახიეს, სველი თოკითა და ჯაჭვით მჭიდროდ მიაკრეს ბოძზე. შეშა და ფიჩხი უხვად შემოულაგეს გარშემო, შემოხეული ტანსაცმელი ზედ მიაყარეს და ცეცხლი შეუნთეს. ცეცხლი სნრაფად მოედო გაფიცხებულ შეშას, ბოძზე მიკრული ლოცვას განაგრძობდა. ერთი თვითმხილველი იგონებდა: „ცეცხლი გაძლიერდა, მისი უკანასკნელი სიტყვები, რომელიც ჩვენ გვესმოდა, უფლისადმი იყო მიმართული, „შემინყალე მე ყოვლადძლიერო უფალო, შემინდე მე ცოდვანი ჩემნი, რამეთუ უწყი შენ, რომ მხურვალე გულით მიყვარდა შენეული სიმართლე"... და შემდეგი სიტყვები უკვე ცეცხლმა შთანთქა. ცეცხლი მთელს ტანს მოედო. თავი და სხეულის ცალკეული ნაწილები დიდხანს ირხეოდნენ, მაყურებელნი ძლივს უსნორებდნენ თვალს შემზარავ სანახაობას. შემდეგ ჯალათმა მოიტანა სატუსაღოში დარჩენილი მისი ტანსაცმელი, ქუდი, ფეხსაცმელი და სხვა ნივთები და ისინიც ფერფლად აქციეს.

ასეთი საშინელი ნამებით მოკლული ადამიანი გახლდათ ჩეხი პროფესორი, ფილოსოფოსი, ევროპის ოთხი უნივერსიტეტის მაგისტრი, იერონიმე პრაღელი. ამ ადამიანის მთელი დანაშაული, რომლისთვისაც ასე გასნირა იგი კონსტანცის საეკლესიო კრებამ, მხოლოდ ის იყო, რომ ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი მასწავლებლისა და მეგობრის, იან ჰუსის იდეებისა, რომ სამშობლოს თავისუფლება და სიმართლე უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე პაპი და მთელი კათოლიკური ეკლესიის იერარქია. მაშ, ვინ იყო იერონიმე პრაღელი.

უკანასკნელ ხანს ისტორიკოსებმა ყურადღება მიაქციეს ისტორიაში ე. წ. „მეორე რიგის" მოღვაწეთა საკითხს. ეპოქის ბუმბერაზი ადამიანების ჩრდილში თითქოს იკარგებიან ის მოღვაწენი, რომლებიც ახორციელებენ დიდი ადამიანების ნააზრევს, იდეებს, ჩანაფიქრს. ალექსანდრე დიდის გვერდით

ფერმკრთალდებიან პარმენიონები და კლიტოსები, ცეზარის გვერდით – მისი დროის მოღვაწენი, კარლოს დიდის გვერდით – მისი მამაცი მხედართმთავრები და ა.შ.

ჰუსის პიროვნება არ იყო მხოლოდ ჩეხური მასშტაბისა, ის საერთო ევროპულ, საერთო საკაცობრიო პრობლემას შეეჭიდა და მსხვერპლად შეეწირა მას. ჰუსის იდეების პრაქტიკული რეალიზატორები, მისი მიმდევრები, ბუმბერაზი ჩეხის გვერდით, თითქოს ჩრდილში მოექცნენ, არადა, მათ დიდი როლი შეასრულეს ახალი იდეების პოპულარიზაციის საქმეში, ზოგ შემთხვევაში განავითარეს კიდეც ეს იდეები. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება იერონიმე პრაღელი.

იერონიმეს თანამედროვენი, კონსტანცის საეკლესიო კრებაზე მისი გამოსვლების თვითმხილველები და აღმწერელნი (იტალიელი ჰუმანისტი პოჯო ბრაჩოლინი ლეონარდო ბრუნისადმი მიწერილ წერილში, ქრონისტი ულრიხ რიხენტალელი, პეტრე მლადონეველი და სხვანი), ერთხმად აღნიშნავენ ამ კაცის შეუპოვრობასა და სიმართლისადმი ერთგულებას. სამწუხაროდ, ბიოგრაფიული ცნობები იერონიმე პრაღელის შესახებ ერთობ მწირია.

ის დაიბადა პრაღაში, ბავშობისა და სოციალური წარმოშობის შესახებ დაზუსტებით ბევრი რამ არ ვიცით. XIV საუკუნის 90-იან წლებში, როცა პრაღის უნივერსტეტში უიკლიფის იდეებთან დაკავშირებით ცხარე კამათები დაიწყო, პირველად იხსენიება იერონიმეს სახელი. ამ პერიოდის საუნივერსიტეტო ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ 1398 წელს მას წარმატებით ჩაუბარებია „თავისუფალ ხელოვნებათა ბაკალავრის“ ხარისხის მოსაპოვებელი გამოცდები. საუნივერსიტეტო დოკუმენტებიდან გამომდინარე, მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ იერონიმე უნდა დაბადებულიყო დაახლოებით 1380 წელს პრაღის ახალ უბანში, შეძლებული ბიურგერის ოჯახში. მას უსწავლია საქალაქო სკოლაში, რომელსაც უნივერსიტეტი მფარველობდა (ასეთ სკოლას პარტიკულარული სკოლა ეწოდებოდა). სხვა შესაბამის საგნებთან ერთად, ამ სკოლაში

დიდ ყურადღებას აქცევდნენ მუსიკისა და გალობის შესწავლას. იერონიმეს სიმღერის შესანიშნავი ნიჭი ჰქონია და მალე ურთულესი საგალობლების იშვიათი შემსრულებელი გამხდარა, თვითონაც წერდა თურმე მცირე მუსიკალურ ნანარმოებებს.

1395 თუ 96 წელს, იგი პრაღის უნივერსიტეტის მსმენელი გამხდარა, შემდეგ კი, როგორც აღინიშნა, ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხებიც მიიღო. იმდროინდელი პრაღის უნივერსიტეტი ისევე იყო მოწყობილი, როგორც ბოლონიის, პარიზის ან ოქსფორდის უნივერსიტეტები. აქაც იყო „არტისტული", საღვთისმეტყველო, სამედიცინო და იურდიული ფაკულტეტები. ყველა უნივერსტეტს თავისი პრიორიტეტები ჰქონდა. მაგალითად, ბოლონიისას იურისპუდენცია, პარიზისას (სორბონა) – თეოლოგია, და ასე შემდეგ. პრაღის უნივერსიტეტში განსაკუთრებული იყო ფილოსოფია და ღვთისმეტყველება. (ღვთისმეტყველება, როგორც დარგი, იმდროისათვის განიხილებოდა ყოველგვარი ფილოსოფიური აზრისა და ცოდნის გაგრძელებად, უმაღლეს საფეხურად). ამ თვალსაზრისით, პრაღის უნივერსიტეტი, როგორც ავტორიტეტი იმდროინდელი მეცნიერების ამ დარგში, პარიზისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებს უტოლდებოდა. იმდროინდელ ფილოსოფიაში ორი ძირითადი მიმართულება უპირისპირდებოდა ერთმანეთს, ნომინალისტები და რეალისტები. ნომინალისტები, რელიგიის საკითხთა თაობაზე ამტკიცებდნენ, რომ ქრისტიანული ჭეშმარიტებანი და ცნებანი, მხოლოდ ცნებებია, სიტყვებია, სახელებია, რეალურად არსებულის, რეალური შინაარსის გარეშე. აქედანაა ამ მიმდინარეობის სახელწოდებაც (ლათინურად ნომინა – სახელი). ადამიანისათვის, ნომინალისტები ფიქრობდნენ, რომ მიუწვდომელია მათი არსის ლოგიკური მსჯელობით გაგება. ნომინალისტების აზრით, ერთადერთი რეალობა ესაა ადამიანი თავისი გრძნობათა ორგანოებით. ვინაიდან, ამ შეგრძნებებში მოცემული შეიძლება ექსპერიმენტულად გამოიცადოს და დამტ-

კიცდესო. ამ პოზიციიდან გამომდინარე, ნომინალისტები უფრო „მინიერი საკითხებით" და მისნრაფებებით ინტერესდებოდნენ, რაც მზარდ ბიურგერულ მისნრაფებებს უფრო შეესაბამებოდა. რეალისტები უმეტესად „გონებითი ჭვრე-

იერონიმე პრაღელი

ტის", ლოგიკური მსჯელობის გზით ჭეშმარიტების წვდომისაკენ იხრებოდნენ.

იმდროინდელ ევროპულ უნივერსიტეტებში რეალისტები უფრო პოპულარულები იყვნენ. ამ პოზიციიდან აკრიტიკებდა ეკლესიას ხსენებული ჯონ უიკლიფიც. ჩეხურ სინამდვილეში უიკლიფიზმიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჰუსის წყალობით, ეპოქის შესაბამისი ნამდვილი რევოლუციური თეორია ჩამოყალიბდა.

იერონიმეს სტუდენტობისას პრაღის „რეალისტებს", ჩვენთვის უკვე ცნობილი მაგისტრი სტანისლავ ზნოიმელი მეთაურობდა, რომლის უახლოესი მეგობარი და მიმდევარი იან ჰუსი იყო. მალე იერონიმე ჰუსის უერთგულესი მიმდევარი და მონაფე გახდა, როგორც ჩანს, ჰუსისავე ინიციატივით, პრაღის უნივერსიტეტის პროფესურამ, ახალგაზრდა ბაკალავრი იერონიმე მიავლინა ოქსფორდის უნივერსიტეტში ცოდნის გასაღრმავებლად. ინგლისში წასულს უნივერსიტეტის ხარჯზე სტიპენდიაც დაუნიშნეს. 1399-1401 იერონიმე ოქსფორდშია, აქ იგი უფრო ახლოს გაეცნო უიკლიფის ნაშრომებს, ჩეხეთში ამ მოღვაწის მხოლოდ რამდენიმე თხზულებას იცნობდნენ. იერონიმე აქ გაეცნო უიკლიფის იმ ნაშრომებსაც, რომელშიც მოცემულია კათოლიკური ეკლესიის რეფორმის პროგრამაც. იერონიმემ ის არა მარტო ღრმად შეისწავლა, არამედ გადაწერა უიკლიფის ცნობილი თხზულებანი „დიალოგი" და „ტრიალოგი". ოქსფორდში ორწლიანმა შრომამ დიდი კვალი დააჩნია იერონიმეს შემდგომ მოღვაწეობას.

1401 წელს, როცა იერონიმე პრაღაში დაბრუნდა, იქ ნამდვილი ომი დახვდა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მეფე (ვაცლავ IV) და დიდებულები, მეფე და ეკლესია, უნივერსიტეტში კი გერმანელი და ჩეხი პროფესორები. იერონიმე უყოყმანოდ დადგა ბეთლემის სამლოცველოდან მოქადაგე ჰუსის მხარეზე. ამასთან, იერონიმეს მიერ ინგლისიდან ჩამოტანილმა უიკლიფის ახალმა, ჩეხებისათვის უცნობმა თხზულებებმა, უდიდესი ინტერესი გამოიწვია, უიკლიფიზმი კიდევ უფრო

პოპულარული გახდა. 1403 წელს, პრაღის უნივერსიტეტში მოღვაწე გერმანელმა პროფესორმა იოჰან ჰიუბნერმა, უიკლიფის თხზულებებიდან გამომდინარე, ბევრი დებულება, „ჭეშმარიტი სარწმუნეობიდან“ გადახრად მიიჩნია და მოითხოვა მათი საჯარო დაგმობა. ამით დაიწყო პრაღის უნივერსიტეტში, საკმაოდ მწვავე და ხანგრძლივი ბრძოლა ნომინალისტებსა და რეალისტებს შორის. ამ საკითხებზე რამდენიმე დისპუტიც გაიმართა. როგორც ირკვევა, პირველ სხდომებზე იერონიმეს მონაწილეობა არ მიუღია, ვინაიდან ამის უფლება მხოლოდ მაგისტრებს ჰქონდათ. იერონიმე კი ჯერჯერობით მხოლოდ ბაკალავრის ხარისხით იყო. მიუხედავად ამისა, ამ დისპუტების მსვლელობაზე მან არსებითი გავლენა მოახდინა. ის არ იყო აკადემიური ხარისხებისა და ტიტულ-თანამდებობების მოტრფიალე, ის უფრო საქმიანობის თავისუფლებისკენ, მოძრაობის თავისუფლებისაკენ მიისწრაფვოდა. მის ხასიათს მოგზაური მეცნიერისა და მოღვაწის მდგომარეობა უფრო შეეფერებოდა (იმ ეპოქაში ასეთი მოგზაური პოეტი, ფილოსოფოსი თუ მღვდლები იშვიათობა არ იყო). 1404 ნლის გაზაფხულზე იერონიმეს პარიზის უნივერსიტეტში ვხედავთ, ყველა ფორმალობისა და საფეხურების დაცვით, მან ჩააბარა გამოცდები და 1405 ნლის იანვარში მიენიჭა „თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრის“ ხარისხი. აქვე ის სათავეში ჩაუდგა პარიზის უნივერსიტეტთან არსებულ ერთ-ერთ სკოლას. იერონიმე აქაც აგრძელებდა თავის საქმიანობას. აქ გადაწერა მან უიკლიფის ის თხზულებანი, რომლებიც პრაღაში ჯერ კიდევ უცნობი იყო და ჩეხეთში მეგობრებს გაუგზავნა. როგორც აღინიშნა, საჯარო დისპუტების მოწყობა და მასში მონანილეობა, ბაკალავრის ხარისხის მქონეს არ შეეძლო. ახლა იერონიმეს ჰქონდა მაგისტრის ხარისხი და თავად შეეძლო მოეწვია სწავლულები სასურველი თემის გარშემო პაექრობაზე. 1405 ნლის ბოლოს (ზუსტი თარიღი უცნობია) პარიზის უნივერსიტეტის მაგისტრებმა (პროფესორებმა) და თეოლოგებმა მიიღეს მიწვევა დისპუტზე, რომელსაც აწყობ-

და მაგისტრი იერონიმე თემაზე: „უფლის მცნებანი და აზრები ერთიმეორისაგან რეალურად განსხვავდებიან თუ ფორმალურად". ყველა მიხვდა, რომ, ფაქტობრივად, ეს იყო გამოწვევა რეალისტებსა და ნომინალისტებს შორის კამათისათვის. პარიზელი პროფესორები აქტიურად ჩაებნენ კამათში. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, მსგავს დისპუტებში მათ არც ერთი მარცხი არ განეცადათ. ამ დისკუსიაზე იერონიმემ კამათის ხელოვნების ისეთი უნარი გამოამჟღავნა, თავისი იდეების დასასაბუთებლად ისეთი არგუმენტები მოიყვანა, რომ გამარჯვება აშკარა იყო. პარიზის უნივერსიტეტის ორთოდოქსმა პროფესორებმა იერონიმეს გამოსვლებში აშკარად დაინახეს ანტიკათოლიკური და ანტიპაპური სულისკვეთება. იერონიმეს ეს გამოსვლები და მისი აზრები დასმენილ იქნა პარიზის უნივერსიტეტის კანცლერ (უნივერსიტეტის მმართველი) ჟან ჟერსონთან. ჟერსონმა მოითხოვა დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო მასთან იერონიმე და პროფესორთა თანდასწრებით დაეგმო დისპუტზე გამოთქმული აზრები. კანცლერის განზრახვა ცნობილი გახდა იერონიმესთვის და პარიზი ფარულად დატოვა. პარიზიდან იგი გადავიდა კიოლნში, სადაც რამდენიმე ანალოგიური დისპუტი მოანყო, აქედან კი ჰაიდელბერგში გადავიდა. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში მან მიიღო ამ უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხიც. საინტერესოა, რომ ამ უნივერსიტეტის პირველი რექტორი იყო ცნობილი ნომინალისტი მარსელიუს ინგხეიმელი. ამ უკანასკნელის შეხედულებები ითვლებოდნენ ორთოდოქსული კათოლიციზმის შეურყეველ ავტორიტეტებად. ამ ავტორიტეტის წინააღმდეგ მოუხდა გამოსვლა იერონიმე პრაღელს, (იერონიმეს ჰქონდა „თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრის" ორი უნივერსიტეტის ხარისხი, მაგრამ არ იყო თეოლოგიის მაგისტრი).

ჰაიდელბერგში ჩასვლიდან თვენახევრის შემდეგ იერონიმე მიიღეს ამ უნივერსიტეტის მაგისტრთა კოლეგიის წევრად და მართლაც საოცარი გამბედაობა იყო საჭირო, ახლადარ-

ჩეული კოლეგიის ნევრი, თანაც მხოლოდ თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრი, ჩაბმულიყო საღვთისმეტყველო დისპუტში. პაექრობას ესწრებოდნენ მაგისტრები, ბაკალავრები და მრავალი სტუდენტი. ამ შეხვედრებში იერონიმემ ისეთი თეორიული განსწავლულობა და ორატორული ოსტატობა გამოამჟღავნა, რომ მონინააღმდეგენიც კი აღიარებდნენ ამას. დებატების შედეგი კი ის იყო, რომ აქაურმა კათოლიკე პროფესორებმა იერონიმეს გამოსვლებში საშიში ერეტიკოსი დაინახეს. დისპუტები დასრულებული არ იყო, (იგი რამდენიმე დღე გრძელდებოდა) როცა კამათში დაუმარცხებელ ორატორს სიტყვით გამოსვლა აუკრძალეს, მაგისტრთა კოლეგიიდან გარიცხეს და აშკარად დაემუქრნენ. მაშინ იერონიმე, საჯაროდ, სტუდენტებისა და მთელი უნივერსიტეტის კოლექტივის წინაშე გამოვიდა სიტყვით. ამ გამოსვლის გამო უნივერსიტეტისა და ქალაქის მესვეურებმა იერონიმეს ერესში დასდეს ბრალი და დაასმინეს ვორმსის არქიეპისკოპოსთან (ეს არქიეპისკოპოსი რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის ამომრჩეველთა კოლეგიის, ანუ კურფიურსტთა კოლეგიის ხელმძღვანელი, თავისებური „გენერალური მდივანი“ გახლდათ და იმპერიაში უდიდესი გავლენაც ჰქონდა). მისი განკარგულებით, იერონიმე უნდა გამოსულიყო და საჯაროდ უარეყო თავისი შეხედულებები, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დააპატიმრებდნენ. კეთილისმსურველებმა გააფრთხილეს იერონიმე მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე და მან მოასწრო ქალაქიდან ფარულად გასვლა.

საინტერესოა, რომ იერონიმე არქიეპისკოპოსთან დაასმინა მაგისტრმა, აქაურმა პროფესორმა იოჰან ლაგენატორმა, ეს კაცი შემდეგში კონსტანცის საეკლესიო კრებაზე იერონიმეს წინააღმდეგ გამოდიოდა, როგორც მოწმე. 1961 წელს, დაარსებიდან 575 წლისთავისათვის, ჰაიდელბერგში გამოფინეს, ამ უნივერსიტეტის ყველაზე გამოჩენილი ფილოსოფოსების პორტრეტები. ყველაზე ცნობილთა შორის ყოფილა ამ უნივერსიტეტის პროფესორთა რიგებიდან 500 წლის წინ გარიცხ-

ული იერონიმეს პორტრეტიც. ხოლო მისი დამბეზღებელი და დამღუპველი არც უხსენებიათ. ისტორია ასეთი ადამიანების ხსოვნას არ ინახავს. 1406 წლის ბოლოს იერონიმე პრაღაში ჩამოვიდა. მთელს ჩეხეთში სწავლულთა შორის უკვე კარგად იყო ცნობილი მისი წარმატებული გამოსვლები დასავლეთის უნივერსიტეტებში. მალე იგი მიღებული იქნა პრაღის უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის ნევრად და მას მისცეს ლექციები. მას უკვე ჰქონდა მეოთხე უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი. ნომინალისტებისა და რეალისტებს შორის დაპირისპირების გარდა პრაღის უნივერსტეტში გამძაფრდა წინააღმდეგობა გერმანელ და ჩეხ სტუდენტებს შორის. სულ უფრო იზრდებოდა ე. წ. „გერმანელი ნაციის" სტუდენტების რიცხვი (ფრანკონელების, საქსონელების, სილიზიელების და სხვა), რაც ქმნიდა საშიშროებას რომ ბაკალავრისა და მაგისტრების რიცხვი ამათგან შეივსებოდა. ეს კი უნივერსიტეტის გაგერმანელებას დააჩქარებდა. ამ „ანტიუიკლიფისტებში" იმას მაინც მიაღწიეს, რომ უიკლიფისტების ერთ-ერთმა აღიარებულმა ლიდერმა ჩეხმა პროფესორმა სტანისლავ ზნოიმელმა უარყო და საჯაროდ დაგმო უიკლიფის შეხედულებები (აქედან ჰუსისაც) და პაპისტების მხარე დაიჭირა. უნივერსიტეტის შიგნით კიდევ უფრო გამწვავდა ურთიერთობები. ჩეხები ჰუსის მეთაურობით და ახლა იერონიმესთან ერთად, გერმანელების საუნივერსიტეტო უფლებებთან გათანაბრებას მოითხოვდნენ. (შეგახსენებთ, რომ საუნივრსიტეტო კოლეგიაში გერმანელთა სამ ხმას ერთი ჩეხური უპირისპირდებოდა). იერონიმე თავის ლექციებზე რიტორიკაში სულ უფრო მეტ მსმენელს იზიდავდა. თავის „ერეტიკულ" შეხედულებებს აქ უფრო თამამად გამოთქვამდა, ამას ზედ ემატებოდა წმინდა ეროვნულ-ჩეხური პრობლემების წინა პლანზე წამოწევა, მათ შორის, პრაღის უნივერსიტეტის მმართველობაში ჩეხების უპირატესობის აუცილებლობის თაობაზეც. ისევე, როგორც ჰუსის იდეები, იერონიმესთანაც ანტიკათოლიკური, ანტიპაპისტური დებულებანი, ეროვნულ

პრობლემატიკას შეერწყა. უნდა აღინიშნოს, რომ „ჩეხურ ჯგუფშიც“ არ იყო ერთიანობა აქაც იყვნენ უიკლიფისტები (რეფორმაციის მომხრეები) და ანტიუიკლიფისტები. უიკლიფის მომხრეთა დასს ᲐᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ იან ჰუსი ედგა. მისი იდეები დაედო საფუძვლად მთელს ჩეხურ რეფორმაციას. ამ იდეების ცხოვრებაში გამტარებელი, აქტიური პროპაგანდისტი, რეალიზატორი და ტაქტიკური ბრძოლის შემმუშავებლები იყვნენ იერონიმე პრაღელი და მისი მეგობრები. ამ მოძრაობის სამართლიანობის იურიდიულ მხარეს უზრუნველყოფდა ჰუსისა და იერონიმეს მეგობარი, იურისპრუდენციის მაგისტრი იან ესენიცელი. ჰუსისა და მისი მეგობრების „ერეტიკული“ საქმიანობის შესახებ, უკვე კარგა ხანია მიდიოდა ცნობები პაპის კურიაში. რომში მიიჩნევდნენ, რომ ჩეხეთი „ერესითაა ავად“. სწორედ ამ დროს მთელს კათოლიკურ ევროპაში ატყდა ხმაური პიზის მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევის თაობაზე, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ. მეფე ვაცლავ IV-რომელიც უფრო კერძო პირადი ინტერესებიდან ამოდიოდა, 1409 წლის 18 იანვარს გამოსცა ცნობილი ედიქტი. ცნობილია, რომ მეფის ამ ბრძანებამ არსებითად შეცვალა ძალთა თანაფარდობა პრაღის უნივერსიტეტში. ამიერიდან ჩეხებს ექნებოდათ სამი ხმა გერმანელებს კი ერთი. განაწყენებულმა გერმანელმა პროფესორებმა მეფის ედიქტს ბოიკოტით უპასუხეს და „სტატუს ქვოს“ აღდგენა მოითხოვეს. ამ ბრძოლაში აქტიურად ჩაება იერონიმე. 1409 წლის იანვარში დაიწყო მორიგი „კვოდლიბეტი“. „დისპუციო დე კვოდლიბეტ“, ასე ეწოდებოდა ყოველწლიურ საუნივერსიტეტო დისპუტებს, რომლებშიც უნივერსიტეტის ყველა პროფესორი მონაწილეობდა. ეს იყო თანამედროვე საუნივერსიტეტო კონფერენციების ერთგვარი წინამორბედი. კვოდლიმიტს ამჯერად უძღვებოდა ცნობილი პროფესორი მათე ნინი. წესის თანახმად, სიტყვას უფროს უმცროსობის რიგით წარმოსთქვამდნენ. იერონიმეს გამოსვლებს უდიდესი ინტერესით ხვდებოდნენ. დარბაზი, სადაც იერონიმე გამოდიოდა ყოველთვის

გადაჭედილი იყო. ერთ-ერთ ბოლო დისპუტს ესწრებოდნენ სამეფო კარის წარმომადგენლები, ქალაქის მესვეურები და ბრაბანტელი ელჩებიც კი, თვით ნასაუელი გრაფი და მისი ეპისკოპოსი. იერონიმეს დასკვნითი სიტყვა წარმოადგენდა ჩეხური პატრიოტიზმის, ჰუსიტური რეფორმაციისა და საღვთო წერილის დებულებათა თავისუფალი ინტერპრეტაციისა და დაცვის შესანიშნავ ნიმუშს. იერონიმესა და ჰუსიტების პატრიოტულ განწყობას ამ ეტაპზე მხარს უჭერდა მეფე ვაცლავ IV. როცა დადგა საკითხი რექტორისა და დეკანის არჩევნებისა მეფის ჩარევით, ამ თანამდებობებზე დაინიშნენ ჩეხები და თანაც უიკლიფის მიმდევრები, ეთნიკურად ზოგიერთმა გერმანელმა მაგისტრმა და ბაკალავრმა ზოგიერთმა სტუდენტმაც უკმაყოფილების ნიშნად პრაღა დატოვეს, დაახლოებით 700 თუ 800 კაცმა. ეთნიკური გერმანელების წასვლამ მეფე ვაცლავ IV უკმაყოფილება გამოიწვია. წასულების დიდი ნაწილი დამკვიდრდა ახლად გახსნილ ლაიფციგის უნივერსიტეტში. რამდენად დიდი იყო ამ მოვლენაში იერონიმეს წვლილი ჩვენ არ ვიცით, მაგრამ მოგვიანებით კონსტანცის საეკლესიო კრებაზე, სადაც დაკითხავდნენ იერონიმეს, ბრალმდებლებად გამოდიოდნენ პრაღიდან ლაიპციგში წასული პროფესორები. მათი დიდი ნაწილი იერონიმეს ბრალს სდებდა სწორედ ანტიგერმანული განწყობილების გაღვივებაში, უფრო მეტიც კონკრეტულად მას და ჰუსს ხატავდნენ გერმანელთა გაძევების ორგანიზატორებად. პრაღის არქიეპისკოპოსმა ზბინეკმა, რომელიც, ბუნებრივია, პაპის მითითებებს ასრულებდა ბრძანა დაუყოვნებლივ დაეწვათ, გაენადგურებინათ უიკლიფის წიგნები, ხოლო კათოლიკე ხუცები, ჰუსს, იერონიმეს და იან ესენიცელის სახელებს წყევლით იხსენიებდნენ. ასეთი კათოლიკე ხუცების წინააღმდეგ იერონიმემ მოაწყო საპროტესტო გამოსვლები და რამდენიმე მათგანს ფიზიკურადაც გაუსწორდა.

ჩვენ არ ვიცით რა დამსახურებისათვის, ან რა მიზნით, 1410 წლის გაზაფხულისათვის იერონიმე უნგრეთში, ვა-

ცლავ IV ძმის, სიგიზმუნდის კარზე ჩანს. აქ სასახლის სამლოცველოში, ნარმოსთქვა სიტყვა, რომელსაც ესწრებოდნენ უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფალნი, თვით მეფის, სიგიზმუნდის ჩათვლით. იერონიმე აქ საუბრობდა საერო ხელისუფლების როლზე საეკლესიო საქმეების მართვის სფეროში, ავითარებდა აზრს, რომ საერო ხელისუფლება უნდა ხელმძღვანელობდეს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და ამ პოზიციიდან უნდა მართავდეს სასულიერო ცხოვრებასო. ასეთი იდეები, გამომდინარე უიკლიფისა და ჰუსის მოძღვრებებიდან დიახაც ეამა მეფეს, მაგრამ აღაშფოთა სასულიერონი. არქიეპისკოპოსმა ზბინეკმა წერილი აახლა უნგრეთის სამეფო კარს, სადაც იერონიმე პირნავარდნილ ერეტიკოსად მოიხსენია. ერეტიკულად მიიჩნიეს მისი გამოსვლა უნგრეთშიც, მაგრამ სიგიზმუნდმა ნება დართო იერონიმეს დაუბრკოლებლად დაბრუნებულიყო ჩეხეთში. პრაღაში კვლავ დაძაბული სიტუაცია დახვდა იერონიმეს, არქიეპისკოპოსმა მაინც დააწვევინა ვიკლიფის წიგნები, ხოლო ჰუსი ეკლესიიდან განკვეთა. ამან მთელ პრაღაში უდიდესი აღშფოთება გამოიწვია, განსაკუთრებით შფოთავდნენ ჩეხი სტუდენტები. პრაღის ზოგიერთ უბანში მრევლსა და არქიეპისკოპოსის მომხრეებს შორის ხელჩართული შეტაკებებიც კი მოხდა. არქიეპისკოპოსისა და მისი მომხრეების სახელებს ხალხი ზიზღითა და დაცინვით ნარმოთქვამდა, იქმნებოდა სატირული ლექსები და სიმღერები, რომელთა ავტორებადაც იერონიმეს ასახელებდნენ.

მალე მისთვის ცნობილი გახდა, რომ უნგრეთში მისი ქადაგების საფუძველზე, ვენის საიმპერიო კარზე, იერონიმეს მიმართ ჩამოყალიბდა აზრი, როგორც გამოუსნორებელ და საშიშ ერეტიკოსზე. ასეთივე აზრი ჩამოყალიბდა ჰუსის მიმართაც. ამ უსამართლო ბრალდებათა და მოსაზრებათა გასაქარწყლებლად 1410 წელს იერონიმე ვენაში ჩავიდა.

სრულიად შემთხვევით აქ იგი გადაეყარა, პრაღიდან გამოძევებულ ორ გერმანელ მაგისტრს, რომლებთანაც

ადრე მწვავე კონფლიქტი მოუვიდა. მაშინ ეს ფაქტი მთელს პრაღაში გახმაურდა. იერონიმეს მტრებმა შეთხზეს მორიგი დასმენის წერილი, რის საფუძველზეც ის გამოძახებულ იქნა ქალაქის მმართველებთან, მიუჩინეს მეთვალყურენი, რათა ჩეხი არ გაქცეულიყო ვენიდან. სავარაუდოდ 29 აგვისტოს გაიმართა პირველი დისპუტი, უფრო სწორედ, იერონიმეს დაკითხვა, რომელსაც ესწრებოდნენ თეოლოგიის ოთხი პროფესორი, სჯულის კანონთა მცოდნე სამი მაგისტრი, აქაური უნივერსტეტის სხვა დარგების მრავალი მაგისტრი და ბაკალავრი. იერონიმეს ბრალად სდებდნენ: კათოლიკური ეკლესიის შეურაცხყოფასა და უიკლიფის იდეების ქადაგებას (რომელიც უკვე ოფიციალურად იყო დაგმობილი). აგრეთვე უნდა გამოეთქვა თავისი მოსაზრებები უიკლიფის ზოგიერთ დებულებასთან დაკავშირებით, ჰუსის იდეების თაობაზე და თვით იერონიმეს გამოსვლებზე. ჩეხი მაგისტრის პასუხები იმდენად დამაჯერებელი, სხარტი და დასაბუთებული იყო, რომ ოპონენტებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. იერონიმე ამჯერად გადაურჩა დაპატიმრებას, მაგრამ მეორე სხდომისათვის ხელისუფლება უკეთ მოემზადა. მოიხმეს პრაღიდან გამოძევებული მაგისტრები, აგრეთვე პარიზისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებიდან მოინვიეს იერონიმეთი უკმაყოფილონი და შეკრიბეს 14 მონმე ჩეხის წინააღმდეგ. ეს უნდა ყოფილიყო ნამდვილი სასამართლო და არა აზრის მოსმენა. 20 სექტემბერს შეიკრიბნენ მოსამართლენი და სასულიერონი, საერო ხელისუფლების წარმომადგენლები და დაინტერესებული ხალხი, რათა სანიმუშოდ დაესაჯათ ეს ერეტიკოსი. მაგრამ იერონიმე დარბაზში არ ჩანდა. მან წინა დღეებში შეძლო ფარულად ვენიდან სამშვიდობოს გასულიყო. ის პრაღაში ჩავიდა. ვენის სასამართლომ კი დაგმო იერონიმეს შეხედულებები და ეკლესიიდან შეჩვენებულად, განკვეთილად გამოაცხადა. ოფიციალური წერილი ამის თაობაზე გაეგზავნა პრაღის არქიეპისკოპოსს, ხოლო დაწვრილებითი ანგარიში გაიგზავნა

რომში. იერონიმეს სახელი, როგორც გამოუსწორებელი ერეტიკოსისა, მთელს ევროპაში გახდა ცნობილი.

1411 წლის კვოდლიბეტზე, რომელსაც ამჯერად თვით იან ჰუსი ხელმძღვანელობდა, ბრწყინვალედ გამოვიდა იერონიმე. ეს ის პერიოდია, როცა იან ჰუსმა უდიდესი პოპულარობა მოიპოვა მთელს ჩეხეთში. მისი ქადაგებები წმინდა საეკლესიო საკითხების გარდა, ეხებოდნენ ეროვნულ და სოციალურ პრობლემებსაც. პრაღის პლებეურ-ბიურგერული ფენებისათვის, სწორედ ეს უკანასკნელი პრობლემები იყვნენ უფრო ახლობელნიც და მტკივნეულნიც. იერონიმე, როგორც ჰუსის ყველაზე აქტიური და ერთგული თანამოაზრე, ნამდვილ სახალხო ტრიბუნად იქცა. უნივერსიტეტის მაგისტრობა და ლექციები ვერ იტევდნენ მის მოზღვავებულ ენერგიას. ის იყო ყველგან, სადაც კი ეროვნულ-ჩეხური, ან სოციალური წინააღმდეგობები იფეთქებდა. 1412 წლის გაზაფხულის დამდეგს, როგორც ზემოთ აღინიშნა, პაპმა იოანე XXIII ინდულიგენციებით ვაჭრობის ახალი კამპანია წამოიწყო. იმავე წლის მაისში პრაღის ცენტრალურ მოედანზე გამოჩნდნენ ინდულიგენციით მოვაჭრე პაპის ნოქრები და ლეგატები, რასაც ჰუსის მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. მისი მოწოდება „პაპი უფალი არ არის ცოდვები რომ შეგვინდოსო" თითქმის ყველა პრაღელმა იცოდა. ჰუსის ინიციატივით გამართულ საუნივერსიტეტო დისპუტზე, გამოვიდა იერონიმეც, როგორც ერთი თანამედროვე და თვითმხილველი აგვიწერს, ინდულიგენციებით ვაჭრობამ იმდენად აღაშფოთა იერონიმე, რომ „რამდენჯერმე წამოხტა იგი თავისი სკამიდან და მზად იყო, იმავე წამს წასულიყო ხელისუფლების მესვეურებთან ამ ცრუმიტევების დაუყონებლივ აღკვეთის მოთხოვნით. მრავალრიცხოვანი სტუდენტობა მზად იყო გაჰყოლოდა მაგისტრს. მხოლოდ რექტორის ჩარევამ რამდენადმე დაამშვიდა აღგზნებული ახალგაზრდობა. საღამოს მათ სახლამდე მიაცილეს იერონიმე, რათა მაგისტრი არ გადაყროდა რაიმე ხიფათს". უიკლიფის წიგნების დაწვამ და ინდულიგენციებით ვაჭრობამ ძალიან

გააღიზიანა პრაღის მთელი მოსახლეობა. 1412 წლის მაისივნისში ხშირად იმართებოდა სახალხო საპროტესტო გამოსვლები, რომელთა ინიციატორი იერონიმე იყო. ამ გამოსვლების დროს იმართებოდა ერთგვარი სატირული წარმოდგენები, სადაც დასცინოდნენ პაპის ხელისუფლების წარმომადგენლებს, პაპის ბულებსა და საერთოდ, კათოლიკურ სამღვდელოებას. ასეთ გამოსვლებს ხშირად თან სდევდა მწვავე ექსესები და შეხლა-შემოხლაც. იერონიმე არა მარტო პრაღაში გამოდიოდა ინდულიგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ, არამედ ერთგულ, თანამოაზრე სტუდენტებთან ერთად მთელს მორავიაში ანყობდა გასვლებს ამის აღსაკვეთად. „იერონიმე ებრძოდა ინდულიგენციებით მოვაჭრეებს ყველგან, სადაც კი მისწვდებოდა, ხოლო სადაც თვითონ ვერ ჩადიოდა, ამ საქმეს მისგან გაგზავნილები, უმთავრესად სტუდენტები აკეთებდნენ", მოგვითხრობს მაშინდელი წყარო.

1413 წლის მარტში, იერონიმე პოლონეთის მეფის კარზე ჩანს, კრაკოვში. ვინ მიიწვია იგი, რა მიზნით და რა დავალებით, უცნობია, როგორც თავად ამბობდა მოგვიანებით, ის მეფე ვლადისლავსა და მის ძმას, ლიტვის დიდ მთავარს ვიტოლდს მიუწვევია. ძნელია ბოლომდე ერნმუნო ამ ცნობას, შესაძლოა ეს ამ მოგზაურობის გარეგნული ფორმა იყო. რეალურად კი იერონიმე მიზნად ისახავდა ჩეხური რეფორმაციული იდეების დაცვას კრაკოველი სნავლულების წინაშე. ჰუსისა და მისი იდეების შესახებ, ხომ უამრავი ურთიერთსაწინააღმდეგო ხმები დადიოდა მთელს ევროპაში. კრაკოვში მართლაც გაიმართა რამდენიმედღიანი საუნივერსიტეტო დისპუტი, სადაც იერონიმემ ერთჯერ კიდევ დაიცვა ჰუსისა და უიკლიფის იდეები. პოლონეთის უმაღლესმა სამღვდელოებამ ძალიან კარგად გაიგო იერონიმეს გამოსვლების შინაარსი და დიდი გულისწყრომაც გამოხატა მათში გამოთქმული ერეტიკული აზრების გამო. ალბათ ვერ ასცდებოდა იგი სერიოზულ გართულებებს, სამეფო კარის სტუმარი, რომ არ ყოფილიყო. იგი მშვიდობიანად გაისტუმრეს კრაკოვიდან, თუმცა, ერთობ

საინტერესო ნერილიც გაატანეს, რომელშიაც ენერა: „დაბრუნდი ჩეხეთში და შენს მშობლიურ მინაზე იმუშავე, ვინაიდან პოლონეთის მინა, მეტისმეტად მშრალია იმისათვის, რომ მიიღოს ისეთი თესლი, შენ რომ სთესავ, ხოლო უბრალო პოლონელ ხალხს არ შეუძლია აღიქვას და შეიგნოს ასეთი დიდი ფილოსოფოსის მოძღვრება". აშკარაა მუქარანარევი ირონია.

კრაკოვიდან იერონიმე ჩეხეთში კი არა, ლიტვის დიდ მთავარ ვიტოლდთან წავიდა. მთავარი ბელორუსიაში მიდიოდა იქაური საქმეების მოსაგვარებლად და მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად იერონიმეც იახლა. ვიტებსკში დიდებული შეხვედრა მოუწყვეს ლიტვის მთავარს. იერონიმემ აქ შესაბამისი პატივი მიაგო მართლმადიდებლური ეკლესიის სიწმინდეებსა და მსახურებს. აქედან იგი ფსკოვში გადასულა და იქაც პატივი მიუგია მართლმადიდებლობისათვის. წყაროთა სიმწირის გამო, ძნელია დავადგინოთ იერონიმეს ამ მოგზაურობის ნამდვილი მიზეზები. ვიტებსკსა და ფსკოვში ჩეხი რეფორმატორის ვიზიტებს, XIX-XX საუკუნის რუსული ისტორიოგრაფია ფართოდ გამოეხმაურა და დაასკვნეს, რომ იერონიმეს მართლმადიდებლობასთან შერიგება, ან მასზე მოქცევა ჰქონდა მიზნადო. ეს მცდარი შეხედულება XX საუკუნის მეორე ნახევარში თვით რუსი ისტორიკოსების მიერ იქნა უარყოფილი, როგორც უსაფუძვლო.

დაახლოებით 1413 წლის ბოლოს, ან 1414 წლის დამდეგს იერონიმე ჩეხეთში დაბრუნდა. ვითარება უაღრესად დაძაბული დახვდა. რეფორმატორთა და პატრიოტთა მეთაური იან ჰუსი კათოლიკურმა ეკლესიამ ერეტიკოსად შერაცხა, ეკლესიიდან განდევნა და ახლა კონსტანცის ახლადმოწვეულ საეკლესიო კრებაზე იქნა გამოძახებული. როგორც აღინიშნა, ამ საეკლესიო კრებას დიდი განხეთქილების საკითხები უნდა განეხილა და ბოლო მოეღო მრავალპაპიანობისათვის. ამასთან ერთად, კათოლიკური სამყაროს მღვდელთმთავრებს მეტისმეტად აშფოთებდათ ჩეხეთში განვითარებული მოვ-

ლენები, ვინაიდან ჰუსიტური ერესის მთელს ევროპაში გავრცელების საშიშროებას ხედავდნენ. რამდენად მრავალრიცხოვანი იყო საერო და სასულიერო უმაღლესი ხელისუფალთა ნარმომადგენლობა ამ კრებაზე, ზემოთ ვწერდით.

მთელმა პრაღამ და ჩეხეთმა გაიგო, რომ მაგისტრი იან ჰუსი, საიმპერატორო უმაღლესი დაცვის სიგელით აღჭურვილი, გაემართა კონსტანციისაკენ არა როგორც სამართალში მიცემული, არამედ როგორც ამ კრების მონაწილე და მომხსენებელი. როგორც ჩანს ჰუსის მეგობრები ბოლომდე არ ენდობოდნენ თვით იმპერატორის სიგელსაც კი და შიშობდნენ, რაიმე ხიფათი არ შეემთხვესო მაგისტრს. იერონიმე ამხნევებდა თურმე ჰუსს კონსტანცაში წასვლის წინ და პირობა მიუცია, მარტოს არ მიგატოვებ და ყველანაირად დაგიცავო. როცა პრაღაში ჩამოიტანეს ამბავი, ჰუსი დაატუსაღეს და საპყრობილეშიაო, იერონიმე მაშინვე კონსტანციისაკენ გაემართა. ის დასახლებულა ჰუსის საპყრობილის სიახლოვეს. ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, კონსტანცის ტაძრებისა და ჩამოსული მაღალი სასულიერო პირების საცხოვრებლების კარებებზე გაკრული ფურცლები იპოვეს. ამ ფურცლებზე ეწერა, რომ იმპერატორმა სიგიზმუნდმა, რომელმაც დაცვის სიგელი უბოძა ჰუსს თავისი სიტყვა გატეხა და ამიერიდან არ იმსახურებდა ნდობას. ასეთ გამოსვლას მართლაც არავინ აპატიებდა წერილის ავტორს. იერონიმემ საფრთხე იგრძნო და ფარულად დატოვა კონსტანცა. ხელისუფლების ნარმომადგენლებმა მალე მიაკვლიეს მას, და ჩეხეთის საზღვართან შეიპყრეს. ხელფეხშეკრული ჩამოიყვანეს კონსტანცაში და ერთი მონასტრის საკანში გამოამწყვდიეს. 1415 წლის აპრილიდან დაიწყო მისი დაუსრულებელი დაკითხვები, მას ბრალად ედებოდა ერესი და ამ ბრალდების მოწმეებად მოიწვიეს, სორბონის, კიოლნისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტების ის მაგისტრები და პროფესორები, ვის წინაშეც ადრე იერონიმე გამოდიოდა. ერთ-ერთი მთავარი მოწმე და ბრალმდებელი იყო სორბონის უნივერსიტეტის კანცლერი, ჩვენთვის ცნო-

ბილი მაგისტრი ჟან ჟერსონი. პირველი დაკითხვების შემდეგ იგი ჩააგდეს ბნელ ჯურღმულში, ხელფეხშეკრულს რამდენიმე დღე არ აძლევდნენ თითქმის არავითარ საჭმელ-სასმელს. თურმე ერთმა ჩეხმა გაიგო იერონიმეს ამბავი, ყარაულები მოუსყიდია და მცირეოდენი საკვები და წყალი შეუგზავნია მისთვის. ასეთი წამება, უჭმელ-უსმელობა, ხელფეხშეკრულის თავდაყირა დაკიდება, საკმაო ხანს გაგრძელდა. იერონიმეს ჯამრთელობა მკვეთრად შეირყა და ხელისუფლებას შეეშინდა, ვაითუ, სასჯელის აღსრულებამდე (ცეცხლზე დაწვამდე) მოკვდესო, ამიტომ ტუსაღს მდგომარეობა რამდენადმე შეუმსუბუქეს. ამასობაში იან ჰუსს გამოუტანეს განაჩენი და 1415 წლის 6 ივლისს ცეცხლზე დაწვეს. ზუსტად ორი კვირის თავზე 19 ივლისს საეკლესიო კრების სასამართლოზე წარადგინეს იერონიმეც, აქ გაიგო მან თავისი საყვარელი მეგობრისა და მასწავლებლის სიკვდილიც. მიხვდა, მასაც იგივე ხვედრი ელოდა. ისევე, როგორც ჰუსის შემთხვევაში, სასამართლოს უნდა მიეღწია ბრალდებულის არა უბრალოდ სიკვდილით დასჯისათვის, არამედ მთავარი იყო, საჯაროდ უარეყო ბრალდებულს თავისი შეხედულებები. ამით უნდოდათ დაემტკიცებინათ პაპისა და კათოლიკური ეკლესიის ურყევი ავტორიტეტის დიადი ძალა და გზააბნეულების ჭეშმარიტებაზე მოქცევის უნარი. თუ იერონიმე ამას გააკეთებდა, ჰუსის ამბავს გამოაცხადებდნენ ვითარცა გამონაკლისს, ხოლო იერონიმეს მიერ შეხედულებათა უარყოფის შემთხვევაში, ლახვარს ჩასცემდნენ უიკლიფისა და ჰუსის მოძღვრებას. პირველი დაკითხვების შემდეგ ის კვლავ ჯურღმულში ჩააგდეს. მასთან ხშირად მიდიოდნენ ეპისკოპოსები, არქიეპისკოპოსები და თვით კარდინალებიც კი. შეხედულებათა უარყოფის შემთხვევაში აღუთქვამდნენ უპირობო თავისუფლებასა და მრავალ სიკეთეს. იერონიმეს, რომელიც ყოველდღე საშინლად იტანჯებოდა, ყოყმანი დაეტყო. ერთხანს თითქოს დაჰყვა კიდეც მათ მოთხოვნებს. უარყოფის ტექსტიც კი შეადგინა, თუ შეუდგინეს. ეს იყო ერთგვარი მონანიების წერილი, რომელმაც, რასაკვირვე-

ლია, ვერ მოუტანა დაპირებული თავისუფლება. ეს არ იყო ნამდვილი, გულწრფელი აღიარება, ან უარყოფა. ამას მალე თვითონაც მიხვდა და მიხვდნენ მისი მტრებიც. ისევ ციხე და ისევ ყოველდღიური ნამება.

კრებამ, პაპის გარშემო ატეხილი პრობლემების გამო, მცირე ხნით გადადო იერონიმეს საქმე, რამდენიმე თვე კიდევ გაგრძელდა მისი ტანჯვა. ამასობაში, კონსტანცაში ჩამოვიდნენ პრაღის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები და კრებისაგან იერონიმეს საქმის განახლებას მოითხოვდნენ. კვლავ შეიქმნა ახალი კომისია, რომელმაც ახალ მოწმეთა (პრაღიდან ჩამოსულების) ჩვენებების საფუძველზე, შეადგინა ახალი ბრალდება. იერონიმეს ბრალდებანი 102 მუხლად იყო ჩამოყალიბებული. ამათგან უმრავლესობა, კრების სასამართლოს აზრით, სიკვდილით დასჯას იმსახურებდა. ჩეხი კათოლიკეები და ევროპული უნივერსიტეტების მაგისტრები, იერონიმეს საჯარო დაკითხვასა და გასამართლებას ითხოვდნენ. 1416 წლის 23 მაისს კონსტანცის კათედრალურ ტაძართან შეიკრიბა უამრავი ადამიანი, ისინი მსჯავრდებულის საჯარო გასამართლებას ელოდნენ. სწორედ ასეთ ვითარებაში, იერონიმემ გამონახა სულიერი მხნეობა, კარგად გაიაზრა შესაძლო შედეგები და სულის წაწყმედას ხორცის სიკვდილი არჩია. ამიტომ გამოვიდა ამ საჯარო დაკითხვაზე იგი ამაყად, თავაწეული, ისევ ის ძველი, მტკიცე და შეუპოვარი იერონიმე. ის ბრალდებებს ისე ოსტატურად პასუხობდა, ისე მტკიცედ და ლოგიკურად იცავდა თავის შეხედულებებს, ჰუსისა და უიკლიფის მოძღვრებას, რომ დამსწრენიც კი აღტაცებაში მოუყვანია. იგი არა მარტო მარჯვედ უარყოფდა ბრალდებებს, არამედ დასცინოდა კიდეც ოპონენტებს საკითხის არცოდნისა და უმეცრების გამო. ერთი დამსწრეთაგანი შემდეგ წერდა: „ყველას ეგონა, რომ იგი უარყოფდა თავის ერესს და მორჩილად მოითხოვდა პატიებას, მაგრამ არავითარი მსგავსი. მან ხოტბა შეასხა სიკვდილით დასჯილ იან ჰუსს და ხმამაღლა განაცხადა, კინაღამ უდიდესი ცოდვა ჩავ-

იდინე უფლისა და სინდისის წინაშე, როცა სიკვდილის შიშით კინაღამ უარვყავი ჰუსისა და უიკლიფის იდეებიო. კრების მონაწილენი ამას აღშფოთებით შეხვდნენ და როცა მიწყნარდა იქაურობა, იერონიმემ განაგრძო რომ არავინ არ სწერდა ისე ნათლად, ბრძნულად და გასაგებად, როგორც უიკლიფიო, ამიტომ ვერ უარვყოფ მას, მრცხვენია თუ რამე ვთქვი ჰუსისა და უიკლიფის წინააღმდეგ. ახლა მზად ვარ მოვკვდე ისევე მხნეთ, როგორც ჰუსი". იერონიმეს სიტყვამ ყველა იქ დამსწრეზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ პროცესს სხვა მრავალთან ერთად ესწრებოდა ცნობილი იტალიელი ჰუმანისტი პოჯო ბრაჩოლინი, რომელიც იტალიაში გაგზავნილ წერილში ამის თაობაზე წერდა: „უარყო რა ცრუბრალდებანი, რომლებიც სხვებისგან იყო თავსმოხვეული, იერონიმე აქებდა ცეცხლზე სიკვდილით დასჯილ იან ჰუსს, უწოდებდა მას უკეთილშობილესს, სამართლიანს და წმინდა ადამიანს, რომელიც არ იმსახურებდა სიკვდილს, მან გამოთქვა მტკიცე მზადყოფნა სიკვდილისთვის, მან განაცხადა, რომ ეკლესიის საწინააღმდგოდ არაფერს აკეთებდა, ის გმობდა ეკლესიის მსახურთა მომხვეჭელობას, ვერცხლისმოყვარეობას, გამოდიოდა მანკიერების წინააღმდეგ. საეკლესიო ქონება და შესაძლებლობანი, ჰუსის მოძღვრებით, უნდა ხმარდებოდეს მაშვრალ ღარიბებს, სტუმრებს და არა ღრეობებს, ნადიმებსა და ფუფუნებას. აი, ამის წინააღმდეგ გამოდიოდა ეს კეთილი კაცი. იერონიმეს ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას, იგი ყველა ოპონენტს ღირსეულ პასუხს სცემდა, სულით მტკიცე და მამაცი არ ერიდებოდა მოწინააღმდეგეთა მუქარას, ის იყო უშიშარი და შეუდრეკელი". მის შემდეგ კიდევ ორი დღე გავიდა. კრების მესვეურებმა, კიდევ ერთხელ მოსთხოვეს უარი ეთქვა მრწამსზე, მაგრამ იერონიმე მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე.

1410 წლის 30 მაისს შედგა სასამართლოს უკანასკნელი სხდომა, სადაც წაიკითხეს განაჩენი, იერონიმე პრაღელი, მიჩნეულ იქნა ერეტიკოსად და მიესაჯა სიკვდილი ცეცხლზე

დაწვით. უკანასკნელ სიტყვაში მან კიდევ ერთხელ დაიცვა ჰუსი და უიკლიფი და მტკიცედ გაიმეორა თავისი შეხედულებები.

თავისი მაგისტრის ქუდი სახეში მიახალა დამსწრე კათოლიკე სამღვდელოთ, საკუთარი ხელით დაიხურა განკიცხვისა და სამარცხვინო ბოძზე გაკვრის სიმბოლო სატანაგამოსახული ქაღალდის წიწილა ქუდი და მტკიცე ნაბიჯით გასწია იქით, სადაც ერთი წლის ნინ დასაჯეს ჩეხი ხალხის ღირსეული შვილი და მისი მეგობარი იან ჰუსი.

Акакий Гетиашвили

Представители Ранней Реформации

Резюме

Настоящая работа посвящается представителям ранней реформации в Западной Европе, Великим сыновьям чешского народа Яну Гусу и Иерониму Пражскому.

На основе первоисточников и специальной литературы, рассмотривается процесс формирования их реформационных и социально-политических взглядов. В многочисленных трудах, посвящённых данному вопросу, особое внимание уделяется вопросам религиозной реформы и социальным проблемам. На этом фоне, второстепенное значение придается такому немало важному вопросу, каким является национальный вопрос в Чехии на рубеже XIV-XV веков.

Во взглядах и сочинениях этих реформаторов действительно переплелись проблемы религиозного и социально-политического характера, но вместе с этими, немаловажное место занимает вопрос самобытности и политической судьбы чешского народа, положение чешского языкаб сохранение национального облика в условиях немецко-католического натиска и другие.

Эти своеобразия и отличает чешских реформаторов от других.

Представители ранней реформации в Западной Европе, несомненно, Ян Гус и Иероним Пражский, во многом исходили из положениия и взглядов Английского реформатора Джона

Виклефа, но это было не дословное заимствование взглядов, а творческое применение в условиях тогдашней Чехии.

В трагической судьбе Яна Гуса и Иеронима Пажского, символически отражая суровый дух и непримиримость тогдашней католической церкви ко всем новшествам и особенно ещё совершенно чуждому национально-патриотическим проявлениям.

Надеемся, наша попытка, впервые на грузинском языке предложить заинтересованному читателю историю жизни чешских патриотов-реформаторов, принесет определённую пользу. Тем более, что вопрос национального освобождения не теряет актуальность и в настоящее время.

Akaki Getiashvili

Representatives of the Early Reformation

Summary

The present work is devoted to the representatives of Early Reformation in Western Europe, the great sons of the Gzech people: Jan Huss and Jeronym Pražsky.

On the basis of primary sources and the specialist literature, the question of the shaping of their Reformatory and socio-political views is discussed. In the numerous works devoted to this question special attention is given to questions of religious reform and social issues. Against this background, secondary meaning is attached to such a question of no small importance as the national question in Czechia at the turn of the 14th-15th centuries.

In the views and works of these reformers questions of religious and socio-political character were indeed intertwined, yet the questions of the originality and political destiny of the Cze ch people, the status of the Czech language, and preservation of the national character in the face of the German-Catholic impact, etc. held no less a place. It is these specificities that distinguish the Czech reformers from others.

The representatives of the Early Reformation in Western Europe – Jan Huss and Jeronym Pražky no doubt proceeded largely from the theses and views of the English reformer John Wycliffe, but it was not a verbatim borrowing of views but an imaginative application in conditions of the Czechia of the period.

The stern spirit and implacability of the then Catholic Church to all innovations, and especially to the absolutely alien national-patriotic manifestations, found symbolic reflection in the tragic fate of Jan Huss and Jeronym Pražky.

The author hopes that his attempt to present the interested Georgian reader with the life histories of the Czech patriot-reformers in Georgian will be of some benefit. The more so that the question of national liberation has not lost its urgency even today.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1) Гус Ян, Послания магистра Яна Гуса, Киев,1903.

2) Леврений из Бжезово, Гроитская Хроники, М. 1952.

3) Иероним Пражский, Похвальное слово в честь свободных искусств (документы по истории университетов Европы XII-XV веков.),1973.

4) Петр из Младоневиц, Повествование о магистре Иерониме Пражском сожженом в Констанце во имя Христа, Гуситское движение в освещение современников, М.1992.

5) Белгородский А. В. за что боролся и пострадал Ян Гус,СПБ,1916.

6) Кротохвил Милош, Ян Гус, пер. с ческ, М.1959.

7) Лаптева Л. П. Реформатор второго плана, М. 2002.

8) Мацек И. Табор в революционном гуситском движении, пер. ческом, М.1956.

9) Пальмов И, С. Исторический образ Иеронима Пражского славянского известия,1916, N2.

10) Рубцов Б. Ян Гусь, М. 1958.

11) Серебрянский Н. И. Ян Гус, Его жизни и учетние. Псков, 1915.

12) Толстой Л. Иван Гусь, сб. Разные сочинения, Киев, 1883.

სარჩევი

შესავალი 3

I ცხოვრება და ღვაწლი იან ჰუსისა 14

1. მშობლიურ ჰუსინეცში 14
2. პრაღის უნივერსიტეტში 18
3. საეკლესიო და პოლიტიკური არეულობანი 25
4. კვლავ მშობლიურ კუთხეში 43
5. კონსტანცაში გამგზავრებამდე 46
6. გზად კონსტანცისაკენ 51
7. საეკლესიო კრების ინტრიგები 54
8. დახშული სიმართლე 58
9. გოლგოთისაკენ 74

II სიკვდილი იერონიმესი 82

Резюме 104

Summary 106

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 107

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამთა ჯანაშიასი

გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 17 ბ,
25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22
www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge